



სახელმწიფო ქონების  
პრივატიზების აბრეშული  
პოლიტიკა, ანუ  
"პრივატიზება ქართულად"-2

თბილისი, 2010

გამოცემა მომზადებულია ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI-ZUG) ფინანსური მხარდაჭერით. ამ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს მის ავტორთა მოსაზრებებს და არ შეიძლება განხილულ იქნეს ფონდი ღია საზოგადოების ინსტიტუტის შეხედულებათა ამსახველად.

ეს გამოცემა წარმოადგენს ასოციაცია მწვანე ალტერნატივას საკუთრებას. დაშვებულია გამოცემის გამრავლება არაკომერციული მიზნებისათვის, პირველწყაროს მითითებით.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

რედაქტირება: ქეთი გუჯარაიძე

თბილისი, 2010

## ანოტაცია

საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი 1992 წელს დაიწყო. 2003 წლამდე განხორციელდა 15 000-ზე მეტი საწარმოს პრივატიზება. პროცესი უკიდურესად მიმე და არასტაბილურ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კორუფციული გარემოებისა და ადგილობრივი და უცხოური წარმომავლობის ფულის გათეთრებისთვის. საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ქონების გაუმჭვირვალე პრივატიზება იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრალდება, რომელსაც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლება წინა ხელისუფლებას უყენებდა. შესაბამისად, პრივატიზების პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი იმ დაპირებათაგანი გახდა, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ 2004 წელს პრივატიზების ახალი, „აგრესიული“ ტალღის დაწყებასთან ერთად მიიღო.

2004 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების ახალი ტალღა დაიწყო, რომელიც რეფორმატორი ხელისუფლების განცხადებით, 18 თვე უნდა გაგრძელებულიყო და წინა ეტაპებისაგან განსხვავებით, „მაქსიმალურად ობიექტური და ტრანსპარენტული“ უნდა ყოფილიყო. თუმცა, ხელისუფლების არაერთი სხვა დაპირების მსგავსად, რეალობა საპირისპირო აღმოჩნდა - განახლებული პრივატიზაციის პროცესი, მისი დაწყებიდან ექვსი წლის თავზეც კი არ დასრულებულა; გამჭვირვალობის ხარისხი, შესაძლოა, წინა წლებთან შედარებით მცირედ გაიზარდა, მაგრამ კვლავაც არადაამაკმაყოფილებელია, რამაც თავის მხრივ, განაპირობა პროცესის არაეფექტურობა და დროში გაწეღვა.

2005 წლიდან მწვანე ალტერნატივა თვალს ადევნებს რამოდენიმე მსხვილი ობიექტის პრივატიზებისა და ამ სფეროში გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებლობის „დახვეწის“ პროცესს. სამწუხაროდ, გამოცდილება ნათლად აჩვენებს, რომ საწარმოს პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის სრული ციკლი - დაწყებული ობიექტის საპრივატიზებოდ გამოტანის შესახებ გადაწყვეტილებით, დამთავრებული კონკრეტული მყიდველის შერჩევით და მისთვის ამა თუ იმ ვალუბულების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებით - დახურულია საზოგადოებისათვის.

2007 წელს მწვანე ალტერნატივამ გამოაქვეყნა პირველი ანგარიში - „სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად““, რომელშიც აღწერილი იყო 2005-2007 წლებში ორგანიზაციის მიერ პრივატიზების პროცესის მინიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევები. წარმოდგენილი ანგარიში კი, 2007 წლის ანგარიშის ერთგვარი გაგრძელებაა.

ანგარიშში თავდაპირველად განხილულია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში 2004 წლიდან 2010 წლის აპრილამდე განხორციელებული რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება; შემდგომ კი, აღწერილია ზოგიერთი საწარმოს პრივატიზების („თბილისის წყალი“, „საქწყალკანალი“, „მცხეთაწყალკანალი“ და „რუსთაწყალკანალი“) პროცესის და რამოდენიმე გასხვისებული საწარმოს (ვარციხის ჰეს-ების კასკადი, ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, „მადნეული“ და „კვარციტი“) მიერ აღებული ვალდებულებების მონიტორინგის შედეგები.

კანონმდებლობის, ანგარიშში განხილული მაგალითებისა და ბოლო წლებში გამოყენებული პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შესაძლებელი გახდა შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთება:

1. პრივატიზების პროცესის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, თუმცა, არცერთმა ცვლილებამ არ უზრუნველყო პრივატიზების პროცესის უფრო მეტი გამჭვირვალობა; ცვლილებათა უმრავლესობა მიმართული იყო პრივატიზებას დაქვემდებარებული ობიექტების რაოდენობის გაზრდაზე, რაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მთავრობის სურვილს, რაც შეიძლება სწრაფად გაზარდოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები. რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება ასევე, კონკრეტული გავლენიანი წრეების ინტერესებიც, ხელში ჩაიგდონ ესა თუ ის მნიშვნელოვანი ობიექტი. ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები არ არის ერთიანი და საზოგადოებრივ კონსენსუსზე დამყარებული პრივატიზების სახელმწიფო პოლიტიკის პროდუქტი და ამაზე დროის მოკლე პერიოდში განხორციელებული ცვლილებების სიმრავლეც მეტყველებს.

2. პრივატიზების პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი კვლავ პრობლემურია და სიტუაციის გამოსწორების რაიმე ძალისხმევა არ შეინიშნება. პუბლიკაციაში აღწერილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო უწყებები, არათუ ხელს უწყობენ საჯარო ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, არამედ, პირიქით, ყველანაირ შესაძლო ბარიერს ქმნიან,

განსაკუთრებით, ისეთი ობიექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მცდელობისას, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე ალტერნატივას მცდელობა, მოეპოვებინა ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზების დოკუმენტის ასლი, ყოველთვის წარუმატებლად არ სრულდებოდა; იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ორგანოები ღიას ხდიდნენ ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზების დოკუმენტს. მაგალითისთვის, იმის აღნიშვნაც კმარა, რომ მწვანე ალტერნატივას მოთხოვნის საფუძველზე, ორგანიზაციას მიაწოდეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სს „ენერგო-პროს“ შორის რვა ენერგო-ობიექტის აქტივების შესყიდვის თაობაზე 2007 წელს დადებული საპრივატიზაციო ხელშეკრულების ასლი. ამავდროულად, მწვანე ალტერნატივას მცდელობა, მოეპოვებინა სს „ჰიდროენერგომონტაჟის“, სს „საქჰიდროენერგომშენის“, შპს „თბილისის საიუველირო ქარხნის“, შპს „ბათნავთობიმპექსის“, შპს „ბათუმის ნავთობბაზის“, შპს „ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის“, სს „ტყიბულნახშირის“, სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“, რუსთავის ცემენტის ქარხანისა და სს „კასპიკემენტის“ პრივატიზების ხელშეკრულებები - წარუმატებლად დამთავრდა.

ასეთი „შერჩევითი ღიაობა“ მხოლოდ იმის ფიქრის საბაზს იძლევა, რომ გასაიდუმლოებული პრივატიზების ხელშეკრულებები შეიცავს კანონსაწინააღმდეგო ან/და საზოგადოებრივი ინტერესის საწინააღმდეგო ვალდებულებებს. საფიქრებელია, რომ გასაიდუმლოებული ხელშეკრულებების „გახსნამ“ შესაძლოა, გამოიწვიოს საზოგადოებრივი პროტესტი, „დააზარალოს“ კონკრეტული „კეთილსინდისიერი ინვესტორების“ ინტერესები ან გახდეს კონკრეტული (ყოფილი თუ მოქმედი) თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების საბაზი. მწვანე ალტერნატივას აზრით, „შერჩევითი ღიაობა“ და ამ პუბლიკაციაში აღწერილ - ხელშეკრულებების სრული ტექსტის გასაიდუმლოების დამკვიდრებულ პრაქტიკას - სხვაგვარი ახსნა არ მოეძებნება.

3. პუბლიკაციაში მოყვანილი შემთხვევების ანალიზისას, თვალშისაცემია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მომავალში, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის როგორც ხელისუფლებას, ისე საქართველოს მოსახლეობას, უფრო კონკრეტულად კი, იმ პრივატიზებული საწარმოების ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ თემებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა გააჩნიათ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ანგარიშის გაცნობისას მკითხველი შეამჩნევს, რომ ხშირად, შეუძლებელია (ან დიდ დროს მოითხოვს) ამა თუ იმ უკვე პრივატიზებული საწარმოს მესაკუთრის იდენტიფიცირება. შესაძლოა, ეს პრობლემა დღეს არ აღიქმება განსაკუთრებული სიმწვავეთ, თუმცა ასეთი ობიექტის ოპერირებით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში, პრობლემა განსაკუთრებით თვალნათელი გახდება. პრობლემა არანაკლებ მნიშვნელოვანია პრივატიზებულ საწარმოში დასაქმებულთა (ან/და ობიექტის პრივატიზების შემდგომ გათავისუფლებულთა) უფლებების დაცვის კონტექსტშიც.

ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთგვარ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილება, რომელიც 2010 წლის იანვარში ამოქმედდა და რომელიც სავალდებულოს ხდის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საწარმოების დამფუძნებელთა მონაცემების მითითებას. სამწუხაროდ, საჯარო რეესტრის მონაცემები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი - ხშირად საჯარო რეესტრში არ არსებობს მონაცემები საწარმოებზე, ან მითითებული საკონტაქტო დეტალები მოძველებულია.

4. რაც შეეხება პრივატიზებული საწარმოების მიერ საპრივატიზებო ხელშეკრულებებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, აქაც ვერ ავცდებით საიდუმლოების საკითხზე მსჯელობას. როგორც ანგარიშში მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელია (ან ძნელად ხელმისაწვდომია) ინფორმაცია იმის შესახებ, ასრულებენ თუ არა და როგორ ასრულებენ პრივატიზებული საწარმოების მესაკუთრეები ხელშეკრულებებით და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებს. აქაც შესაძლებელია ყურადსაღები ტენდენციების გამოკვეთა: თუ ხელშეკრულება საიდუმლოა, სახელმწიფო ორგანოები, როგორც წესი, ასაიდუმლოებენ ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასაც (თუ ასეთი მათ საერთოდ გააჩნიათ). თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულება ღიაა საზოგადოებისთვის, მაგრამ დახურულია (ან ძნელად მოსაპოვებელია) მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ასეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე „მადნეულისა“ და „კვარციტის“ შემთხვევაში. ალოგიკური ვითარებაა შექმნილი თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების პრივატიზების შემთხვევაში: საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, რომლითაც წესდება მყიდველის ვალდებულებები (ნასყიდობის პირობები), მაგრამ დახურულია ნასყიდობის ხელშეკრულება (რომელიც, მათ შორის, მოიცავს პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილ პირობებს) და ასევე დახურულია პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

5. სიტუაცია არასახარბიელოა გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების სფეროშიც. როგორც ანგარიშიდან ჩანს, ზოგიერთი ობიექტის საპრივატიზებო პირობებში გარემოსდაცვითი ვალდებულებებიც გვხვდება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს (თუ არ ვიმსჯელებთ ამ მოთხოვნების კომპეტენტურობასა და სამართლიანობაზე). რაც შეეხება ხელშეკრულებებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების სახელმწიფო მონიტორინგსა და კონტროლს, სიტუაცია კრიტიკას ვერ უძლებს, როგორც მაკონტროლებელი კანონმდებლობის, ისე მაკონტროლებელ ორგანოებში არსებული შესაძლებლობების თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული დასკვნების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ შეისწავლოს დღემდე გასხვისებული ობიექტების პრივატიზების კანონიერება. ასეთი ობიექტების სიმრავლის გამო, კონტროლის პალატამ, შესაძლებელია, თავდაპირველად ე.წ. „მსხვილი“ საწარმოო ობიექტების პრივატიზების კანონიერების შესწავლა დაიწყო. ამასთან, ობიექტთა შერჩევის ინდიკატორად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ობიექტის ოპერირებით გამოწვეული ზეგავლენის მასშტაბი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.
2. აუცილებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა გააძლიეროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლი საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების სფეროში.
3. მნიშვნელოვანია ასევე, შესწავლილ იქნეს იმ საპრივატიზებო ხელშეკრულებების გასაიდუმლოების კანონიერება, რომლებიც თავად ამ ხელშეკრულებებითაა გასაიდუმლოებული.
4. აუცილებელია მაკონტროლებელი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიმართული პროგრამების განხორციელება, რომლებიც უნდა მოიცავდენენ, როგორც ადამიანური რესურსების განვითარებას და ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას, ისე ამ ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვას.

# სარჩევი

შესავალი.....6

1. „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ კანონი შესული მინიშნულებანი ცვლილებები .....7

2. თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების პრივატიზაცია.....10

2.1 სესხი თბილისის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის.....10

2.2 დარღვევები „ინტერესთა გამოხატვის“ შესახებ განაცხადის გამოქვეყნებისას.....12

2.2.1 მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივარი .....15

2.3 “ინტერესთა გამოხატვის” შედეგები.....17

2.4 პრეზიდენტის განკარგულებები .....20

2.5 ხელშეკრულება .....22

2.5.1 საჯარო უწყებებიდან ხელშეკრულების ასლის მოპოვების მცდელობა .....23

2.5.2 დარღვევები ხელშეკრულების სრული ტექსტის გასაიდუმლოებისას.....24

2.5.3 მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციული საჩივარი .....27

2.5.4 სასამართლო დავა .....27

2.6 ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია .....31

2.7 გარემოსდაცვითი ვალდებულებები.....33

2.7.1 პასუხისმგებლობა ისტორიულ დაბინძურებაზე .....33

2.7.2 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ქ. თბილისისა და რუსთავის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირებისათვის.....35

2.7.2.1 არსებული მდგომარეობა.....36

2.7.2.2 ადმინისტრაციული წარმოება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისათვის .....36

2.7.2.3. გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დადგენილი პირობების შესრულების მდგომარეობა .....39

3. ვარციხის კილორულაქტროსადგურების კასკადი..... 40

3.1 ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ .....40

3.2 ვარციხის ჰეს-ების კასკადის პრივატიზაცია .....41

3.3 საჯარო უწყებებიდან ხელშეკრულების მოპოვების მცდელობა .....42

3.4 მწვანე ალტერნატივას სარჩელის განხილვა საქალაქო სასამართლოში .....44

3.5 ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი .....45

3.6. საჩივრის ხელმოწერის განხილვა საქალაქო სასამართლოში .....46

3.7. მწვანე ალტერნატივას სააპელაციო საჩივარი .....47

4. უაიროზოდ გაყიდული ჭიათურამანგანუმი ..... 49

4.1 როგორ გაიყიდა ჭიათურამანგანუმი .....49

4.2 ხელშეკრულების მოპოვების მცდელობა .....50

4.3 მემორანდუმი.....51

4.4 ვინ არის ჭიათურამანგანუმის მფლობელი.....53

4.5 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.....53

4.5.1 სამთო მინაკუთვნი.....54

4.5.2 ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშები .....55

4.6 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა .....55

4.6.1 ჯორჯიან მანგანუმის მიერ ჩატარებული საჯარო განხილვა .....56

|  |           |
|--|-----------|
| 4.6.2. მწვანე ალტერნატივას ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის მცდელობა .....            | 57        |
| 4.6.3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა .....   | 57        |
| 4.6.4 ნებართვით განსაზღვრული პირობების შესრულება .....                                 | 59        |
| 4.7 შრომის უსაფრთხოება.....  | 60        |
| <b>5. მაღნეული.....</b>  | <b>61</b> |
| 5.1 საწარმოების პრივატიზების მოკლე ისტორია.....  | 62        |
| 5.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.....                   | 64        |
| 5.2.1 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების პროგრამა .....                                       | 64        |
| 5.2.2 ეკოლოგიური აუდიტი.....   | 65        |
| 5.2.3 ანგარიშგება პირობების შესრულების შესახებ.....                                    | 67        |
| 5.3 „მადნეულისა“ და „კვარციტის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა .....                   | 68        |
| 5.4 გარემოზე ზემოქმედების ნებართვებით დადგენილი პირობების შესრულების მდგომარეობა ..... | 71        |
| <b>6. დასკვნები და რეკომენდაციები.....</b>   | <b>73</b> |

## **ჩანართები**

|   |    |
|---|----|
| ჩანართი 1. მულტიპლექს სოლუშენსის შესახებ .....                                | 19 |
| ჩანართი 2. მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის შესახებ.....                           | 30 |
| ჩანართი 3. საქართველოში მოქმედი გზშ სისტემა .....                             | 35 |
| ჩანართი 4. დავაში მესამე მხარის ჩართვის მცდელობა სააპელაციო სასამართლოში..... | 45 |
| ჩანართი 5. „ისტორიული დაბინძურება“ .....                                      | 63 |

## შესავალი

საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი 1992 წელს დაიწყო. 2003 წლამდე განხორციელდა 15 000-ზე მეტი საწარმოს პრივატიზება. პროცესი უკიდურესად მიმე და არასტაბილურ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კორუფციული გარიგებებისა და ადგილობრივი და უცხოური წარმომავლობის ფულის გათეთრებისთვის. საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ქონების გაუმჭვირვალე პრივატიზება იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრალდება, რომელსაც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლება წინა ხელისუფლებას უყენებდა. შესაბამისად, პრივატიზების პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი იმ დაპირებათაგანი გახდა, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ 2004 წელს პრივატიზების ახალი „აგრესიული“ ტალღის დაწყებასთან ერთად მიიღო.

2004 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების ახალი ტალღა დაიწყო, რომელიც რეფორმატორი ხელისუფლების განცხადებით, 18 თვე უნდა გაგრძელებულიყო და წინა ეტაპებისაგან განსხვავებით, „მაქსიმალურად ობიექტური და ტრანსპარენტული“ უნდა ყოფილიყო. თუმცა, ხელისუფლების არაერთი სხვა დაპირების მსგავსად, რეალობა საპირისპირო აღმოჩნდა - განახლებული პრივატიზაციის პროცესი, მისი დაწყებიდან ექვსი წლის თავზეც კი არ დასრულებულა; გამჭვირვალობის ხარისხი, შესაძლოა, წინა წლებთან შედარებით მცირედ გაიზარდა, მაგრამ კვლავაც არადაამაკმაყოფილებელია, რამაც თავის მხრივ, განაპირობა პროცესის არაეფექტურობა და დროში გაწეღვა.

ამ მოსაზრებას არაერთი ოპონენტი ჰყავს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სტრუქტურებში. ისინი ხშირად ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზება მაქსიმალური გამჭვირვალობით ხორციელდება. ამის ერთადერთ მაჩვენებლად კი ის გარემოება სახელდება, რომ დაინტერესებულ ადამიანებს საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტების შესახებ ინფორმაციის მიღება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე, ტელევიზიით თუ პრესით გავრცელებული განცხადებებით შეუძლიათ. ასე მაგალითად, გაზეთ „კომერსანტის“ მიერ პრივატიზების გამჭვირვალობის შესახებ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების კომენტარებისას (გამოკითხვაში მონაწილეთა 56,8%-მა განაცხადა, რომ პროცესი არ არის გამჭვირვალე), ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი აღნიშნავდა, რომ მკითხველის სკეპტიკური დამოკიდებულება არაინფორმირებულობითაა გამოწვეული<sup>1</sup>.

მწვანე ალტერნატივა მათ რიგებს მიეკუთვნება, ვინც თვლის, რომ პრივატიზების პროცესი არ იწყება და არც მთავრდება საპრივატიზებო ქონების შესახებ ზოგადი ინფორმაციის გამოქვეყნებით. 2005 წლიდან მწვანე ალტერნატივა თვალს ადევნებს რამოდენიმე მსხვილი ობიექტის პრივატიზების და ამ სფეროში გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებლობის „დახვეწის“ პროცესს. სამწუხაროდ, ჩვენი გამოცდილება ნათლად აჩვენებს (და ამაში მკითხველიც დარწმუნდება), რომ საწარმოს პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის სრული ციკლი - დაწყებული ობიექტის საპრივატიზებოდ გამოტანის შესახებ გადაწყვეტილებით, დამთავრებული კონკრეტული მყიდველის შერჩევით და მისთვის ამა თუ იმ ვალეზულების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებით - დახურულია საზოგადოებისათვის.

2007 წელს მწვანე ალტერნატივამ გამოაქვეყნა პირველი ანგარიში - „სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად““, რომელშიც აღწერილი იყო 2005-2007 წლებში ორგანიზაციის მიერ პრივატიზების პროცესის მინიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევები. ეს გამოცემა 2007 წლის ანგარიშის ერთგვარი გაგრძელებაა. გამოცემაში თავდაპირველად განხილულია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში 2004 წლიდან 2010 წლის აპრილამდე განხორციელებული რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება; მომდევნო თავებში კი, აღწერილია ზოგიერთი საწარმოს პრივატიზების („თბილისის წყალი“, „საქწყალკანალი“, „მცხეთაწყალკანალი“ და „რუსთაწყალკანალი“) პროცესისა და რამოდენიმე გასხვისებული საწარმოს (ვარციხის ჰეს-ების კასკადი, ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, „მადნეული“ და „კვარციტი“) მიერ აღებული ვალდებულებების მონიტორინგის შედეგები. ანგარიშის დასასრულს წარმოდგენილია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები.

მწვანე ალტერნატივა იმედოვნებს, რომ პუბლიკაცია საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდება როგორც სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, ისე არასამთავრობო სექტორისა და უბრალოდ, დაინტერესებული მოქალაქეებისთვის. მწვანე ალტერნატივა მიესალმება ანგარიშის თაობაზე გამოთქმულ ნებისმიერ მოსაზრებას თუ შენიშვნას.

<sup>1</sup> „commerzant.ge-ს მკითხველთა 57% პრივატიზაციის პროცესს გამჭვირვალედ არ მიიჩნევს“, 27 მარტი 2010, ხელმისაწვდომია მისამართზე: [www.commerzant.ge](http://www.commerzant.ge)



## 1. „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ კანონი შესული მნიშვნელოვანი ცვლილებები

კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ მიღებულია 1997 წლის 30 მაისს. მიღებიდან დღემდე მასში 33 ცვლილება განხორციელდა, აქედან უმრავლესობა (26) - ვარდების რევილუციის შემდეგ. პირველი ცვლილება<sup>2</sup>, რომელიც კანონში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ 2004 წელს შევიდა, ერთი შეხედვით არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მნიშვნელოვნებით და ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით გაყიდვის მიზნის „რედაქტირებას“. ცვლილებამდე, კანონის თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით გაყიდვის მიზანი იყო „გასაყიდი ქონების თავისებურებიდან გამომდინარე ინვესტიციების მოზიდვა წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე“. ცვლილების შედეგად, კი „პირდაპირი მიყიდვის მიზანია საკუთრების უფლება გადაეცეს იმ მიყიდველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციის დადგენილ პირობებს“. ანუ, თუკი 2004 წლამდე ქონების ახალი მფლობელის შერჩევა შესაძლებელი იყო წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე, ახალმა ხელისუფლებამ აქცენტი მყიდველის კეთილსინდისიერებაზე გააკეთა - ოღონდ, დღემდე გაურკვეველი რჩება, პირდაპირი მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, როგორ ადგენს საქართველოს პრეზიდენტი<sup>3</sup> წინასწარ, რამდენად სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს პოტენციური მიყიდველი პრივატიზაციის დადგენილ პირობებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც კანონში 2005 წელს შევიდა, შეეხება იმ ქონების ფასს, რომელიც გამოტანილი იყო გასაყიდად, მაგრამ არ გაიყიდა. ცვლილებამდე, კანონის თანახმად, თუკი არ მოხდებოდა ორჯერ გამოტანილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მესამედ გამოტანისას ფასი 50%-ით უნდა შემცირებულიყო. ეს წესი ხშირად გამხდარა კრიტიკის საგანი და ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ის მხოლოდ სახელმწიფო ქონების „ჩალის ფასად“ გაყიდვისთვის იყო დაწესებული და პრივატიზების პროცესში კორუფციული გარიგებების შესაძლებლობას ქმნიდა. კანონის ცვლილების მიზანი, სწორედ ამგვარი პრაქტიკის აღმოფხვრა იყო. 2005 წელს განხორციელებული ცვლილების<sup>4</sup> თანახმად, ქონების საწყისი ფასი შესაძლოა (და არა სავალდებულო) შემცირდეს 50%-მდე პირველივე წარუმატებელი გაყიდვის მცდელობის შემდეგ, ხოლო თუ ქონება შემცირებულ ფასადაც არ გაიყიდა, „ეს ფასი შეიძლება კიდევ შემცირდეს“ (ამჯერად უკვე ზღვარი არ არის დადგენილი).

იმავე წელს, როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობაში ალტრუისტული მისწრაფებების მოჭარბებისა და სახელმწიფოსათვის ქონების „ნებაყოფლობით გადაცემის“ ფაქტების გახშირების გამო, საჭირო გახდა „სახელმწიფო ქონების“ განმარტებაში ცვლილების<sup>5</sup> შეტანა. კანონში არსებულ განმარტებას დაემატა „სახელმწიფო საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემული საცხოვრებელი სახლები და ბინები; სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად გადასული უმკვიდრო ქონება (საცხოვრებელი სახლები და ბინები)“.

2005 წელსვე კანონში შესული მორიგი ცვლილების<sup>6</sup> თანახმად, შესაძლებელი გახდა სასაზღვრო ზონის პრივატიზება. ცვლილებამდე, სასაზღვრო ზონა შედიოდა იმ სახელმწიფო ქონების შემადგენლობაში, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარებოდა.

მომდევნო, 2006 წელს, კანონში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება<sup>7</sup> შევიდა, რომლის თანახმად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით და მის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირობებით, შესაძლებელი გახდა ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტების და კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა-ნაგებობების პრივატიზება. ცვლილებამდე, პრივატიზებას დაქვემდებარებულ აღნიშნული სახის ქონებაში გამონაკლისს შეადგენდა რელიგიური და საკულტო ნაგებობები, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივები, კინო-, ფოტო- და ფოტოდოკუმენტების სახელმწიფო ფონდი, საქართველოს სამინისტროების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არქივები და

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2004 წლის 13 აგვისტო, №371-რს.

<sup>3</sup> კანონის თანახმად, გადაწყვეტილებას სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

<sup>4</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2005 წლის 22 მარტი, №1133-ის.

<sup>5</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2005 წლის 30 ივნისი, №1849-რს.

<sup>6</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2005 წლის 8 ივლისი, №1897-რს.

<sup>7</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2006 წლის 8 დეკემბერი, №3937-რს.



ფონდები, სამუზეუმო კოლექციები, ფონდები, ეროვნული მნიშვნელობის სახლ-მუზეუმები. საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორებმა ცვლილების განხორციელების აუცილებლობა შემდეგნაირად ახსნეს: „ვინაიდან სახელმწიფოს არ გააჩნია შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები, მოუაროს და დაიცვას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ძეგლი, ხოლო მფლობელს (ვინაიდან იგი არ არის მესაკუთრე) არ გააჩნია საკმარისი დანტერესება და შესაბამისი სახსრები მოუაროს და სათანადოდ დაიცვას მის მფლობელობაში არსებული ძეგლი, ფაქტიურად საქართველოში არსებულ უამრავ ძეგლს დაზიანების, ხოლო ხშირ შემთხვევაში განადგურების საფრთხე შეექმნა“<sup>8</sup>.

მოგვიანებით<sup>9</sup>, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით და მის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირობებით შესაძლებელი გახდა, ასევე, არქეოლოგიური დაცვის ზონაში არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზება; ხოლო იმ ქონების სიას, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება, დამატა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლები.

საქართველოს მოსახლეობისათვის დასაქმების პრობლემების მოგვარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის თითქმის ყოველდღიური დაპირების ფონზე, 2007 წლის 11 მაისს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგად გაუქმდა, ამ თვალსაზრისით, ორი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა. კერძოდ, ცვლილებამდე, კანონის თანახმად, საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მუშაკებს უსასყიდლოდ გადაეცემოდათ მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტამდე აქციები, მაგრამ არაუმეტეს საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობისა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. აღნიშნული შედეგითი ეხებოდა იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს; იმ პირებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ საწარმოში; პენსიონერებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ამ საწარმოდან არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ; და იმ პირებს, რომლებიც ამ საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები. ასევე, ცვლილების შეტანამდე, კანონი ითვალისწინებდა საწარმოს მყიდველის მიერ, საკუთრების უფლების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში, პრივატიზებული საწარმოს მუშაკებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულებას, რომელშიც უნდა შესულიყო შრომის ორგანიზაციასთან, ანაზღაურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნა 2007 წლის 11 მაისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაუქმდა.

მომდევნო, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მოცულობითი ცვლილება კანონში, წინა ცვლილებიდან ზუსტად ორ თვეში - 2007 წლის 11 ივლისს შევიდა. ცვლილება კანონის რეგულირების საგანს (სფეროს) შეეხო; შედეგად, კანონი ამჟამად არეგულირებს არამარტო სახელმწიფო ქონების, არამედ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცესსაც. რეგულირების საგნის შეცვლამ კანონის დასახელების შეცვლაც გამოიწვია და ამჟამად კანონის სახელწოდებაა: საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით, ასევე გაიზარდა იმ სახელმწიფო ქონების ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება პრივატიზებას. შესაძლებელი გახდა ისეთი ქონების გასხვისება, როგორიცაა:

- განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა;
- სამთბილიზაციო მარაგი, სახელმწიფო რეზერვი, ძვირფასი ლითონების მარაგი;
- სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა;
- სახელმწიფო საფოსტო კავშირის, რადიო-სატელევიზიო მაუწყებლობის, საქალაქთაშორისო-საერთაშორისო სატელეფონო კავშირის, სამთავრობო კავშირის საშუალებები;
- სახელმწიფო სასაფლაოები;
- სახელმწიფო წყალსადენის და საკანალიზაციო მეურნეობის ერთიანი სისტემა;
- სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები;
- სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული შენობები.

კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ ასევე დაავალდებულა საქართველოს მთავრობა, დაემტკიცებინა „განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების ნუსხა“ - ნუსხა იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონებისა, რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზებას, თუმცა არც კანონით და არც რაიმე სხვა აქტით არ ყოფილა დადგენილი თუ როდის და როგორ, რა კრიტერიუმების საფუძველზე უნდა შერჩეულიყო განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონება. შედეგად,

<sup>8</sup> კანონპროექტის განმარტებითი ბარათი

<sup>9</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2007 წლის 8 მაისი, №3937-რს.

ამ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, თავად საკანონმდებლო მოთხოვნის ბუნდოვნებისა და კრიტერიუმების არარსებობის გამო, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების ნუსხა, რომელმაც მოიცვა სულ ხუთი ობიექტი:

- სენაკის აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი;
- მარნეულის აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი;
- ფოთის ახალი (სამხედრო) ნავსადგური (ნავმისადგომი, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, შუქნიშნები, აკვატორია);
- ფოთის საზღვაო ნავსადგურის შუქურა, შუქნიშნები და აკვატორია;
- ბათუმის საზღვაო ნავსადგურის შუქურა, შუქნიშნები და აკვატორია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონის ამჟამად მოქმედი ნორმები, გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან. მაგალითად: კანონის მე-4 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იმ ქონების ჩამონათვალს, რომლის გასხვისებაც დაუშვებელია, აღარ მოიცავს „სასაზღვრო ზონას“; რაც ნიშნავს იმას, რომ სასაზღვრო ზონის პრივატიზება დაშვებულია. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება სახელმწიფო საზღვრების რეჟიმი და დაცვა. ასევე, კონსტიტუციის თანახმად, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დაცვა, კავშირგაბმულობა, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აეროპორტები, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები; ყველა ჩამოთვლილი ობიექტი, კანონის თანახმად, დღეს შესაძლებელია განკერძოვდეს.

2007 წლის 11 ივლისის ცვლილებით ამოღებულ იქნა პრივატიზებული საწარმოების მუშაკთა სოციალურ გარანტიებსა და შეღავათებთან დაკავშირებული კანონში „შემორჩენილი“ მოთხოვნებიც. ცვლილებამდე, საწარმოს მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით, პრივატიზების შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ, მყიდველის მიერ საკუთრების უფლების შექმნამდე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე იკრძალებოდა საწარმოს საშტატო განრიგის ცვლილება და მუშაკთა რაოდენობის შემცირება ან გაზრდა; ასევე, გათვალისწინებული იყო საწარმოს მყიდველის ინიციატივით გათავისუფლებული მუშაკებისათვის ერთდღიანი დახმარების გაწევა. ეს მოთხოვნებიც 2007 წლის 11 ივლისის ცვლილებების შედეგად, გაუქმდა.

ამავე საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაუქმდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების კონკურსისა და იჯარა-გამოსყიდვის ფორმები. პრივატიზების აღნიშნული ფორმების გაუქმების მიზეზი, ცვლილების ინიციატორთა განმარტებით, მათი არაეფექტურობა გახდა<sup>10</sup>. პრივატიზების იჯარა-გამოსყიდვის ფორმის ეკონომიკური ეფექტურობის სასარგებლოდ, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისის პირობებში, შესაძლებელია უამრავი არგუმენტის დასახელება. თუმცა, როდესაც ეფექტურობის შეფასება მოკლევადიან პერსპექტივაში (რომელიც, როგორც წესი, საარჩევნო ვადით განისაზღვრება) ბიუჯეტში შესული თანხის ოდენობით იზომება, პრივატიზების ეს ფორმა, მართლაც ნაკლებად ეფექტურია. რაც შეეხება პრივატიზების კონკურსის ფორმას, ის, ფაქტიურად, ჩანაცვლდა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის წესით, რომელიც კონკურსისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს.

კანონმდებელთა „ეკონომიკური ეფექტურობის“ ზემოაღნიშნულ გაგებასთან ნაკლებად შეთავსებადია კანონში 2009 წელს შესული ცვლილება<sup>11</sup>. ამ ცვლილების თანახმად, სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა თანხა უნდა გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. კანონი ამავდროულად უშვებს გამონაკლისსაც - იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიმართ შესაძლო ზიანის თავიდან აცილებისათვის, ან სასამართლო ან საარბიტრაჟო სამართალწარმოების თავიდან აცილებისათვის, ან/და დასრულებისათვის, საქართველოს პრეზიდენტს აქვს უფლება მყიდველს თანხის გადახდის ვადა ხუთი წლის ფარგლებში დაუწესოს.

დღეისათვის ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილებით<sup>12</sup>, სახელმწიფო ქონების მყიდველები გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ეკონომიკური

<sup>10</sup> კანონპროექტის განმარტებითი ბარათი

<sup>11</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, 2009 წლის 3 ნოემბერი, №1932-III.

<sup>12</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, 2010 წლის 26 მარტის N 2878 - II

განვითარების სამინისტროსთვის პერიოდულად წარდგენის ან/და გადაცემული ქონების დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 2010 წლის 1 აპრილამდე დაკისრებული/დასაკისრებელი სანქციებისაგან. ასევე, სახელმწიფო ქონების მყიდველებს მიეცათ უფლება, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეცვლის/გადახედვის თხოვნით მიმართონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

## 2. თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების პრივატიზაცია

საქართველო წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. თუმცა, ქვეყანაში კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ზედაპირული წყლების დაბინძურება, მათ შორის, ტრანსსასაზღვრო დაბინძურებაც. ზედაპირული წყლების ხარისხი, ისევე, როგორც სასმელი წყლის ხარისხი, ხშირ შემთხვევაში არაა დამაკმაყოფილებელია. პრობლემურია სასმელი წყლით მომარაგება, ასევე, საკანალიზაციო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა და რიგ შემთხვევაში, არარსებობა.

„საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების“<sup>13</sup> თანახმად, „2007 წელს სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ქვეყნის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყლის დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი, როგორც წყალსადენის გამანაწილებელ ქსელში, ასევე სათავე ნაგებობებზე. ქვეყანაში დღეისათვის მოქმედი წყალმომარაგების სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ეპიდემიური თვალსაზრისით უსაფრთხო, ქიმიური შემადგენლობით უვნებელ და ორგანოლექტიკური თვისებებით კეთილსასურველი სასმელი წყლის მოსახლეობისათვის მიწოდებას. ამასთან, წყალმომარაგების წყაროების ბუნებრივი სიუხვის ფონზე პრობლემა აქტუალურია საქართველოს თითქმის ყველა ქალაქისა და რაიონისათვის“.

### 2.1 სასმელი თბილისის წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის

თბილისის წყალმომარაგების პრობლემების მოგვარების მიზნით, 2007 წლის აპრილში ქ. თბილისის მთავრობის საკუთრებაში არსებულმა შპს „თბილისის წყალმა“<sup>14</sup> 25 მილიონი ევროს ღირებულების პროექტი დასაფინანსებლად წარუდგინა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD). პროექტი ითვალისწინებდა ქალაქის სასმელი წყლის მომწოდებელი და წყალარინების სისტემის რეაბილიტაციას, ქიმიური ლაბორატორიის გადაიარაღებას, მრავალბინიან სახლებში კომუნალური მრიცხველების დამონტაჟებას და სექტორის მართვის მიზნით, კომპანიისათვის (შპს „თბილისის წყლისთვის“) კერძო სამართლის საზოგადოებრივი პარტნიორობის (Public Private Partnership) განვითარებას.

პროექტის ანოტაციის თანახმად, დამტკიცებამდე უნდა მომზადებულიყო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, სადაც სრულად აღიწერებოდა კომპანიის საქმიანობის ფინანსური, ეკონომიკური, ტექნიკური, გარემოსდაცვითი ასპექტები და დაგეგმილი ინვესტიციები; ასევე, უნდა ჩატარებულიყო კომპანიის ანგარიშების აუდიტი. 2007 წლის 10 ივლისს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა პროექტი ისე დაამტკიცა, რომ არც ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი და არც კომპანიის ანგარიშების აუდიტი არ ჩატარებულა. ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ბანკმა პროექტის დამტკიცების დროს განიხილა, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება იყო. ასევე, არათუ პროექტის კომპონენტების საზოგადოებრივი განხილვა, არამედ თვით პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა არ ყოფილა უზრუნველყოფილი. საზოგადოებისათვის მხოლოდ პროექტის დამტკიცების შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თბილისის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული პროექტი წარმოადგენდა გეგმას, რომელიც აუცილებლად მოახდენდა გავლენას გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, ბანკის მიერ პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უგულვებელყოფილ იქნა საქართველოს მოქალაქეებისათვის ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებიც. კერძოდ:

<sup>13</sup> მომზადებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2007 წელს.

<sup>14</sup> საქმიანობის საგანი: ქ. თბილისისა და მისი მიმდებარე რაიონების სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება, ნედლი წყლის მოპოვების უზრუნველყოფა, მისი ბიოლოგიური დამუშავება, საკანალიზაციო მეურნეობის ქსელებით ჩანადენი წყლის გაშვება.



1. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>15</sup> თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ გარემოსდაცვით სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში.
2. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორპუნქტის) კონვენციის<sup>16</sup> თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა საზოგადოებამ გამჭვირვალე და სამართლიან ჩარჩოებში მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების და პროგრამების შემუშავებაში და მიაწოდოს საზოგადოებას საჭირო ინფორმაცია.
3. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის<sup>17</sup> თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს მიიღოს საკმარისი ოდენობის, უსაფრთხო, ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომი წყალი, როგორც პირადი, ასევე საოჯახო მოხმარებისათვის. ასევე, ნებისმიერ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს წყალზე ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზებაზე. ამასთან, მოქალაქეების ეს (გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების) უფლება აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს წყალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი (პოლიტიკის, პროგრამის, სტრატეგიის თუ კონკრეტული გეგმის შესახებ) გადაწყვეტილების მიღებისას. როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს წყლის და წყალმომარაგების და წყალმომარაგებასთან დაკავშირებული გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში წარდგენილი პროექტით იგეგმებოდა წყლის მომხმარებელთათვის საერთო (ე.წ. კომუნალური) მრიცხველების დამონტაჟება. აქვე შევახსენებთ მკითხველს, რომ საზოგადოებაში უკვე არსებობდა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საერთო მრიცხველებით სარგებლობისადმი. მოსახლეობის უკმაყოფილება იმდენად მწვავე იყო, რომ 2006 წლის ივნისში რეგიონებში კომუნალური მრიცხველების დადგმისა და მომხმარებლებზე დავალიანების უსამართლოდ დარიცხვის გამო, მოსახლეობის უკმაყოფილების საკითხი პარლამენტის პლენარულ სხდომაზეც კი იქნა განიხილული. 2007 წლის იანვარში კი საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იმ დადგენილების კონსტიტუციურობაზე იმსჯელა<sup>18</sup>, რომელიც სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებით წესს ადგენდა.

ამდენად, არსებული საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, თუნდაც მოსახლეობასა და „თბილისის წყალს“ შორის მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით (რომ აღარაფერი ვთქვათ კანონის მოთხოვნების შესრულებაზე), პროექტი აუცილებლად უნდა გამხდარიყო საჯარო მსჯელობის საგანი. სამწუხაროდ, თბილისის მთავრობისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისათვის, არც საზოგადოების დამოკიდებულება და არც კანონმდებლობის მოთხოვნები არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ფაქტორი პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

ზემოაღწერილი მოვლენების ფონზე, პროექტის დამტკიცებიდან ორ კვირაში, თბილისის მთავრობამ გაახმოვანა ყოვლად მოულოდნელი გადაწყვეტილება შპს „თბილისის წყლის“ გასხვისების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლის 11 მაისს შესული ცვლილებით ნებადართული გახდა სახელმწიფო წყალსადენის და საკანალიზაციო მეურნეობის სისტემის პრივატიზება. თუკი, საკანონმდებლო ცვლილებების ბოლოდროინდელ პრაქტიკას გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წყალსადენის და საკანალიზაციო მეურნეობის სისტემის არაგასხვისებადი ქონების ჩამონათვალიდან ამოღება, სწორედ კონკრეტული კომპანიის გასხვისების გეგმის არსებობამ განაპირობა. ამ ვარაუდის სისწორის შემთხვევაში, დადებით მომენტად შეიძლება განვიხილოთ ის ფაქტი, რომ თბილისის წყლით მომარაგების სისტემის გასხვისების გეგმა ორ კვირაში არ შემუშავებულა; მაგრამ მეორეს მხრივ, გამოდის, რომ შპს „თბილისის წყალი“ და თბილისის მთავრობა სესხის მოპოვებას მისი ახალი (ჯერ კიდევ უცნობი) მფლობელისთვის ლამობდნენ?! როგორც ჩანს, თბილისის მთავრობა იმედოვნებდა, რომ საწარმოს გაყიდვის შემთხვევაში, ევროპის რეკონსტრუქციისა და

<sup>15</sup> „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის ვ) პუნქტი. 1996 წლის 10 დეკემბერი, №519

<sup>16</sup> მე-7 მუხლი, საზოგადოების მონაწილეობა იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომელიც გარემოსთან არის დაკავშირებული.

<sup>17</sup> საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან

<sup>18</sup> საქართველოს მოქალაქეების შალვა ნათელაშვილისა და აკაკი მიქაძის სარჩელი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ.



განვითარების ბანკი არ გაიხმობდა უკან დამტკიცებულ სესხს და სესხით სარგებლობის უფლება ავტომატურად ახალ მფლობელზე გადავიდოდა. ამას ადასტურებს „თბილისის წყლის“ პასუხი<sup>19</sup> მწვანე ალტერნატივას წერილზე, რომელშიც საწარმოს გენერალური დირექტორი ყოველგვარი ვარაუდის გარეშე აღნიშნავდა: „გასხვისების შემთხვევაში ინვესტორი იქნება პასუხისმგებელი EBRD-ისაგან მიღებული სესხის გამოყენებასა და მომსახურებაზე“.

საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ საწარმოს გასხვისების შესახებ გადაწყვეტილებით თბილისის მთავრობამ, ფაქტიურად, უარი თქვა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მოპოვებულ სესხზე, რადგან ბანკმა სესხი თბილისის მთავრობის გარანტიით სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიას დაუმტკიცა და არა მის პოტენციურ მფლობელ კერძო კომპანიას; ბანკმა არ ისურვა სესხის უცნობი კომპანიისათვის გადაცემა და გააუქმა შეთანხმება სესხის გამოყოფის შესახებ.

## 2.2 ღარღვევაში „ინტერესთა გამოხატვის“ შესახებ განაცხადის გამოქვეყნებისას

2007 წლის 25 ივლისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და ქ. თბილისის მერიამ ერთობლივად გამოაცხადეს „ინტერესთა გამოხატვა“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ „ჟინვალჰესის“, ქ. თბილისისა (შპს „თბილისის წყალი“) და ქ. მცხეთის წყლით მომარაგების (შპს „მცხეთაწყალკანალის“) სისტემების და ქ. გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის (შპს „საქწყალკანალი“) გასხვისების მიზნით. განაცხადის თანახმად, 2007 წლის 20 სექტემბრამდე ობიექტების შეძენით დაინტერესებულ პრეტენდენტებს უნდა წარედგინათ განაცხადები, რომელშიც ასახული იქნებოდა შესაძენი ფასი და საწარმოს განვითარების გეგმა, განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობისა და ვადების მითითებით.

ვინაიდან განაცხადი „ინტერესთა გამოხატვის“ შესახებ საკმაოდ ზოგადი იყო, 2007 წლის 8 აგვისტოს მწვანე ალტერნატივამ მიმართა შპს „თბილისის წყლის“ გენერალურ დირექტორს და სთხოვა ინფორმაცია გასაყიდად გამოტანილი ობიექტების მფლობელის, საჭირო ინვესტიციებისა და გასაყიდი ფასის სავარაუდო მოცულობის შესახებ. შპს „თბილისის წყლის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „ჟინვალჰესი“ იყო „თბილისის წყლის“ მფლობელობაში, რომელიც თავის მხრივ, იყო თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება. რაც შეეხება საწარმოს ფასს და ინვესტიციების ოდენობას, შპს „თბილისის წყლის“ გენერალური დირექტორის წერილის თანახმად, პოტენციური ინვესტორის მიერ წარმოდგენილი იქნებოდა როგორც საწყისი ფასი, ასევე გრძელვადიანი გეგმა; ხოლო კომპანიის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ინვესტიციების მინიმალური ზღვარი ყოველწლიურად 40-50 მილიონი ლარის ფარგლებში მერყეობს.

ყურადსაღებია, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არის სახელმწიფოსგან უფლებამოსილი სახელმწიფო ქონების მესაკუთრე, რომელიც ფლობს, განკარგავს და მართავს სახელმწიფო ქონებას; ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვას, განკარგვას, მათ შორის, პრივატიზებას და სარგებლობის უფლებით გადაცემას ახორციელებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო. შესაბამისად, შპს „საქწყალკანალისა“ და „მცხეთაწყალკანალის“ გასხვისების მიზნით ინტერესთა გამოხატვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიეღო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ხოლო „თბილისის წყლის“ შესახებ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესთა გამოხატვის შესახებ განაცხადის გაკეთების მომენტისთვის, არ არსებობდა ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებაზე. მწვანე ალტერნატივამ წერილით მიმართა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს და სთხოვა საკრებულოს დადგენილების ასლი, რომლის საფუძველზეც თბილისის მუნიციპალიტეტს უფლება მიეცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად, გამოეცხადებინა „ინტერესთა გამოხატვა“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჟინვალჰესისა და ქ. თბილისის წყლით მომარაგების სისტემის გასხვისების მიზნით. აღნიშნულ წერილზე პასუხად, ქ. თბილისის საკრებულოს აპარატმა მწვანე ალტერნატივას მიაწოდა „ჟინვალის ჰიდროკომპლექსზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-14 გადაწყვეტილებისა და „ჟინვალის ჰიდროელექტროკომპლექსზე შექმნილი მდგომარეობისა და შპს „ჟინერთან“ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ორმხრივი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ 2004 წლის 10 აგვისტოს №61 დადგენილების ასლები. მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ საკრებულოს აპარატის მიერ მოწოდებულ დოკუმენტთაგან არცერთს არ ჰქონდა კავშირი შპს „თბილისის წყლის“ გასხვისების გეგმასთან.

<sup>19</sup> შპს „თბილისის წყლის“ გენერალური დირექტორის, გეგი ქელბაქიანის 2007 წლის 12 სექტემბრის წერილი №3673/1-19 ასოციაცია მწვანე ალტერნატივას.



გასათვალისწინებელია ასევე, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად<sup>20</sup>, ეს იყო ამ ორი უწყების ერთობლივი განაცხადი; გადაწყვეტილებას კი, პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რატომღაც მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იღებდა. კერძოდ, განაცხადში აღნიშნული იყო: „გამოქვეყნებული პუბლიკაცია და ინტერესის გამოხატვის გამოცხადება არ ავალდებულებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიყიდოს ნებისმიერი წილი, აქცია ან აქტივი შესყიდვებით დაინტერესებულ ნებისმიერ მხარეს; არ აძლევს მხარეებს სამინისტროს მიმართ ნებისმიერ სახის პრეტენზიის და რაიმე ქმედების განხორციელების უფლებას. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო იტოვებს უფლებას საკუთარი მოსაზრებით, ნებისმიერ დროს (I) გამოეთიშოს გაყიდვის პროცედურას; ან (II) შეაჩეროს ან შეცვალოს პროცედურა, ან (III) გამორიცხოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე გაყიდვის პროცედურიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საწინააღმდეგო, ნებისმიერი კომპენსაციის ან ზარალის ანაზღაურების შესახებ პრეტენზიის აღძვრის უფლების გარეშე“.

„ინტერესთა გამოხატვაზე“ მსჯელობისას, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ 2007 წლის ივლისამდე, „ინტერესთა გამოხატვას“, როგორც ქონების გასხვისების პროცედურის ნაწილს, ითვალისწინებდა არა კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“, არამედ კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მე-8 მუხლის თანახმად:

- ქონების პირდაპირი მიყიდვა დაიშვებოდა მხოლოდ კონკურენტული შერჩევის საფუძველზე;
- კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვით პრივატიზებას ექვემდებარებოდა მხოლოდ სახელმწიფო ქონება;
- პირდაპირი მიყიდვა დასაშვებია იყო განსაზღვრული პირობებით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებული იყო ამ წესის გამოყენებით მიყიდვის აუცილებლობა და უზრუნველყოფილი იყო მისი საჯაროობა;
- სახელმწიფო ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გასხვისების გეგმის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნებულიყო საერთო სახელმწიფოებრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის საინფორმაციო საშუალებებში; იმავე საინფორმაციო საშუალებებით უნდა გავრცელებულიყო ინტერესთა გამოხატვის შედეგად წარმოდგენილი ყველა განაცხადი.

“ქინვალპკისის”, ქ. თბილისისა და ქ. მცხეთის წყლით მომარაგების სისტემების და ქ. გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის გასხვისების მიზნით „ინტერესთა გამოხატვის“ შესახებ ცნობის გამოქვეყნებამდე ორი კვირით ადრე, 2007 წლის 11 ივლისს, ცვლილება შევიდა „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელმაც გააუქმა კანონის ზემოაღნიშნული მუხლი, თუმცა, იმავე დღეს ცვლილებები შევიდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში; კანონს დაემატა „მუხლი 6“. „სახელმწიფო ქონების ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე“, რომლის თანახმად:

- კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვით პრივატიზებას დაექვემდებარა არა მხოლოდ სახელმწიფო ქონება, არამედ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებაც;
- სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა უნდა განხორციელდეს საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე; ხოლო საკითხი უნდა მოამზადოს შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელმა ორგანომ, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შემთხვევაში;
- სახელმწიფო ქონების ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის აუცილებელ პირობებად, ამ წესის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთების არსებობისა და საჯაროობის ნაცვლად, განისაზღვრა ინვესტიციების განხორციელების პირობათა სიმრავლე და დაინტერესებულ პირთა მიერ შემოთავაზებული პირობების ალტერნატიულობა;
- დაინტერესებულ პირთა წინადადებები უნდა განიხილოს საქართველოს მთავრობამ და მანვე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კონკურენტული შერჩევის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე;
- კონკურენტული შერჩევის მიზნით საქართველოს მთავრობამ ქონების და შესაბამისი პირობების შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოაქვეყნოს საერთო სახელმწიფოებრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის საინფორმაციო საშუალებებში;
- ინტერესთა გამოხატვის ვადის დასრულების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ უნდა განიხილოს შემოსული განაცხადები და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს დასაბუთებული წინადადებები ქონების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შესახებ. საბოლოოდ, გადაწყვეტილებას ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე იღებს საქართველოს პრეზიდენტი.

<sup>20</sup> [www.economy.ge](http://www.economy.ge) - საიხლებების არქივი, 25.07.2007; [www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge) - ტენდერები, 23.07.2007.



ჟინვალჭვის, ქ. თბილისისა და ქ. მცხეთის წყლით მომარაგების სისტემების და ქ. გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის გასხვისების მიზნით „ინტერესთა გამოხატვის“ შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების პროცედურა არ შესაბამისობა არც „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის უკვე გაუქმებული მუხლის მოთხოვნას და არც „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით განსაზღვრულ პროცედურებს. ამდენად, მწვანე ალტერნატივამ წერილით<sup>21</sup> მიმართა ეკონომიკური განვითარების მინისტრს (გიორგი არველაძეს<sup>22</sup>) და სთხოვა განმარტება იმის თაობაზე, თუ პრივატიზების რა ფორმით იგეგმებოდა ჟინვალჭვის, ქ. თბილისისა და ქ. მცხეთის წყლით მომარაგების სისტემებისა და ქ. გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების გასხვისება; იმავე წერილით მწვანე ალტერნატივამ მოითხოვა მინისტრის იმ ბრძანების ასლი, რომლის საფუძველზეც გამოქვეყნდა აღნიშნული ობიექტების გასხვისების თაობაზე „ინტერესთა გამოხატვის“ შესახებ განცხადება.

აღნიშნულ წერილზე მწვანე ალტერნატივამ მიიღო ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, კახა დამენიას<sup>23</sup> პასუხი<sup>24</sup>, სადაც მინისტრის მოადგილე წერს, რომ ობიექტებზე ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და პრივატიზება იგეგმებოდა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით. მინისტრის მოადგილის წერილს თან არ ახლდა ჩვენს მიერ მოთხოვნილი მინისტრის ბრძანების ასლი; ასევე, არ იყო ახსნილი, მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობის მიზეზი.

მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა<sup>25</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს და სთხოვა „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის კონკრეტულ მუხლზე მითითება და კვლავ მოითხოვა მინისტრის ბრძანების ასლი, რომლის საფუძველზეც გამოქვეყნდა აღნიშნული ობიექტების გასხვისების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის შესახებ განცხადება.

სამწუხაროდ, მწვანე ალტერნატივას წერილს სამინისტროს რეაგირება არ მოჰყოლია, რის გამოც ორგანიზაციამ აბსოლუტურად იდენტური წერილით<sup>26</sup> მესამედ მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. სამინისტროსთვის მესამედ მიმართვის შემდეგ მწვანე ალტერნატივა არაერთხელ დაუკავშირდა ტელეფონით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტში მომუშავე საჯარო მოხელეს, რომელსაც, მისი განმარტებით, დაევალა მწვანე ალტერნატივას წერილებზე პასუხის გაცემა. მოხელის განმარტებით, პასუხის გაუცემლობა განპირობებული იყო ხან სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებით, ხან მინისტრის მოადგილის ადგილზე არყოფნით, ხან კი ვიზიტების დაგვიანებით და სხვა მსგავსი მიზეზებით.

მესამე წერილიდან თითქმის ოთხი თვის (და მეორე წერილიდან - თითქმის რვა თვის) შემდეგ, მწვანე ალტერნატივამ მიიღო ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, ბექა ოქროსცვარიძის პასუხი<sup>27</sup>, რომელშიც აღნიშნული იყო: „გაცნობებთ, რომ შპს „საქწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“ შპს „რუსთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი იმყოფება პრივატიზების რეჟიმში. ამასთან გაცნობებთ, რომ დღეისათვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს პრივატიზების პროცესის პირობებსა და სამართლებრივ ასპექტებზე“. მოთხოვნილი ინფორმაცია მწვანე ალტერნატივას კვლავ არ მიეწოდა, ყოველგვარი განმარტების გარეშე. აღსანიშნავია, რომ წერილი ხელმოწერილი იყო 2008 წლის 14 მაისს, ანუ იმ დღეს, როდესაც საპრივატიზაციო ხელშეკრულებების ხელმოწერისას ხელისუფლებისათვის ჩვეული პომპეზურობის გარეშე, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური

<sup>21</sup> 2007 წლის 7 აგვისტოს წერილი №04/03-78.

<sup>22</sup> 2006 წელს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პოსტის დაკავებამდე გიორგი არველაძე პარლამენტის დეპუტატი და მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი, ხოლო მოგვიანებით პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იყო. 2008 წელს გიორგი არველაძემ დატოვა მინისტრის პოსტი და კერძო ბიზნესში გადაინაცვლა. ამჟამად არველაძე მედია ჰოლდინგის გენერალური დირექტორია, რომელიც ტელეკომპანია „იმედს“ და რადიო „იმედს“ აერთიანებს, რომელთა კუთვნილების საკითხი დღემდე ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების განხილვის საგანს წარმოადგენს.

<sup>23</sup> 2005-2008 წლებში იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, მუშაობდა ქონების მართვისა და პრივატიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ამჟამად, ექს-პრემიერ-მინისტრის საკონსულტაციო კომპანიის „ნოლადიდელი კონსალტინგის“ თავმჯდომარის მოადგილე და საკონსულტაციო კომპანია „გუტოპე დამენია ჩანტლაძე სოლუმენსის“ თანამფლობელია. ამ უკანასკნელი კომპანიის კლიენტია არაერთი საწარმო, რომელიც ბატონი დამენიას ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მოღვაწეობისას გაიყიდა.

<sup>24</sup> 2007 წლის 19 სექტემბრის წერილი №16/2136/9-7.

<sup>25</sup> 2007 წლის 10 ოქტომბრის წერილი №104/03-86.

<sup>26</sup> 2008 წლის 18 იანვრის წერილი №04/03-94.

<sup>27</sup> 2008 წლის 14 მაისის წერილი №16/112/9-8.



განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის გაფორმდა შპს „რუსთაველკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულება.

### 2.2.1 მწვანე ალტერნატივას აღმინისტრაციული საჩივარი

2007 წლის 25 ივლისს გამოცხადებული „ინტერესთა გამოხატვის“ პროცესის სამართლებრივი საფუძვლისა და განაცხადის გამოქვეყნების შესახებ ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანების ასლის მოპოვებისათვის ერთი წლის განმავლობაში სამინისტროსთან უშედეგო მიმოწერის შემდეგ 2008 წლის 12 ივნისს მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს, ეკატერინე შარაშიძეს<sup>28</sup> და მოითხოვა: მითითება იმ გარემოებებზე, რომელთა მიზეზით არ მოხდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა; საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის/პირების მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება; არაერთხელ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მოწოდება; და ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც ინახებოდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და დაკავშირებული იყო საწარმოების პრივატიზებასთან.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ წარმოებაში მიიღო მწვანე ალტერნატივას საჩივარი. 2008 წლის 9 ივლისს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობაში შედგა საჩივრის ზეპირი მოსმენა. სხდომას თავმჯდომარეობდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, თეა გვარამია. მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებისაგან საჩივრის შინაარსის მოსმენის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ორი საკითხით: (1) რატომ თვლიდა ორგანიზაცია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე საწარმოების შესყიდვის შესახებ „ინტერესთა გამოხატვის“ განაცხადებს სჭირდებოდა მინისტრის ბრძანება. აქვე მან აღნიშნა, რომ თავად განათავსა ეს ინფორმაცია ვებ-გვერდზე და არ თვლიდა, რომ ამისათვის საჭირო იყო მინისტრის ბრძანება; და (2) რაში იღებს მწვანე ალტერნატივა გრანტებს და მოიცავს, თუ არა ეს ადამიანების „დაჭერის“ მოთხოვნას - ამ შემთხვევაში იგი გულისხმობდა მწვანე ალტერნატივას მოთხოვნას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომების გატარების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით აღნიშნულ საკითხზე მიმოწერაში ჩართული მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მართლაც „დაიჭირეს“, მხოლოდ არა მწვანე ალტერნატივას დამსახურებით და გაცილებით მძიმე ბრალდებით<sup>29</sup>.

ზეპირი მოსმენიდან ორი კვირის შემდეგ, ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებით<sup>30</sup>, „უსაფუძვლობის გამო“, ასოციაცია მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ბრძანების ასლის მწვანე ალტერნატივასათვის მოწოდებას 20 დღე დასჭირდა, ის არ შეესაბამებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს. კერძოდ, ბრძანება არ შეიცავდა მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, წინ უნდა უძღოდეს სარეზოლუციო ნაწილს.

ბუნებრივია, მწვანე ალტერნატივამ მოითხოვა ადმინისტრაციული საჩივრის „უსაფუძვლოდ“ მიჩნევისა და შესაბამისად, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთება. აღნიშნულ მოთხოვნაზე ორგანიზაციამ მიიღო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ნონა გოგასძის 2008 წლის 21 ივლისის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც წარმოდგენილი იყო საქართველოს კანონმდებლობისა და ფაქტების რამოდენიმე „საინტერესო“ ინტერპრეტაცია, რომელიც საფუძვლად დაედო მწვანე ალტერნატივასათვის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ასე მაგალითად, მოხსენებითი ბარათის თანახმად, „საჩივრის ავტორის მოთხოვნა ეცნობის თუ რა მიზეზით არ მოხდა მოთხოვნილი

<sup>28</sup> 2006-2008 წლებში იგი იყო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი. 2008 წლის იანვრიდან დეკემბრამდე ეკატერინე შარაშიძე იკავებდა ეკონომიკური განვითარების მინისტრის პოსტს. ამჟამად არის ეკონომიკის საკითხებში პრეზიდენტის პირადი მრჩეველი.

<sup>29</sup> 2008 წლის 30 ივლისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ბექა ოქროსცვარიძე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პრივატიზირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლაშა მოისწრაფიშვილთან ერთად დაკავებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ქრთამის აღების ფაქტზე (350 000 აშშ დოლარი). აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ქრთამის მიცემის ფაქტზე დაკავებული იყო კიდევ ერთი მოქალაქე, რომელმაც ზემოთ აღნიშნულ პირებთან კორუფციული გარიგების მეშვეობით განიზრახა რუსთავი-თბილისის გაზატყვევების მე-17 კილომეტრზე მდებარე სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული მიწის ნაკვეთების და მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობების იაფად შესყიდვა. წყარო: „ეკონომიკის სამინისტროს მაღალჩინოსნები დააკავეს“, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე განთავსებული სიახლეები, ხელმისაწვდომია <http://kud.security.gov.ge>-ზე

<sup>30</sup> საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 21 ივლისის ბრძანება №1-1/1534.



*საჯარო ინფორმაციის გაუცემლობა<sup>31</sup> არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. რადგან მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეიძლება თავისი არსიდან გამომდინარე წარმოადგენდეს ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც დაცული იქნება სამინისტროში ან საჯარო მოსამსახურის მიერ იქნება სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაციის სახით*. მწვანე ალტერნატივას არ ჰქონია იმის ილუზია, რომ სამინისტრო აკონტროლებს თავისი თანამშრომლების მიერ მოვალეობის შესრულების ხარისხს ან კეთილსინდისიერებას და მითუმეტეს, რომ მსგავსი ინფორმაცია სამინისტროში არსებობს დოკუმენტის სახით. ორგანიზაციამ მინისტრს სწორედ იმ იმედით მიმართა, რომ ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე, დაიწყებოდა სამსახურებრივი მოკვლევა საჯარო ინფორმაციის რვა თვის განმავლობაში გაუცემლობაში დამნაშავე პირის და/ან მიზეზის დასადგენად - სამწუხაროდ, აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია (საინტერესოა, მინისტრმა შარაშიძემ რატომ არ გადასცა საკითხი შესასწავლად გენერალურ ინსპექციას, რომლის უშუალო კომპეტენციაა „სამსახურებრივი უპასუხისმგებლობისა და გადაცდომის ფაქტების გამოვლენა, თავიდან აცილება და პროფილაქტიკა“).

ნანა გოგსაძე მოხსენებითი ბარათში ასევე განმარტავს: „აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინფორმაციის გაუცემლობას სამინისტროს მხრიდან ადგილი არ ჰქონია, რადგან როგორც მხარე აღნიშნავს, მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღეს შესაბამისი ინფორმაცია“ (?!). მწვანე ალტერნატივასათვის უცნობია აღნიშნული დასკვნის საფუძველები, მითუმეტეს ორგანიზაციის წარმომადგენლებს არასოდეს გაუკეთებიათ მსგავსი განცხადება.

გარდა იმისა, რომ ორგანიზაციას თურმე უკვე მიუღია მოთხოვნილი ინფორმაცია, უკანონო ყოფილა ორგანიზაციის მიერ ერთი და იგივე ინფორმაციის განმეორებით მოთხოვნა, რადგან „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ იცნობს მხარის მიერ ერთხელ უკვე მიღებულ ინფორმაციაზე დამატებით იგივე სახის ინფორმაციის გაკემას“. კანონის ეს ერთობ ინოვაციური ინტერპრეტაცია მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა - მისი ავტორი, როგორც ჩანს, არ იცნობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს. კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ნებისმიერ პირს, რომელიც წარადგენს წერილობით განცხადებას; განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი - იქნება ეს დაკარგული დოკუმენტის ხელახლა მოპოვება, ერთი და იგივე საჯარო ინფორმაციის ასლების კოლექციის შეგროვება, თუ სასურველი ინფორმაციის საბოლოოდ მიღების იმედი. ამასთან, საჯარო ინფორმაციის ნებისმიერ წერილობით მოთხოვნაზე პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა... თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს<sup>32</sup>“; ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულება უარს ამბობს ინფორმაციის გაცემაზე, აღნიშნულის თაობაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. ამასთან, „საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას“<sup>33</sup>.

ყველაზე „საინტერესო ინტერპრეტაცია“ მოხსენებით ბარათში სწორედ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის მეთოდებს ეხებოდა. კერძოდ, ბარათში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის<sup>34</sup> თანახმად, დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობაც ითვლება პასუხად, კერძოდ, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარად<sup>35</sup>“.

პირველ რიგში, ყურადსაღებია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლი არის პირველი მუხლი კოდექსის XIII თავისა, რომელიც თავის მხრივ ეხება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით

<sup>31</sup> სტილი დაცულია. სავარაუდოდ, ავტორი გულისხმობდა მწვანე ალტერნატივას მოთხოვნას საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის მიზეზების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას.

<sup>32</sup> აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მწვანე ალტერნატივას 10 წლიანი ისტორიის განმავლობაში ჯერ ადგილი არ ჰქონია შემთხვევას, როცა საჯარო უწყებამ შეატყობინა ორგანიზაციას საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის 10-დღიანი ვადის საჭიროება. ორგანიზაციამ მხოლოდ რამდენჯერმე მიიღო შეტყობინება, როდესაც ვადა 10 დღეს სცილდებოდა.

<sup>33</sup> მწვანე ალტერნატივას აქვს საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის შემთხვევების მდიდარი გამოცდილება, მაგრამ არცერთი ამ შემთხვევიდან არ განხორციელებულა აღნიშნული წესების დაცვით.

<sup>34</sup> მუხლი 177. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება; (2) ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

<sup>35</sup> აღსანიშნავია, რომ კანონის ამ აბსურდულ ინტერპრეტაციას ხშირად იყენებს სხვადასხვა საჯარო უწყება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას.

ადმინისტრაციულ წარმოებას და არა საჯარო ინფორმაციის თავისუფლებას და ხელმისაწვდომობას, რომელსაც, თავის მხრივ, საკმაოდ ვრცელი თავი ეთმობა კოდექსში და რომელიც ერთხელაც არ არის ნახსენები განმარტებით ბარათში. ასეც რომ არ იყოს, გაურკვეველია, რა კავშირი აქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილს მწვანე ალტერნატივასათვის ინფორმაციის მიუწოდებლობასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, ორგანიზაციას გააჩნია ორი ვარაუდი:

(1) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსიც და სავარაუდოდ მინისტრიც, რომელიც დაეთანხმა აღნიშნული ბარათის დასკვნებს, არასრულფასოვნად ფლობენ ქართულ ენას. საქმე იმაშია, რომ ხსენებული ნორმის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით“. აღსანიშნავია, რომ მწვანე ალტერნატივა არ ითხოვდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ორგანიზაცია ითხოვდა, სავარაუდოდ უკვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ასლის მოწოდებას.

(2) სავარაუდოდ, სამინისტროში მიაჩნიათ, რომ სამინისტროს ნებისმიერი წერილი (მათ შორის, საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის პასუხი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე) წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამ ლოგიკით, როდესაც სამინისტრო დროულად არ პასუხობს წერილს (ამ შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას), ის არღვევს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილ ვადას; ხოლო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა, ითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად.

### 2.3 “ინტერესთა გამოხატვის” შედეგები

2007 წლის 20 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსდა შემდეგი განცხადება:

*„სამინისტროში გაიხსნა 10 კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინადადებათა პაკეტი, რომლის მიხედვით ინვესტორებმა გამოხატეს ინტერესი „უინვალპისის“, თბილისისა და მცხეთის წლით მომარაგების სისტემების, ასევე გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების შესაძენად. პრეტენდენტებმა წარმოადგინეს შესაძენი ფასი და საწარმოს განვითარების გეგმა ინვესტიციების მოცულობისა და ვადების მითითებით. ეს კომპანიებია: 1. MEGAWATT; 2. BOND GROUP; 3. PENTA INVESTMENTS; 4. TAHAL GROUP; 5. GREEN LIGHTS GEORGIA; 6. MULTIPLEX GEORGIA; 7. AQUATIA; 8. CASCAL + BANK OF GEORGIA; 9. VEOLIA; 10. HIG. თითოეული კომპანიის მიერ წარმოდგენილ წინადადებებს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და თბილისის მერიის ერთობლივი კომისია განიხილავს და გამარჯვებულს რამდენიმე დღის ვადაში დაასახელებს“.*

„რამდენიმე დღე“ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა; როგორც ჩანს, წარმოდგენილი ინფორმაცია არ აღმოჩნდა საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად და პრეტენდენტებს უფრო დეტალური წინადადებათა პაკეტების წარდგენა მოსთხოვეს. 2007 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიმართა „ინტერესთა გამოხატვის“ მეორე ტური, სადაც მონაწილე ექვსმა კომპანიამ წარადგინა დამატებითი, დაზუსტებული წინადადებათა პაკეტი და სატარიფო გეგმა, ინვესტიციების მოცულობისა და ვადების მითითებით. ეს კომპანიები იყო: 1. BOND GROUP; 2. PENTA INVESTMENTS; 3. MULTIPLEX GEORGIA; 4. AQUATIA; 5. CASCAL; 6. VEOLIA.

2007 წლის 22 ოქტომბერს გამოქვეყნდა „ინტერესთა გამოხატვის“ საბოლოო შედეგები და გამოვლინდა გამარჯვებული - შვეიცარიული კომპანია „მულტიპლექს სოლუშენსი“. გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გაკეთებულ ოფიციალურ განაცხადში აღნიშნული იყო, რომ შვეიცარიული კომპანია შესაძენ ობიექტებში 85 662 000 აშშ დოლარს გადაიხდის, განახორციელებს 350 მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციას და 2008-2009 წლებში უცვლელად შეინარჩუნებს წყლის ტარიფს. გარდა ამისა, „მულტიპლექს სოლუშენსი“ ვალდებულია იღებს, რომ ის უზრუნველყოფს დედაქალაქის მოსახლეობისთვის 24 საათიან უწყვეტ წყალმომარაგებას, წყლის დაბალ ტარიფსა და მაღალ ხარისხს.

გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, შერჩევის მეორე ეტაპზე პრეტენდენტების წინადადებები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

| № | კომპანია | ფასი<br>(აშშ დოლარი) | ტარიფები ლარებში |      |      |      |      |      |  |
|---|----------|----------------------|------------------|------|------|------|------|------|--|
|   |          |                      | 2008             | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 |  |
|   |          |                      |                  |      |      |      |      |      |  |

|    |  |                   |             |             |             |             |             |             |
|----|--|-------------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| 1. | <b>მულტიპლექსი - შვეიცარია</b>                         | <b>85 662 000</b> | <b>2.40</b> | <b>2.40</b> | <b>2.95</b> | <b>2.95</b> | <b>2.95</b> | <b>2.95</b> |
| 2. | ბონდი - ჩეხეთი   | 80 000 000        | 2.40        | 3.60        | 3.60        | 3.60        | 4.70        | 4.70        |
| 3. | აქულია <sup>36</sup> 1 -ესპანეთი                       | 107 635 710       | 2.40        | 3.50        | 5.13        | 5.13        | 5.13        | 5.13        |
|    | აქულია 2   | 91 806 928        | 2.40        | 3.33        | 4.60        | 4.60        | 4.60        | 4.60        |
|    | აქულია 3   | 61 186 287        | 2.40        | 2.89        | 3.47        | 3.47        | 3.47        | 3.47        |
| 4. | კასკალი <sup>37</sup> და საქართველოს ბანკი - ბრიტანეთი | 72 532 844        | 2.40        | 3.80        | 3.80        | 3.80        | 3.80        | 3.80        |
| 5. | პენტა ინვესტმენტს - ჩეხეთი                             | 91 200 000        | 2.40        | 5.02        | 10.08       | 10.08       | 11.11       | 11.66       |
| 6. | ვეოლია <sup>38</sup> - საფრანგეთი                      | 75 562 080        | 2.70        | 3.00        | 3.20        | 3.42        | 3.78        | 3.79        |

საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ განაცხადში აღნიშნული იყო, რომ „ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და დედაქალაქის მერიაში არსებული ექსპერტთა ჯგუფი მყიდველი კომპანიის შესარჩევად შემდეგი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა: წყლის დაბალი ტარიფის შენარჩუნება, გასაყიდი მაღალი ფასი და დიდი საინვესტიციო თანხა. წარმოდგენილი კომპანიებიდან იყვნენ ისეთებიც, რომელთაც “თბილისის წყლის” შესასყიდად ძალიან მაღალი თანხა ჰქონდათ დასახელებული, თუმცა, მათ მიერ წარმოდგენილი შემოთავაზებების თანახმად, წყლის ტარიფი სამომავლოდ საგრძნობლად იზრდებოდა, რის გამოც მათი წინადადებები იქნა დაწუნებული. შესაბამისად გამარჯვებულად დასახელდა კომპანია, რომელიც ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა. მას წარმოდგენილი ჰქონდა წყლის დაბალი ტარიფი, მაღალი შესასყიდი ფასი და საინვესტიციო თანხა“.

როგორც ზემოთ მოყვანილი განაცხადებიდანაც ჩანს, წარდგენილი წინადადებების განხილვისას, კომპანიის გამოცდილება არ ყოფილა შერჩევის კრიტერიუმში. ასევე, აღსანიშნავია, რომ „მულტიპლექს სოლუმენსის“ გამარჯვებულად დასახელებისას მითითებული იყო კომპანიის მიერ შემოთავაზებული ინვესტიციების რაოდენობა; ხოლო სხვა მონაწილეების წინადადებების გამოქვეყნებისას, მითითებული იყო მხოლოდ ფასი და ტარიფების ოდენობა. ამდენად, მიუხედავად პროცესის მიმდინარეობის შესახებ საჯარო განცხადებების სიმრავლისა, საზოგადოებისთვის მაინც უცნობი დარჩა, რამდენად სამართლიანად იქნა შერჩეული გამარჯვებული კომპანია.

გადაწყვეტილების სამართლიანობაში ეჭვის შეტანის საბაზი მალევე გაჩნდა, როდესაც გამარჯვებული კომპანიის შესახებ ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და დედაქალაქის მთავრობის წარმომადგენლებს მხოლოდ იმის თქმა შეეძლოთ, რომ „მულტიპლექს სოლუმენსი“ შვეიცარიული კომპანიაა; რესპონდენტები ღიად აცხადებდნენ, რომ არ ფლობდნენ სხვა სახის ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ.

გამარჯვებულის გამოცხადებიდან ერთ კვირაში შედგა პრესკონფერენცია, რომელზეც „მულტიპლექს სოლუმენსის“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორს, ვინმე ანდრო ბასილაიას, პასუხი უნდა გაეცა ჟურნალისტების შეკითხვებზე. საოცარი ის იყო, რომ თავად წარმომადგენლობის დირექტორსაც შეზღუდული ინფორმაცია ჰქონდა კომპანიის შესახებ. მისი თქმით, უახლოეს მომავალში შედგებოდა საინვესტიციო გეგმის პრეზენტაცია, სადაც ცნობილი გახდებოდა, როგორც კომპანიის სამომავლო გეგმების დეტალები, ისე კომპანია „მულტიპლექს სოლუმენსის“ დამფუძნებლების ვინაობა. საქართველოს ერთ-ერთ მედია-საშუალებას ბატონმა ბასილაიამ ასეთი განმარტება მისცა: „*„მულტიპლექს სოლუმენსი“ საინვესტიციო კომპანიაა, თუმცა მას წყალში ინვესტიცია აქამდე არ განუხორციელებია და მისი ძირითადი ინტერესი ენერგეტიკაა. საქართველოში წარმომადგენლობას აქამდე არანაირი კონკრეტული საქმიანობა არ ჰქონია, გარდა ბაზრის შესწავლისა. რაც შეეხება მომავალ კონსორციუმს, „მულტიპლექს სოლუმენსის“ ფინანსური პარტნიორი ბრიტანული „უნიტრეიდ გროუფი“ იქნება, რომელიც ბრიტანულ კაპიტალს ეყრდნობა. ამ კომპანიისთვის საქართველო ახალი ბაზარია“<sup>39</sup>.*

ყურადსაღებია, რომ კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორის აღნიშნული დაპირება დღემდე არ შესრულებულა. კომპანიის საინვესტიციო გეგმა დღემდე არ არის ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის, რომ არაფერი ვთქვათ დამფუძნებელთა ვინაობაზე; ასევე უკვალოდ გაქრა კომპანიის ბრიტანელი პარტნიორი.

<sup>36</sup> აქულია - ესპანეთი, ესპანური კომპანიის Fomento de Construcciones y Contratas შვილობილი კომპანია, ემსახურება 23 მილიონ მომხმარებელს ესპანეთში, ალჟირში, ჩეხეთში, იტალიაში, პორტუგალიაში, ჩინეთში, პოლონეთსა და მექსიკაში.

<sup>37</sup> კასკალი - ბრიტანეთი, კომპანია დაარსდა 2000 წელს, ემსახურება 4,7 მილიონ მომხმარებელს ისეთ ქვეყნებში როგორცაა: ბრიტანეთი, ჩინეთი, ჩილე, სამხრეთ აფრიკა, ინდონეზია, პანამა, ანტიგუა და ფილიპინები.

<sup>38</sup> ვეოლია - საფრანგეთი, მსოფლიოს უმსხვილესი კერძო კომპანია, რომლის მოღვაწეობის ისტორია XIX საუკუნიდან იწყება და 150 წელს აჭარბებს; უზრუნველყოფს 64 ქვეყანაში 139 მილიონზე მეტი ადამიანის წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურებას.

<sup>39</sup> „თბილისის წყალს“ შვეიცარიული „მულტიპლექს სოლუმენსი“ ყიდულობს, 29 ოქტომბერი, 2007, ინტერპრესნიუსი

## ჩანართი 1. მულტიპლექს სოლუშენსის შესახებ

2007 წელს კომპანიის შესახებ ინფორმაციის ერთადერთი წყარო ჟენევის სავაჭრო რეესტრი<sup>40</sup> იყო, რომლის თანახმად, კომპანია Multiplex Solutions AG დარეგისტრირდა 2005 წლის 23 აგვისტოს; კომპანიის საწესდებო კაპიტალი რეგისტრაციისას 100 000 შვეიცარულ ფრანკს, დაახლოებით 90 000 აშშ დოლარს შეადგენდა (100 000 შვეიცარული ფრანკი მინიმალური კაპიტალია შვეიცარიაში სააქციო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად). რეესტრის ჩანაწერის თანახმად, მოგვიანებით, 2007 წლის დეკემბერში, საწესდებო კაპიტალი 200 000 შვეიცარულ ფრანკამდე გაიზარდა. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის თანახმად, კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელია ვინმე ბიტ სპოერი (Beat Spoerri), რომლის სახელი და გვარი 87 კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ფიგურირებს<sup>41</sup>.

იმის გამო, რომ კომპანიის შესახებ ფაქტიურად არაფერი იყო ცნობილი, კომპანიის მფლობელის შესახებ პრესაში სხვადასხვა ვერსიები ვრცელდებოდა, თუმცა, ყველა ამ ვერსიას, მფლობელის რუსული წარმომავლობა აერთიანებდა. ექვები განსაკუთრებით გამაფრთხილებელი მას შემდეგ, რაც შპს „თბილისის წყლის“ შესახებ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში გაჩნდა საწარმოს ახალი დირექტორისა და წარმომადგენლების ვინაობა. კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, საწარმოს ხელმძღვანელი იყო იური ლესი (საცხოვრებელი ადგილი: რუსეთი, ქ. მოსკოვი) - რუსული „ინტერ რაო ეს“-ის საკუთრებაში არსებული მოლდავეთის გრეს-ის მმართველობის ყოფილი თავმჯდომარე. ასევე, საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის იყო ალექსეი სერებრიაკოვი (საცხოვრებელი ადგილი: რუსეთი, ქ. მოსკოვი), რომელიც 2003 წლიდან მოხსენიებულია „გაზპრომის“ კვარტალურ ანგარიშებში<sup>42</sup>, როგორც ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის „გიპროსპეცგაზის“ დირექტორთა საბჭოს წევრი.

საქართველოს სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით<sup>43</sup> 2005 წლის 7 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებულია სს „მალტიპლექს სოლუშენსის“ თბილისის წარმომადგენლობა (ფილიალი), რომლის დამფუძნებელი ჟენევის სავაჭრო რეესტრში 2005 წლის 23 აგვისტოს რეგისტრირებული სს „მალტიპლექს სოლუშენსისა“. რეესტრში არსებული დოკუმენტაციის თანახმად<sup>44</sup>, კომპანიის რეგისტრაციიდან ორ თვეში, „სს „მალტიპლექს სოლუშენსის“ დირექტორთა საბჭოს 2005 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაფუძნებულ იქნა სს „მალტიპლექს სოლუშენსის“ წარმომადგენლობა თბილისში, დამტკიცდა წარმომადგენლობის დებულება და დანიშნულ იქნენ წარმომადგენლობის მენეჯერები“. გადაწყვეტილების თანახმად, წარმომადგენლობის მენეჯერები (დირექტორები) იყვნენ:

- დავით შენგელია - დაბადებული 1972 წლის 10 აგვისტოს ქ. თბილისში, პროფესიით იურისტი, მცხოვრები ქ. თბილისში, ჟვანიას ქ. №4;
- ლევან კაჭარავა - დაბადებული 1968 წლის 15 ივლისს ქ. თბილისში, პროფესიით ბიზნესმენი, მცხოვრები ქ. თბილისში, მცხეთის ქუჩა №2, ბინა 35.

LinkedIn<sup>45</sup>-ზე, სავარაუდოდ, დავით შენგელიას მიერ განთავსებული ინფორმაციის თანახმად, დავით შენგელია არის ჟენევაში რეგისტრირებული De Novo Alliance SA ენერგეტიკის, ლოჯისტიკისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში საკონსულტაციო კომპანიის მფლობელი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული Gamma Petroleum SA დირექტორთა საბჭოს წევრი, ამერიკულ-ქართული იურიდიული კომპანია Amirashvili, Gogishvili & Shengelia, G.P. პარტნიორი; 2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის მარტამდე იყო Multiplex Solutions SA დირექტორთა საბჭოს წევრი და თანადამფუძნებელი, ხოლო მანამდე 2001 წლის თებერვლიდან 2005 წლის მაისამდე ასევე, ჟენევაში რეგისტრირებული Silk Road Group SA დირექტორთა საბჭოს წევრი და თანადამფუძნებელი.

ლევან კაჭარავას შესახებ ცნობები მხოლოდ სხვადასხვა მედია საშუალებებში<sup>46</sup> მოიპოვება, სადაც ის მოიხსენიება როგორც ე.წ. „ვერის სამოს“ წევრი, მეტსახელად „ტილიკა“, Silk Road Group-ის თანადამფუძნებელი, სამშენებლო

<sup>40</sup> <http://ge.ch/ecohrmetic/>

<sup>41</sup> [http://www.moneyhouse.ch/en/p/spoerri\\_beat-2967115/index.htm](http://www.moneyhouse.ch/en/p/spoerri_beat-2967115/index.htm)

<sup>42</sup> [http://www.gazprom.ru/f/posts/59/948424/repiv\\_2008.doc](http://www.gazprom.ru/f/posts/59/948424/repiv_2008.doc)

<sup>43</sup> აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია დამფუძნებლების შესახებ მხოლოდ „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში შესული ცვლილების 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედების შემდეგ გახდა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი.

<sup>44</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, დავით ღიბრაძის „წარმომადგენლობის რეგისტრაციის შესახებ“ 2005 წლის 7 დეკემბრის №06/5გ-8-15 დადგენილება

<sup>45</sup> წყარო: LinkedIn - გამოცდილი პროფესიონალების მსოფლიო ქსელი <http://ch.linkedin.com/in/davidshengelia>

<sup>46</sup> „აქსისი მისი თანამშრომლების დაკავებას უარყოფს“, გაზეთი კომერსანტი, 8 დეკემბერი, 2008; „მხედრიონის“ მეკვიდრე“, ინტერნეტ გამოცემა PRESA.GE, 10 დეკემბერი, 2008; „რატომ დაიჭირეს „ტილიკა“?! ნარკოტიკები თუ პოლიტიკური სარჩული“, გაზეთი კვირის პალიტრა, დეკემბერი, 2008; „ნიკა რურუას დაიჭირენ?“, გაზეთი ახალი თაობა, 12 დეკემბერი, 2008; „გასაიდუმლოებული და წყალწაღებული რუსი ინვესტორი“, ინტერნეტ გამოცემა PRESA.GE, 30 ივლისი, 2009



კომპანია აქსისის მფლობელი და ყოფილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის - ნიკა გვარამიას ბავშვობის მეგობარი.

სს „მალტიპლექს სოლუშენსის“ დირექტორთა საბჭოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დავით შენგელია და ლევან კაჭარავა გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან და კომპანიის ერთადერთ დირექტორად დაინიშნა გიორგი გაჩეჩილაძე (დაბადებული 1968 წლის 22 იანვარს, მცხოვრები ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №9, ბინა 39) - ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი 2001-2003 წლებში.

2009 წლის 9 ივლისს „სს „მალტიპლექს სოლუშენსის“ დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით გიორგი გაჩეჩილაძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მის ადგილზე დაინიშნა 1976 წლის 26 თებერვალს დაბადებული შალვა ფიფია. 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით კი, შალვა ფიფია გიორგი კოპალეიშვილმა (დაბადებული 1976 წლის 22 აპრილს, მცხოვრები აღმაშენებლის ქ. №97-ში) შეცვალა.

## 2.4 პრაქტიკის განკარგულება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2007 წლის ოქტომბერში, „ინტერესთა გამოხატვის“ შედეგად, გამოვლინდა „ქინვალკანლის“, ქ. თბილისისა და მცხეთის წყლით მომარაგების სისტემების და გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის შემძენი შვეიცარული კომპანია „მულტიპლექს სოლუშენსი“. ვინაიდან საწარმოები პირდაპირი მიყიდვის წესით უნდა გასხვისებულიყო, საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტს უნდა მიეღო და საჭიროების და მიხედვით, პირობებიც დაეწესებინა. პრეზიდენტმა შესაბამის განკარგულებებს<sup>47</sup>, 2007 წლის ნოემბერში ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისისა და მიმდინარე მასობრივი საპროტესტო აქციების<sup>48</sup> ფონზე, პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომამდე ერთი დღით ადრე მოაწერა ხელი.

პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის განკარგულების თანახმად, კომპანია Multiplex Energy Limited-ს გადაეცა შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი, შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილისა და შპს „რუსთავეწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%. აქ მკითხველის ყურადღება გვსურს მივაპყროთ ორ გარემოებაზე: „ინტერესთა გამოხატვის“ პროცესში გამარჯვებულად გამოცხადდა შვეიცარული კომპანია Multiplex Solutions, ხოლო პრეზიდენტის განკარგულებით საწარმოები Multiplex Energy Limited-ს (როგორც შემდგომში გაირკვა, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ კომპანიას) გადაეცა; მნიშვნელოვანია ასევე, რომ „ინტერესთა გამოხატვის“ პროცესში შპს „რუსთავეწყალკანალი“ საერთოდ არ ფიგურირებდა და საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა არათუ მყიდველის მიერ შემოთავაზებული პირობები, არამედ საწარმოს გაყიდვის გეგმის არსებობაც კი. პრეზიდენტის განკარგულებით, საწარმო 15 მილიონ აშშ დოლარად 2008 წლის ბოლომდე თანხის დაფარვის ერთადერთი პირობით გასხვისდა. იმავე განკარგულებით Multiplex Energy Limited-ს 662 ათას აშშ დოლარად გადაეცა შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი და შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი.

განკარგულებით დადგინდა ასევე მცხეთის გამრიცხველიანებული მოსახლეობისათვის ყოველწლიური ტარიფი 2008-2018 წლების პერიოდისთვის (აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ინვესტორის შემოთავაზებაში ტარიფი 2013 წლამდე იყო გაწერილი). აღსანიშნავია, რომ განკარგულების თანახმად, ტარიფი უკვე 2009 წელს იზრდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ინტერესთა გამოხატვის პროცესში გამარჯვებულის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობად პირველი ორი წლის განმავლობაში ტარიფის შენარჩუნება სახელდებოდა. ასევე, განკარგულებით, მყიდველს დაევალა მცხეთის მოსახლეობის გამრიცხველიანების 2015 წლისთვის დასრულება, თუმცა გაუმრიცხველიანებული მოსახლეობის ტარიფიც 2018 წლამდე იქნა გაწერილი.

მყიდველს ასევე დაევალა 10 წლის ვადაში გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია და 5 წლის ვადაში გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და ახალი საკოლექტორო სისტემის შექმნა. საგულისხმოა, რომ ამავე განკარგულებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს

<sup>47</sup> „შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილისა და შპს „რუსთავეწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის №685 განკარგულება; და „შპს „თბილისის წყლის“ ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №702 განკარგულება.

<sup>48</sup> 2007 წლის ნოემბერში პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით დაწყებული სახალხო საპროტესტო აქცია დასრულდა პოლიციის მიერ მონაწილეთა ძალის გამოყენებით დაშლით და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით. კრიზისის საპასუხოდ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები გამოაცხადა, რომელიც 2008 წლის იანვარში ჩატარდა.



დაევალა ინვესტორის დახმარებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმის შემუშავება, იმისათვის, „რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა“.

ზემოხსენებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, მყიდველს დაევალა ხელშეკრულების გაფორმებისას 25 მილიონი აშშ დოლარის საბანკო გარანტიის წარდგენა. აღსანიშნავია, რომ კანონის<sup>49</sup> თანახმად, „კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის შემთხვევაში ინტერესთა გამოხატვის ვადის დასრულებამდე ქონების პრივატიზების პირობების შესრულების უზრუნველსაყოფად დაინტერესებული პირი ვალდებულია, წარადგინოს საბანკო გარანტია ან შესაბამის დეპოზიტზე განათავსოს საპრივატიზებო ქონების ღირებულების 5%. თუ შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობა აღემატება საპრივატიზებო ქონების ღირებულებას, აღნიშნული საბანკო გარანტია ან დეპოზიტზე განათავსებული თანხა უნდა შეესაბამებოდეს შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობის 5%-ს. პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა ირიცხება: ა) სახელმწიფო ბიუჯეტში – სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას; ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისას“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ გარიგების თანახმად, საპრივატიზებო ქონების ღირებულება (662 ათასი აშშ დოლარი) საბანკო გარანტიის ოდენობაზე ნაკლებია, უნდა ვივარაუდოთ, რომ საგარანტიო თანხა ინვესტიციების ოდენობიდან იქნა გამოთვლილი და ინვესტიციების საერთო მოცულობის 5% შეადგენს - შესაბამისად, მყიდველს ევალებოდა 500 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება „მცხეთაწყალკანალისა“ და „საქწყალკანალის“ განვითარებისათვის.

პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის განკარგულების თანახმად, Multiplex Energy Limited-ს 85 მილიონ აშშ დოლარად, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, გადაეცა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შპს „თბილისის წყლის“ 100%-იანი წილი. განკარგულებით დადგენილ იქნა ტარიფიც თბილისის გამრიცხველიანებული და გაუმრიცხველიანებული მოსახლეობისათვის (ასევე, ტარიფის ზრდით 2009 წელს), ასევე, 2018 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ კორპუსების გამრიცხველიანების დასრულება მყიდველს 2012, ხოლო მრავალბინიანი სახლების გამრიცხველიანება 2015 წლამდე დაევალა. 2012 წლისთვის მყიდველს ასევე დაევალა თბილისის ტერიტორიაზე მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრა.

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად მყიდველი ამ შემთხვევაშიც ვალდებული იყო 25 მილიონი აშშ დოლარის საბანკო გარანტია წარმოედგინა. აქაც, თუკი საგარანტიო თანხა ობიექტის ღირებულებიდან (85 მილიონი აშშ დოლარი) ითვლებოდა, მისი ოდენობა 4.25 მილიონი აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო. ამდენად, თანხა განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობიდან იყო გამოთვლილი, რომელიც ამ ლოგიკით, ასევე, 500 მილიონ აშშ დოლარს უნდა შეადგენდეს.

„თბილისის წყლის“ შემთხვევაშიც, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა, ინვესტორის დახმარებით, გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარების შესახებ გეგმის მომზადება, იმისათვის, „რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა“.

პრეზიდენტის ზემოხსენებული განკარგულებების გამოცემასთან ერთად, ლოგიკურად, უნდა დაწყებულიყო მყიდველთან შესაბამისი ხელშეკრულებების დადების პროცედურა. მიუხედავად ამისა, განკარგულებების გამოცემიდან ოთხი თვის შემდეგ, აქტების გამოცემის „ახალი ტალღა“ დაიწყო: 2008 წლის 8 აპრილს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება<sup>50</sup>, რომლითაც მოწონებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მთავრობის ერთობლივი წინადადებები და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი „თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით უწყვეტი, 24-საათიანი მომარაგების შესახებ“. მთავრობის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტს ეთხოვა, რომ „მიიღოს გადაწყვეტილება შპს „რუსთავწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის, შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილისა და შპს „თბილისის წყლის“ ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული 100% წილის პირდაპირი მიყიდვის ფორმით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „Multiplex Energy Limited“-ისათვის გადაცემის თაობაზე“.

<sup>49</sup> „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 6<sup>1</sup>, პუნქტი 9.

<sup>50</sup> „თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით უწყვეტი, 24-საათიანი მომარაგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის განხილვისა და შესაბამისი წინადადების საქართველოს პრეზიდენტისათვის წარდგენის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 აპრილის №200.

პრეზიდენტმა გაითვალისწინა მთავრობის თხოვნა და საქართველოს მთავრობის განკარგულების გამოცემიდან სულ რაღაც ორ დღეში, 2008 წლის 10 აპრილს გამოსცა განკარგულება № 245 „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა მის მიერვე 2007 წლის ნოემბერში გამოცემული აქტები („შპს „საქწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“ და შპს „რუსთავეწყალკანალის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის N 685 და შპს „თბილისის წყლის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის N 702 განკარგულებები). პრეზიდენტის ამავე განკარგულებით Multiplex Energy Limited-ს პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა:

1. შპს „რუსთავეწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი 10 მილიონ აშშ დოლარად (ეკვივალენტი ლარებში), კვლავ ყოველგვარი პირობების გარეშე (გაუქმებული განკარგულების თანახმად, თანხა 15 მილიონს შეადგენდა);
2. შპს „საქწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი და შპს „მცხეთაწყალკანალის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი 662 ათას აშშ დოლარად (ეკვივალენტი ლარებში) იგივე პირობებით, რაც პრეზიდენტის გაუქმებული განკარგულებით დადგინდა, იმ განსხვავებით, რომ მიყიდველს დაევალა მცხეთაში მომხმარებელთათვის კლექტიური მრიცხველების<sup>51</sup> დამონტაჟება; ასევე შეიცვალა საბანკო გარანტიის ოდენობა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, მიყიდველს დაევალა ბანკის მიერ გაცემული 5 მილიონი აშშ დოლარის გამოუხმობადი საბანკო გარანტიის წარმოდგენა. საბანკო გარანტიის ოდენობიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობამ 100 მილიონი აშშ დოლარი (კანონის თანახმად, საბანკო გარანტია უნდა შეესაბამებოდეს შემოთავაზებული ინვესტიციის მოცულობის 5%-ს) უნდა შეადგინოს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ძალადაკარგული განკარგულების თანახმად, ინვესტიციების მოცულობა გაცილებით დიდი იყო და 500 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.
3. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შპს „თბილისის წყლის“ 100% წილი მიყიდველს 85 მილიონი აშშ დოლარად (ეკვივალენტი ლარებში) იმავე პირობებით გადაეცა. ამ შემთხვევაშიც, მნიშვნელოვნად შემცირდა საბანკო გარანტიის და შესაბამისად, განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობა. საბანკო გარანტიის მოცულობა, ამჯერად, 10 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა; შესაბამისად, ინვესტიციების მოცულობა 200 მილიონ აშშ დოლარს უნდა შეადგენდეს. ამ შემთხვევაშიც, სავალდებულო ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად (300 მილიონი აშშ დოლარით) შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ჯამში, განსახორციელებელი ინვესტიციების ოდენობამ 300 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც პრეზიდენტის ძალადაკარგული განკარგულებებით განსაზღვრულზე (და სავარაუდოდ იმ დროისათვის მიყიდველთან შეთანხმებულზე) 700 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო „ინტერესთა გამოხატვის“ პროცესში „მულტიპლექს სოლუშენსის“ მიერ შემოთავაზებულზე 50 მილიონი აშშ დოლარით ნაკლებია.

## 2.5 ხელშეკრულება

წინა ქვეთავში აღწერილი პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეში, 2008 წლის 14 მაისს გამოიცა საქართველოს მთავრობის განკარგულება №325 „საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის გასაფორმებელი შპს „რუსთავეწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ“. მთავრობის განკარგულებით მოწონებულ იქნა, ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მთავრობას და მეორეს მხრივ, შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის გასაფორმებელი შპს „რუსთავეწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ 100%

<sup>51</sup> აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით პრეზიდენტი თავად აკრიტიკებდა საჯარო მოხელეებს, რომლებიც ელექტროენერჯის მოხმარების აღრიცხვისათვის ინვესტიციებს კლექტიური მრიცხველების დაყენების ვალდებულებას აკისრებდნენ. „საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რეგიონების გუბერნატორებთან და გამგებლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ რეგიონებში ინდივიდუალურ მრიცხველებთან დაკავშირებით კატასტროფული მდგომარეობაა. მისი თქმით, ამ მიმართულებით ვითარება მკვეთრად უნდა გამოსწორდეს, რადგან სოფელში დიდი სოციალური უსამართლობა ხდება და მეზობლები ერთმანეთს გადაეკიდნენ. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ენერგოპრო“-სთან კონტრაქტი თავის დროზე საკმაოდ ცუდად გაფორმდა. „ინვესტორს უნდა შეეუქმნათ ყველა პირობა, რათა ახლა პრობლემა არ შეექმნას, ის დამნაშავე არ არის, თუ ამ კონტრაქტის გაფორმებაზე უნიათო ხალხი მუშაობდა“ - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, იუსტიციის სამინისტრომ კარგად უნდა შეისწავლოს იმ მოხელეების საქმიანობა, რომლებიც ამ საკითხზე მუშაობდნენ და რომლებმაც ვერ გაითვალისწინეს, რომ სოფლებში ინდივიდუალური მრიცხველები უნდა ყოფილიყო“. საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი, 2009 წლის 30 მარტის რელიზი.





წილების ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს, ეკატერინე შარაშიძეს მიენიჭა უფლებამოსილება საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოეწერა ხელშეკრულებისათვის.

### 2.5.1 საჯარო უწყებებიდან ხელშეკრულების ასლის მოაოვების მცდელობა

2008 წლის 28 მაისს მწვანე ალტერნატივამ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს კახა ბენდუქიძეს<sup>52</sup> მიმართა და მოითხოვა ხელშეკრულების პროექტის ასლი, რომელიც მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის N 325 განკარგულებით. პასუხად, მწვანე ალტერნატივამ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილის, დავით კერესელიძის წერილი მიიღო, რომლითაც ორგანიზაციას ეცნობა, რომ წერილი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. იმის გათვალისწინებით, რომ მწვანე ალტერნატივა ითხოვდა სწორედ საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული დოკუმენტის ასლს, ყოველად გაურკვეველი იყო, რატომ არ აღმოჩნდა ეს დოკუმენტი საქართველოს მთავრობის კანცელარიაში და რატომ გადაეგზავნა წერილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ რეაგირებისათვის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

მოგვიანებით, 2008 წლის 19 ივნისს, მწვანე ალტერნატივამ მიიღო ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის წერილი, რომლითაც იგი უკვე ხელმოწერილი „ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1. მუხლის შესაბამისად“, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ სთხოვდა, მათ მოსაზრებებს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ასლის მწვანე ალტერნატივასათვის გადაცემის თაობაზე.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის წერილიდან ირკვევა, ხელშეკრულებას ეკატერინე შარაშიძისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე აქტის გამოცემის დღესვე მოეწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით, როდესაც ხელშეკრულებებზე ხელი პომპეზურ ცერემონიალებზე ეწერებოდა, „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედთან“ ხელშეკრულების გაფორმებამ ყოველგვარი ხმაურის გარეშე ჩაიარა.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ თვითნებურად შეცვალა მწვანე ალტერნატივას მოთხოვნა. კერძოდ, ორგანიზაცია ითხოვდა ხელშეკრულების პროექტს, რომელიც, სავარაუდოდ, არ წარმოადგენდა საიდუმლო ინფორმაციას; ხოლო სამინისტრო მხარეებს სთხოვდა თანხმობას უკვე გასაიდუმლოებული დოკუმენტის ასლის გაცემაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, შემდგომში, მწვანე ალტერნატივას არც ხელშეკრულების ასლი მიუღია ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან და არც რაიმე განმარტება რომელიმე უწყებიდან.

2008 წლის 22 ივლისს მწვანე ალტერნატივამ ეკონომიკური განვითარების მინისტრს მიმართა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა ხელშეკრულების იმ ნაწილების მოწოდება, რომელიც არ შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას. აღნიშნულ წერილზე მწვანე ალტერნატივას პასუხი არ მიუღია.

2008 წლის 25 ნოემბერს მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს და მოითხოვა შპს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების ასლის მოწოდება. იმ შემთხვევაში, თუკი დოკუმენტი შეიცავდა საიდუმლოებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, მწვანე ალტერნატივა ითხოვდა დოკუმენტის იმ ნაწილების მიწოდებას, რომელიც არ შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას; ასეთ შემთხვევაში, ორგანიზაცია ასევე ითხოვდა ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველისა და გასაიდუმლოების ვადის მითითებას.

2008 წლის 25 ნოემბერის წერილზე პასუხად, მწვანე ალტერნატივამ კვლავ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის პირველი მოადგილის, დავით კერესელიძის წერილი მიიღო, რომელიც განმარტავდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია (ანუ, საქართველოს მთავრობის სახელით ხელმოწერილი დოკუმენტი) საქართველოს მთავრობის

<sup>52</sup> 2004 წლის ივნისიდან გახდა საქართველოს მთავრობის წევრი – ეკონომიკის მინისტრი, შემდგომ ეკონომიკური განვითარების მინისტრი. 2004 წლის ბოლოს იგი დაინიშნა რეფორმების კოორდინაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრად. მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ჯანმრთელობის დაცვის, საფინანსო სექტორის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, სანებართვო-სალიცენზიო სისტემის, ენერჯეტიკისა და საჯარო სამსახურის მნიშვნელოვანი რეფორმები, შრომის ბაზრისა და საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, განახლდა პრივატიზაციის პროცესი. 2008 წლის თებერვლიდან 2009 წლის თებერვლამდე იყო საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსი.



კანცელარიაში არ მოიპოვება; მწვანე ალტერნატივას წერილი შემდგომი რეაგირებისათვის კვლავ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გადაიგზავნა.

2008 წლის 24 დეკემბერს მწვანე ალტერნატივას ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან ტელეფონით დაუკავშირდნენ. ორგანიზაციას აცნობეს, რომ ხელშეკრულების ასლი გამზადებულია და სქელტანიანობის გამო, ფოსტით გამოგზავნის ნაცვლად, დოკუმენტის თავად წაღება ურჩიეს. მკითხველს ალბათ არ გაუკვირდება, რომ მიუხედავად დაპირებისა, მეორე დღეს საქმე ოდნავ გართულდა - აღმოჩნდა, რომ თავსართი წერილი მზად არ არის, რადგან მინისტრის მოადგილე, რომელსაც ხელი უნდა მოეწერა წერილზე ჯერ არ იყო ოფიციალურად დანიშნული. საახალწლო დღესასწაულების შემდეგ საქმე კიდევ უფრო გართულდა - რამოდენიმე დღის განმავლობაში მწვანე ალტერნატივა უშედეგოდ ცდილობდა მოეძიებინა კომპეტენტური პირი, რომელსაც „გამზადებული წერილის“ ბედ-იღბალზე პასუხი ექნებოდა. 2009 წლის 16 იანვარს მიღებულმა კვლავ სატელეფონო პასუხმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა - ამჯერად აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მთელი ტექსტი გასაიდუმლოებულია და ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედთან“, რათა ამ უკანასკნელმა თანხმობა მისცეს სამინისტროს მწვანე ალტერნატივასათვის ხელშეკრულების ასლის მიწოდებაზე; ამასთან, კომპანიას, გადაწყვეტილების მიღებისათვის ესაჭიროება დეტალური ინფორმაცია მწვანე ალტერნატივას საქმიანობის შესახებ(!).

ზემოაღწერილი, ლოგიკურად, აჩენს შემდეგ კითხვებს: რის საფუძველზე აწვდიდა სამინისტრო მწვანე ალტერნატივას ხელშეკრულების ასლს 2008 წლის დეკემბერში, თუ მას კომპანიისაგან თანხმობა ამის შესახებ არ ჰქონდა? ან თუკი კომპანიის თანხმობა არ იყო საჭირო დეკემბერში, რატომ გაჩნდა ამის აუცილებლობა იანვარში? ამ კითხვებზე პასუხი, ისევე როგორც მოთხოვნილი ინფორმაცია, მწვანე ალტერნატივას ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან დღემდე არ მიუღია.

## 2.5.2 დარღვევები ხელშეკრულების სრული ტექსტის გასაიდუმლოებისას

საქართველოს მთავრობას, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის გაფორმებული შპს „რუსთაველაკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილების ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების გასაიდუმლოებით ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და საერთაშორისო შეთანხმების - ორპუსის კონვენციის მოთხოვნები. აღნიშნულზე მიუთითებს შემდეგი გარემოებები:

- ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია:

(1) ხელშეკრულება შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას.

შპს „რუსთაველაკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილების პრივატიზება განხორციელდა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით. „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, პირდაპირი მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და შესაბამისი პირობები დაადგინა საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის 10 აპრილის N 245 განკარგულებით „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

აღნიშნული განკარგულების თანახმად, შპს „რუსთაველაკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილები მყიდველს გადაეცა მთელი რიგი პირობებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. მაგალითისთვის, განკარგულების თანახმად:

- წყლის ხარისხი მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს „ჯანმოს“ (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ უნდა იყოს მცხეთაში ამჟამად არსებულზე უარესი;
- გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წელიწადში;
- გარდაბნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და ახალი საკოლექტორო სისტემა უნდა შეიქმნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წელიწადში;
- წყლის ხარისხი მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს „ჯანმოს“ (World Health Organization) ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ უნდა იყოს ქალაქ თბილისში ამჟამად არსებულზე უარესი;



- ქალაქის წყლით მომარაგება, ძველი საზღვრების ფარგლებში (26.12.06 წლის მდგომარეობით) 2011 წლიდან და შემდეგ უნდა იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2011 წლამდე არ უნდა იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
- ქალაქის წყლით მომარაგება ახალი საზღვრების ფარგლებში 2015 წლიდან და შემდეგ უნდა იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2015 წლამდე არ უნდა იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
- უნდა აღმოიფხვრას მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინება, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არაუგვიანეს 2012 წლისა.

ასევე, „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ინვესტორის დახმარებით, შეიმუშავოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების გეგმა, რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ეს ვალდებულება, ასევე მყიდველის ზემოაღნიშნული ვალდებულებები ქონების შემდგომი გამოყენების თაობაზე, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების<sup>53</sup> თანახმად (თუკი სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილია პირობები, ისინი შეტანილ უნდა იქნეს ნასყიდობის ხელშეკრულებაში), ასახული უნდა იყოს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ფლობდეს ინფორმაციას გარემოს მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე მონაცემებს იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ორჰუსის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად კი, გარემოსდაცვითი ინფორმაცია გულისხმობს „წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მოწოდებულ ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორცაა ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;
- ბ) ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერჯია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოა, რომ მოახდენს ზემოთ, ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;
- გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე ზეგავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელ ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ, ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

შპს „რუსთაფცყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყალის“ 100% წილების შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედისათვის“ გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულება და თვით პრივატიზების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს გეგმას, რომელიც აუცილებლად მოახდენს გავლენას გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ორჰუსის კონვენციის მიხედვით, ეს დოკუმენტი არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია. შესაბამისად, საჯარო უწყევას არათუ იმის უფლება არ ჰქონდა, რომ გაესაიდუმლოებინა პრივატიზების ხელშეკრულება, არამედ ის, ორჰუსის კონვენციისა<sup>54</sup> და „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის<sup>55</sup> საფუძველზე, ვალდებული იყო, მიეწოდებინა საზოგადოებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია და უზრუნველყო საზოგადოების მონაწილეობა აღნიშნული ობიექტის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

(2) ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ.

<sup>53</sup> დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის 1-1/1415 ბრძანებით.

<sup>54</sup> მე-7 მუხლი

<sup>55</sup> მე-6 მუხლის “ვ” პუნქტი

როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ არაერთხელ ჩამოთვლილი ობიექტების წილების პრივატიზება განხორციელდა პირდაპირი მიყიდვის წესით. შესაბამისად, გარიგების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების<sup>56</sup> თანახმად, უნდა შეიცავდეს ცნობებს გამყიდველის შესახებ და ინფორმაციას მხარეთა ურთიერთვალდებულებებს ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ. შესაბამისად, შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყალის“ 100% წილების გასხვისების შედეგად დადებული ხელშეკრულება უცილობლად შეიცავს ცნობებს საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისის მთავრობის შესახებ და მათი, როგორც ხელშეკრულების მხარეების ვალდებულებებს ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშეკრულება ასევე შეიცავს ინფორმაციას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესახებ. კერძოდ, მის ვალდებულებას „თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინვესტორის დახმარებით შემუშავოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების გეგმა, რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა“.

- ხელშეკრულების გასაიდუმლოებისას, არ იქნა დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დადგენილი წესი.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას არ მიაწოდა შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყალის“ 100% წილების ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ასლი იმ მოტივით, რომ თავად ხელშეკრულების 14.1 მუხლის შესაბამისად, დოკუმენტი, თითქოსდა, წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის<sup>57</sup> თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, არის, თუ არა მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია კომერციული საიდუმლოება. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ (მიიჩნიოს ან არ მიიჩნიოს კომერციულ საიდუმლოებად). ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სავარაუდოდ, საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის აღნიშნული წესი არ ყოფილა დაცული, ვინაიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივას არ მიაწოდა ნორმატიული აქტის ასლი, რომლის საფუძველზეც მოხდა ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა; მწვანე ალტერნატივასთვის მიცემული ზეპირსიტყვიერი განმარტების თანახმად, გადაწყვეტილება ასახულია თავად ხელშეკრულების ტექსტში „14.1. მუხლის“ სახით. იგივეზე მიაწინებებს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის 2008 წლის 16 მაისის წერილიც, რომლითაც იგი „ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1 მუხლის შესაბამისად“, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ სთხოვდა მათ მოსაზრებებს ხელშეკრულების ასლის მწვანე ალტერნატივასათვის გადაცემის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად<sup>58</sup>, კომერციული საიდუმლოება არის ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ძნელი წარმოსადგენია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში წარმოდგენილია მსგავსი ღირებულების მქონე ინფორმაცია და მითუმეტეს, ხელშეკრულების მთელი ტექსტი იყოს კომერციული ფასეულობის მქონე. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, ხელშეკრულება შეიცავს მთელ რიგ მონაცემებს, რომელთა გასაიდუმლოება დაუშვებელია, ან უბრალოდ, აზრსაა მოკლებული - მაგალითად, შექმნის პირობები, რომელიც დადგენილია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N 245 განკარგულებით „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და საჯაროა.

გარდა იმისა, რომ თავად ხელშეკრულების მუხლით დოკუმენტის გასაიდუმლოება ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ნორმებს, თუკი ხელშეკრულებაში მართლაც არსებობს მუხლი, რომელიც ითხოვს ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევას, არ არსებობდა თუნდაც ამ კონკრეტული მუხლის (როგორც მთლიანი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის) გასაიდუმლოების საფუძველი.

<sup>56</sup> მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი

<sup>57</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup> მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>58</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 27<sup>2</sup>, პუნქტი 1.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 30-ე მუხლის მიხედვით, „გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოითხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს“. ამ პრივატიზაციის ხელშეკრულებასთან მიმართებაში კი, კანონი არათუ არ აწესებდა მის გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას, არამედ პირიქით, პირდაპირ ადგენდა, რომ ეს ხელშეკრულება საჯარო უნდა ყოფილიყო. კერძოდ, „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონისა<sup>59</sup> და ორჰუსის კონვენციის<sup>60</sup> თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო, მიეწოდებინა საზოგადოებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია და უზრუნველყო საზოგადოების მონაწილეობა აღნიშნული ობიექტის პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების (მათ შორის ხელშეკრულების შემუშავების) პროცესში.

ამავდროულად, ხელშეკრულების 14.1 მუხლი (ასეთის საერთოდ არსებობის შემთხვევაში), რომელმაც მთელი დოკუმენტი კომერციულ საიდუმლოებად გახადა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის<sup>61</sup> თანახმად, აუცილებლად უნდა იქნეს მიჩნეული ბათილად, რადგან ის არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალავს.

### 2.5.3 მწვანე ალტერნატივას აღინისტრაციული საჩივარი

როგორც წინა ქვეთავში განვმარტეთ, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის გაფორმებული შპს „რუსთაველკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. ასეთი ინფორმაციაა: ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ და გარემოსდაცვითი ინფორმაცია; ასევე, ხელშეკრულების ტექსტის გასაიდუმლოებისას არ იქნა დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დადგენილი წესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ნებისმიერ პირს ანიჭებს უფლებას, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გაასაჩივროს საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი. ამდენად, 2009 წლის 16 მარტს მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ნიკა გილაურს და მოითხოვა ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონიერების საკითხის შესწავლა და ხელშეკრულების დოკუმენტის საჯაროობის უზრუნველყოფა.

2009 წლის 2 აპრილს მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა პრემიერ-მინისტრისთვის წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე. მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ზაზა ნანობაშვილმა საჩივრის განხილვაზე უარი მწვანე ალტერნატივას შემდეგნაირად განუმარტა: „თქვენი ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი, ვინაიდან ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება (რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27 მუხლით) არ არის თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. საჩივარში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების 14.1 მუხლით განსაზღვრულია დოკუმენტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი, თუმცა მიგვაჩნია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე სადავო საკითხების გადაწყვეტისათვის უფლებამოსილ დაწესებულებას წარმოადგენს სასამართლო“. ამგვარად, მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე, იმ მოტივით, რომ ორგანიზაციამ არ წარადგინა დოკუმენტი, რომლის არარსებობაც საჩივრის ერთ-ერთი საფუძველი იყო (!).

### 2.5.4 სასამართლო ღვაწი

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის მიღების შემდეგ, 2009 წლის 22 მაისს მწვანე ალტერნატივამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და ამჯერად სასამართლოს სთხოვა ხელშეკრულების სრული ტექსტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონიერების საკითხის შესწავლა და ხელშეკრულების დოკუმენტის განსაიდუმლოება. ათი თვის განმავლობაში სასამართლოს

<sup>59</sup> საქართველოს გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის “ვ” პუნქტი: „მოქალაქეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვით სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღების პროცესში“;

<sup>60</sup> გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის) კონვენციის მე-7 მუხლი: „ყოველი მხარე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი პრაქტიკული და/ან სხვა ზომები იმისათვის, რათა საზოგადოებამ გამჭვირვალე და სამართლიან ჩარჩოებში მიიღოს მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გეგმების და პროგრამების შემუშავებაში და მიაწოდოს საზოგადოებას საჭირო ინფორმაცია“;

<sup>61</sup> 54-ე მუხლი

მოსამზადებელი სხდომა შეიძვერ გადაიდო. გადადების მიზეზი კი ის გახდა, რომ ვერ მოხერხდა დავის მესამე მხარის - „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ - პროცესში ჩართვა. როგორც აღმოჩნდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ ფლობდა ინფორმაციას არც კომპანიის და არც მისი რომელიმე წარმომადგენლის ადგილსამყოფელის შესახებ. ერთადერთი საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც სამინისტროს გააჩნდა, იყო მისამართი, რომელზეც კომპანია ფუნქციონირებდა საწარმოების შესყიდვის პერიოდში, მცირე ხნის განმავლობაში.

კომპანიის მისამართის ძიებაში გამოიკვია ერთობ საინტერესო დეტალი - აღმოჩნდა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის დეპარტამენტს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგისა და კონტროლის პროცესში ურთიერთობა ჰქონდა კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ (ყოფილი შპს „თბილისის წყალი“), ანუ გაყიდულ ობიექტთან ერთ-ერთის მმართველ კომპანიასთან და არ გააჩნდა ინფორმაცია „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ შესახებ.

2009 წლის დეკემბერში გამართულ სხდომაზე მოსამართლემ განაცხადა, რომ სასამართლომ მიმართა შპს „თბილისის წყალს“ და მოითხოვა ინფორმაცია საწარმოს დამფუძნებლების შესახებ, მაგრამ კომპანიამ ეს ინფორმაცია არ მიაწოდა. ამავე სხდომაზე მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ 2010 წლის იანვარში, მას შემდეგ რაც ამოქმედდებოდა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში ცვლილება (რომლის თანახმად, საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული უნდა იყოს დამფუძნებელთა ვინაობა), სასამართლო თავად მიმართავდა საჯარო რეესტრს და გამოითხოვდა ინფორმაციას „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ მიერ შესყიდული საწარმოების მფლობელის შესახებ.

აქვე, მკითხველის ყურადღება გვსურს მივაპყროთ სასამართლო პროცესის პარალელურად მიმდინარე პროცესზეც. კერძოდ, 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ გამოსცა განკარგულება<sup>62</sup>, რომლითაც მოწონებულ იქნა შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის“, შპს „თბილისის წყალის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ზურაბ პოლოლიკაშვილს მიენიჭა საქართველოს მთავრობის სახელით შეთანხმებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება. აღნიშნული განკარგულების შინაარსიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა გვევარაუდა, რომ საქართველოს მთავრობა გარკვეულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედთან“ ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც სასამართლოს „ვერ აწვდიდა“ ინფორმაციას კომპანიის წარმომადგენლების ვინაობისა და მისამართის შესახებ. მეტიც, 2010 წლის თებერვალში (ანუ მას შემდეგ, რაც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედთან“ დამატებით შეთანხმებას მოაწერა ხელი) გამართულ სასამართლო სხდომაზე, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა კვლავ განაცხადა, რომ სამინისტრომ ვერ მოახერხა რაიმე სახის ინფორმაციის მოძიება კომპანიის შესახებ, გარდა იმისა, რაც უკვე წარადგინა (ანუ მისამართი, სადაც კომპანია დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებდა).

იმავე სხდომაზე აღმოჩნდა, რომ არც სასამართლოს მიუმართავს საჯარო რეესტრისთვის; ინფორმაცია მხოლოდ მწვანე ალტერნატივას ჰქონდა მოძიებული. მწვანე ალტერნატივამ სასამართლოზე სხდომაზე წარადგინა შპს „მცხეთაწყალკანალის“ და შპს „რუსთავწყალკანალის“ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი, რომლის თანახმად, საწარმოების დამფუძნებელია „უცხოური საწარმო ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმიტედი, ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.)“. სავარაუდო იყო, რომ „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედმა“ სახელი გადაირქვა, მაგრამ მწვანე ალტერნატივას ამის დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნდა; ამასთან, საჯარო რეესტრის ამონაწერში არ იყო მითითებული არც „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმიტედის“ მისამართი. აღნიშნულის საფუძველზე, მწვანე ალტერნატივამ სასამართლო სხდომაზე მოითხოვა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმოდგინა ინფორმაცია კომპანიის შესახებ შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის“, შპს „თბილისის წყალის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.

სასამართლოს მორიგი სხდომა 2010 წლის 10 მარტს დაინიშნა. მანამდე კი, მწვანე ალტერნატივამ მოიძია დამატებითი ინფორმაცია „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ შესახებ. კერძოდ, საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე განთავსდა შპს „მცხეთის წყლის“ (ყოფილი „მცხეთაწყალკანალი“) და შპს „რუსთავის წყლის“ პარტნიორთა კრების ოქმები, რომელთა თანახმად, შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ ამჟამინდელი სახელწოდებაა „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმიტედი“. ოქმებში წარმოდგენილია ასევე კომპანიის მისამართი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე,

<sup>62</sup> საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 დეკემბრის N 1025 განკარგულება „შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის“, შპს „თბილისის წყალის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ“ N1 შეთანხმების პროექტის მოწონებისა და ზურაბ პოლოლიკაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“.



დირექტორთა საბჭოს წევრების ვინაობა და მათი საქართველოში წარმომადგენლების ვინაობა და მისამართი. 2010 წლის 22 თებერვალს მწვანე ალტერნატივამ აღნიშნული ინფორმაცია სასამართლოს მიაწოდა.

2010 წლის 10 მარტს შემდგარ სხდომაზე, სასამართლოს მოთხოვნით, სხდომაზე გამოცხადდა „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმიტედის“ ერთ-ერთი დირექტორის წარმომადგენელი, ვინმე გიორგი კოპალეიშვილი. ბატონმა კოპალეიშვილმა<sup>63</sup> სასამართლოს განუცხადა, რომ მას არანაირი შეხება არ აქვს კომპანიასთან გარდა იმისა, რომ მისი ერთ-ერთი დირექტორი, ნერიუს ვეიკსა არის მისი მეგობარი და მეგობრის თხოვნით, როგორც მის წარმომადგენელს, ხელი აქვს მოწერილი რამოდენიმე „ფორმალურ“ დოკუმენტზე. ბატონი კოპალეიშვილი სასამართლოს დაპირდა, რომ შეატყობინებდა მეგობარს სასამართლო დავის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის 3 დეკემბრიდან ბატონი კოპალეიშვილი არის კომპანიის თბილისის ფილიალის დირექტორი (იხ. ჩანართი 2. მულტიპლექს სოლუმენსის შესახებ).

იმავე სხდომაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის“ და შპს „თბილისის წყალის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმიტედის“ იურიდიული მისამართია: მ. კოსტავას პირველი შესახვევი №33, თბილისი, საქართველო (ამ მისამართზე განთავსებულია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცენტრალური ოფისი). ამ ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლომ „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმიტედის“ დავაში მესამე მხარედ ჩართვის შესახებ უწყება მითითებულ მისამართზე გააგზავნა, ასევე გამოქვეყნდა საჯარო შეტყობინება.

2010 წლის 10 მარტს შემდგარ სხდომაზე მწვანე ალტერნატივამ სასამართლოს სარჩელის მოთხოვნათა გაზრდის შუამდგომლობითაც მიმართა. სარჩელის მოთხოვნათა გაზრდის მიზეზი გახდა შემდეგი გარემოება: 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება<sup>64</sup>, რომლის თანახმად მოწონებულ იქნა „შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის“, შპს „თბილისის წყალის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ“ შეთანხმების პროექტი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრს ზურაბ პოლოლიკაშვილს მიენიჭა უფლებამოსილება, საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოეწერა შეთანხმებაზე.

2010 წლის 27 იანვარს მწვანე ალტერნატივამ მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა აღნიშნული შეთანხმების ასლი. საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის პასუხი ჩვეული იყო - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედისაგან“ წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.

2010 წლის 8 თებერვალს მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მოითხოვა იმ საკანონმდებლო აქტების და/ან ნებისმიერ სხვა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის დასახელება, რომლებსაც ეყრდნობოდა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედისაგან“ წერილობითი თანხმობის მიღებამდე, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას. თუ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ კომერციულ საიდუმლოებას, მწვანე ალტერნატივამ ასევე მოითხოვა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება და წერილის ასლი, რომელიც გაეგზავნა შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ ინფორმაციის მოწოდებაზე შესათანხმებლად. აღნიშნულ მოთხოვნებზე მწვანე ალტერნატივას პასუხი არ მიუღია.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ არ განმარტა შეთანხმების მოუწოდებლობის მიზეზები, დამკვიდრებული პრაქტიკა იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ დოკუმენტი კვლავ მიჩნეულია კომერციულ საიდუმლოებად და ხელშეკრულების მსგავსად, არ არის დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესი. აღნიშნული ვარაუდის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები: (1) მყიდველისაგან შეთანხმების დოკუმენტის ასლის გაცემაზე

<sup>63</sup> აღსანიშნავია, რომ გიორგი კოპალეიშვილი ამავდროულად არის სს „მალტიპლექს სოლუმენსის“ თბილისის წარმომადგენლობის ერთდართი დირექტორი, იხ. ჩანართი 2. მალტიპლექს სოლუმენსის შესახებ.

<sup>64</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება №1025 „შპს „რუსთავწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის“, შპს „თბილისის წყალის“ 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ N1 შეთანხმების პროექტის მოწონებისა და ზურაბ პოლოლიკაშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“



ნებართვის თხოვნის საფუძველი შესაძლოა იყოს მხოლოდ ინფორმაციის კომერციული საიდუმლოების სტატუსი; (2) სამინისტრომ არ წარმოადგინა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმება, ისევე როგორც თავად ხელშეკრულება შეიცავს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ და გარემოსდაცვით ინფორმაციას. ამდენად, შეთანხმების დოკუმენტის გასაიდუმლოებით უხეშად ილახება საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, გარანტირებული საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ორჰუსის კონვენციით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე და იმის გამო, რომ შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მწვანე ალტერნატივამ სასამართლოს სთხოვა, დაავალოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შეთანხმების განსაიდუმლოება და ასლის მწვანე ალტერნატივასათვის გადაცემა.

2010 წლის 1 აპრილს შემდგარ სასამართლო სხდომაზე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წარმომადგენელი გამოცხადდა, რომელმაც განაცხადა, რომ ის დაიცავს „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმიტედის“ უფლებებს დავაში. იმის გამო, რომ კომპანიის წარმომადგენელს არ გააჩნდა რწმუნება, თანაწრობისა და მოსაზრებების სრულფასოვნად წარმოჩენის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, სასამართლოს სხდომა 2010 წლის 3 მაისისთვის გადაიდო.

ინფორმაციის განსაიდუმლოებაზე სასამართლო დავის ისტორია ჯერჯერობით აქ წყდება... დაინტერესებულ მკითხველს შემდგომში განვითარებული მოვლენებისთვის თვალყურის დევნება მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე<sup>65</sup> შეუძლია.

## ჩანართი 2. მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ „ჟინვალჰესის“, ქ. თბილისისა და ქ. მცხეთის წყლით მომარაგების სისტემების და ქ. გარდაბნის კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის გასხვისების მიზნით გამოცხადებულ „ინტერესთა გამოხატვის“ პროცესში გამარჯვებულად „მალტიპლექს სოლუმენსი“ დასახელდა, საბოლოოდ ხელშეკრულება გაფორმდა კომპანია „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედთან“. ამასთან, ამ ცვლილების შესახებ საზოგადოებისათვის განმარტება არავის მიუცია. „მალტიპლექს სოლუმენსის“ მსგავსად, არც „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ გააჩნია ვებ-გვერდი, ასევე არ იძებნება არცერთი გვერდი, სადაც კომპანია იქნება მოხსენიებული. „მალტიპლექს სოლუმენსისგან“ განსხვავებით „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ საქართველოში წარმომადგენლობა არ გააჩნია. თუმცა, თუკი საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე შპს „რუსთავის წყალის“ სარეგისტრაციო მასალებში ახლახანს განთავსებული ერთ-ერთი დოკუმენტით ვიმსჯელებთ, შვეიცარიაში რეგისტრირებული „მალტიპლექს სოლუმენსი“ და ბრიტანეთში რეგისტრირებული „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედი“ ერთი და იგივე კომპანიაა. კერძოდ, შპს „რუსთავის წყალის“ სარეგისტრაციო მასალებში წარმოდგენილია „მულტიპლექს სოლუმენსის“ ბლანკზე „მულტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ წარმომადგენლის, ანდრია ბასილიას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის გაგზავნილი, 2007 წლის 28 დეკემბრით დათარიღებული წერილი, რომლითაც ის სამინისტროს აცნობებს, რომ „მულტიპლექს ენერჯი ლიმიტედი“ გეგმავს შპს „რუსთავის წყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „მცხეთაწყალკანალის“ ფინანსური, იურიდიული და საგადასახადო რისკების აუდიტისა და დეტალური შეფასების ჩატარებას.

შპს „რუსთავის წყალის“ (ყოფილი „რუსთავკანალი“) და შპს „მცხეთის წყლის“ (ყოფილი „მცხეთაწყალკანალი“) სარეგისტრაციო მასალებში წარმოდგენილი შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ პარტნიორთა კრების ოქმების თანახმად, კომპანიის ახალი სახელწოდებაა „ჯორჯიან გლობალ უტილიტის ლიმიტედი“, ხოლო მისამართია: სიი მედოუ ჰაუსი, ბლექბერნ ჰაივეი PO Box 116, როუდ თაუნ, ტორტოლა, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები. ასევე, მასალებში წარმოდგენილი სანოტარო აქტების თანახმად, დირექტორთა საბჭოს წევრები არიან ლიტვის მოქალაქე, ნერიუს ვეიკსა (რწმუნებული პირი - გიორგი ბათლიძე ) და გოჩა მეგრელიძე (რწმუნებული პირი - გიორგი კობალეიშვილი).

<sup>65</sup>www.greenalt.org





## 2.6 ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, შპს „რუსთაველწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალისა“ და შპს „თბილისის წყალის“ 100% წილების „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედისათვის“ პირდაპირი მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო და შესაბამისი პირობები დაადგინა საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის 10 აპრილის N 245 განკარგულებით „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

აღნიშნული განკარგულების თანახმად, საწარმოთა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილები მყიდველს გადაეცა მთელი რიგი პირობებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. ეს პირობები ჩვენ 2.5.2 ქვეთავშიც ვახსენეთ, მაგრამ აქ კიდევ ერთხელ შევახსენებთ მკითხველს:

- წყლის ხარისხი მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს „ჯანმოს“ ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ უნდა იყოს მცხეთაში დღეს არსებულზე უარესი;
- გარდაზნის გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 წელიწადში;
- გარდაზნის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და ახალი საკოლექტორო სისტემა უნდა შეიქმნას ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წელიწადში;
- წყლის ხარისხი მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს „ჯანმოს“ ტექნიკურ რეგლამენტს, მაგრამ არ უნდა იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
- ქალაქის წყლით მომარაგება ძველი საზღვრების ფარგლებში (26.12.06 წლის მდგომარეობით) 2011 წლიდან და შემდეგ უნდა იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2011 წლამდე არ უნდა იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
- ქალაქის წყლით მომარაგება ახალი საზღვრების ფარგლებში 2015 წლიდან და შემდეგ უნდა იყოს უწყვეტი (24-საათიანი), მაგრამ 2015 წლამდე არ უნდა იყოს ქალაქ თბილისში დღეს არსებულზე უარესი;
- უნდა აღმოიფხვრას მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინება ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არა უგვიანეს 2012 წლისა.

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N245 განკარგულებით დადგენილი ზემოაღნიშნული პირობები და შესაბამისად, მათი შესრულების ამსახველი ნებისმიერი დოკუმენტი, ზემოთ არაერთხელ ნახსენები ორჰუსის კონვენციის თანახმად, წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას<sup>66</sup> და ხელმისაწვდომი<sup>67</sup> უნდა იყოს საზოგადოებისათვის; აგრეთვე, ეს არის ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც აუცილებლად იქონიებს გავლენას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის გასაიდუმლოებაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის<sup>68</sup> თანახმად, დაუშვებელია. რაც მთავრია, ეს არის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის<sup>69</sup> თანახმად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი მოქალაქისათვის.

2009 წლის 13 მაისს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის შემდეგ, მწვანე ალტერნატივამ წერილით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N245 განკარგულებით დადგენილი პირობების შესრულების მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია.

აღნიშნულ წერილზე პასუხად მწვანე ალტერნატივამ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის წერილი მიიღო, რომლითაც ორგანიზაციას ეცნობა, რომ „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ არ წარუდგენია სამინისტროსთვის ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესახებ, რისთვისაც დაჯარიმდა კიდევ. წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ საწარმოს გაეგზავნა წერილი, რომლითაც ჯარიმის გადახდასთან ერთად, მოეთხოვა ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა.

<sup>66</sup> მე-2 მუხლი

<sup>67</sup> მე-4 მუხლი

<sup>68</sup> 42-ე მუხლის (ა) პუნქტი

<sup>69</sup> 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი



2009 წლის 10 ნოემბერს (6 თვის შემდეგ) მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იგივე მოთხოვნით. ამჯერად, მწვანე ალტერნატივამ პასუხად ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედისათვის“ გაგზავნილი წერილის ასლი მიიღო. წერილში სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, მწვანე ალტერნატივას წერილის საფუძველზე, „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ სთხოვდა თანხმობას ხელშეკრულებების გაცემასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ წერილი ეგზავნებოდა ერეკლე მეორეს ქ. №4/10-ზე, ანუ მისამართზე, სადაც კომპანია უკვე დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებდა<sup>70</sup>.

ვინაიდან მწვანე ალტერნატივას მოთხოვნის საგანი სულ სხვა რამ იყო (ორგანიზაცია ითხოვდა არა ხელშეკრულების ასლს, არამედ პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილ პირობათა შესრულების მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტაციას), გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს მოთხოვნის დამატებითი განმარტებით. დამატებით განმარტებას არც პასუხი და არც მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოჰყოლია. 2010 წლის 27 იანვარს, იმავე მოთხოვნით, მწვანე ალტერნატივამ ამჯერად თავად ეკონომიკური განვითარების მინისტრს, ზურაბ პოლოლიკაშვილს მიმართა. პასუხად, 2010 წლის 4 თებერვალს, მწვანე ალტერნატივამ კვლავ საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის წერილი მიიღო, სადაც ის განმარტავდა, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილებას, სამინისტრო მხოლოდ „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედისგან“ წერილობითი დასტურის შემდეგ მიიღებდა. „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედისგან“ დასტურის მიღების მოლოდინის მიზეზს, წერილის ავტორი არ განმარტავდა.

ზემოაღნიშნული წერილის საპასუხოდ, 2010 წლის 8 თებერვალს მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს; ამჯერად ორგანიზაციამ მოითხოვა იმ სამართლებრივი საფუძვლის დასახელება, რომელსაც ეყრდნობოდა სამინისტრო, „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედისაგან“ წერილობითი თანხმობის მიღებამდე, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას. მწვანე ალტერნატივამ, პრევენციულად, ასევე ითხოვა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედის“ კომერციულ საიდუმლოებას. არც განმარტება და არც მოთხოვნილი ინფორმაცია მწვანე ალტერნატივას ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან არ მიუღია.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ორკვირიანი დუმის შემდეგ, 2010 წლის 22 თებერვალს მწვანე ალტერნატივამ ადმინისტრაციული საჩივრით საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა. ადმინისტრაციულ საჩივარში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან დოკუმენტის მოპოვების წარუმატებელი მცდელობის დეტალების აღწერის შემდეგ, მწვანე ალტერნატივა სთხოვდა პრემიერ-მინისტრს, დაევალებინა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის, იმ საჯარო ინფორმაციის მიწოდება, რომლის მიღების უფლებაც, ორგანიზაციას, როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად ჰქონდა. 2010 წლის 11 მარტს საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან მიღებული წერილით<sup>71</sup> მწვანე ალტერნატივას ეცნობა, რომ „წერილი“ შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

ყურადსაღებია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის<sup>72</sup> თანახმად, თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამასთან, განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

ადმინისტრაციული საჩივრის ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გადაგზავნის შესახებ შეტყობინება მწვანე ალტერნატივამ ერთი კვირის დაგვიანებით ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღო, ისიც, მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია თავად შეეცადა, გაერკვია საჩივრის ბედი. ამგვარი ქმედების დაუსაბუთებლობა, ალბათ არც არის გასაკვირი - საკმაოდ ძნელია მოიფიქრო იმის დასაბუთება, თუ რატომ ავალებ (საჩივრის თანხმად) „კანონის დამრღვევს“ (ასევე, საჩივრის თანხმად) კანონდარღვევაზე რეაგირებას.

<sup>70</sup> სამინისტროსთვის ეს ფაქტი ცნობილი უნდა ყოფილიყო, თუნდაც იმის გამო, რომ მწვანე ალტერნატივასა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის მიმდინარე სასამართლო დავისას, სასამართლომ აღნიშნულ მისამართზე კომპანიას ვერ მიაკვლია და სამინისტროს დაავალა კომპანიის სწორი მისამართის მიწოდება.

<sup>71</sup> საქართველოს მთავრობის კანცელარიის საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსის, ლევან ერიქაშვილის 2010 წლის 5 მარტის №24/37 წერილი

<sup>72</sup> მუხლი 80. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნა



საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს „რეაგირება“ კი შემდეგში გამოიხატა - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა მწვანე ალტერნატივას აცნობა, რომ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილება, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე, საჩივრდება სასამართლოში“.

საქართველოს მთავრობას, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და „მალტიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულების ანგარიშის გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მოთხოვნით, უახლოეს მომავალში მწვანე ალტერნატივა სასამართლოს მიმართავს.

## 2.7 გარემოსდაცვითი ვალდებულებები

### 2.7.1 აასუხისმგებლობა ისტორიულ დაბინძურებაზე

როგორც ერთ-ერთ წინა თავში აღვნიშნეთ, „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N245 განკარგულებით, ამ განკარგულების მიზნებისათვის<sup>73</sup>, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ინვესტორის დახმარებით, გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ გეგმის შემუშავება, „რათა ინვესტორს არ დაეკისროს ისტორიული დაბინძურების პასუხისმგებლობა“. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ვალდებულების ფორმულირება საკმაოდ ბუნდოვანი და გაუგებარია (რის საფუძველზე უნდა მოემზადებინა სამინისტროს ეს გეგმა, რა ვადებში, ან რა სახსრებით), ნათელია მიზანი - ინვესტორს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა „ისტორიული დაბინძურებაზე“<sup>74</sup>. თუკი მიზნიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, ასეთი გეგმა საწარმოების ახალი მფლობელისათვის გადაცემამდე უნდა მომზადებულიყო; სხვაგვარად, გაუგებარია, საიდან უნდა დაიწყოს საწარმოს „მიმდინარე დაბინძურების“ ათვლა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის პრეზიდენტის მიერ დაკისრებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის განკარგულების ზემოაღნიშნული მოთხოვნა ეწინააღმდეგება „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის თანახმად<sup>75</sup>, „პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის მესაკუთრე არ თავისუფლდება იმ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა სამეურნეო ობიექტის ყოფილ მესაკუთრეს. საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევით სამეურნეო ობიექტის პრივატიზებამდე საქმიანობის განხორციელების შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ეკისრება პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის ყოველ ახალ მესაკუთრეს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, არათუ არ მონაწილეობდა პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადებაში, არამედ ინფორმირებულიც კი არ იყო მსგავსი ვალდებულების არსებობის შესახებ, რაც დასტურდება მწვანე ალტერნატივასა და სამინისტროს შორის საკითხთან დაკავშირებული მიმოწერით. ქვემოთ, მოკლედ წარმოგიდგინებ ამ მიმოწერის შინაარსს.

2009 წლის 11 თებერვალს, საწარმოების გაყიდვიდან 9 თვის შემდეგ, მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, გოგა ხაჩიძეს მიმართა და ითხოვა ინფორმაცია სამინისტროს მიერ პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილი ვალდებულების შესრულების შესახებ - დაიწყო, თუ არა სამინისტრომ ამ ვალდებულების შესრულების მიზნით მუშაობა და თუ დაიწყო, ორგანიზაცია ითხოვდა ინფორმაციას უკვე განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოების თაობაზე. იმავე წერილით, მინისტრს ასევე ეცნობა, რომ ორჰუსის კონვენცია ავალდებულვდა საქართველოს მთავრობას, საქართველოს მოსახლეობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი გეგმის შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას.

აღნიშნულ წერილზე პასუხად, მწვანე ალტერნატივამ მიიღო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის, გოჩა მამაცაშვილის პასუხი, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა - წერილიდან

<sup>73</sup> ამ განკარგულების მიზნები კი, მდგომარეობდა შპს „Multiplex Energy Limited“-ისათვის შპს „რუსთაველკანალის“, შპს „საქწყალკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“ და შპს „თბილისის წყლის“ 100% წილების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემასა და პირობების დაწესებაში.

<sup>74</sup> აღსანიშნავია, რომ „ისტორიული დაბინძურების“ განმარტებას საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა.

<sup>75</sup> „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 1996 წლის 10 დეკემბერი, № 519-III, მუხლი 21. გარემოსდაცვითი მოთხოვნები პრივატიზაციის პროცესში.



ნათელი იყო, რომ სამინისტროში არც კი იცოდნენ პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილი ვალდებულების შესახებ. კერძოდ, ბატონი მამაცაშვილის წერილში აღნიშნული იყო:

*„გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ჩართულია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელ ღონისძიებათა გეგმის შემუშავების პროცესში. რაც საწყის ეტაპზე გამოიხატება იმით, რომ სამინისტროს მიერ 2008 წელს შეთანხმებული იქნა თბილისი-რუსთავის გამწმენდი ნაგებობიდან ჩამდინარე წყლებთან ერთად მდ. მტკვარში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები (ანუ ემისიის სტანდარტები), ასევე აღნიშნულ დოკუმენტში სამინისტროს რეკომენდაციით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქწყალკანალიზაცია“ მდინარე მტკვრის ჩამდინარე წყლებით დაბინძურების მინიმუმამდე დასაყვანად შეიმუშავა აუცილებელ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც მოცემულია დანართში. .... სამინისტრო შემდგომშიც აქტიურად იქნება ჩართული ამ პროცესში და იმედს გამოთქვამს, რომ საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის თქვენი ორგანიზაცია, აქტიურად ითანამშრომლებენ სამინისტროსთან, რათა სრულყოფილად იქნას განხორციელებული განკარგულებაში დასახული მიზნები და ამოცანები და ასევე ერთობლივად აქტიურად გაუწევენ ზედამხედველობას დანართში ჩამოთვლილი ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობას“.*

ვინაიდან მინისტრის მოადგილის წერილი არ სცემდა პასუხს მწვანე ალტერნატივას წერილში დასმულ საკითხებს, ორგანიზაციამ განმეორებით მიმართა სამინისტროს მოთხოვნილი ინფორმაციის დეტალური განმარტებით. ქვემოთ წარმოდგენილია ამონარიდი მწვანე ალტერნატივას წერილიდან:

*„შეგახსენებთ, რომ ჩვენ გთხოვდით ინფორმაციას საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N245 განკარგულების მეხუთე მუხლით განსაზღვრული საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვალდებულების შესრულების თაობაზე. კერძოდ, განკარგულების მეხუთე მუხლში აღნიშნულია: „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ გეგმა შეიმუშავოს ინვესტორის დახმარებით“. განკარგულების ტექსტში ნათლადაა მითითებული, რომ აღნიშნული გეგმის მომზადება სამინისტროს ვალდებულებაა. შესაბამისად, სამინისტრო აქტიურად კი არ უნდა იყოს ჩართული პროცესში (როგორც ეს თქვენს წერილშია აღნიშნული), არამედ თავად უნდა წარმართავდეს პროცესს.*

*სამინისტროს მიერ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების შეთანხმება, ისევე როგორც ნებართვის მაძიებლის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვების მოწყობა, არის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება და არ არის დაკავშირებული რაიმე ახალ ვალდებულებასთან. შესაბამისად, ეს აქტივობები ვერ ჩაითვლება პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N 245 განკარგულების მეხუთე მუხლით (რომელიც სწორედ კანონით არასავალდებულო ქმედებას ავალდებს სამინისტროს) დადგენილი ვალდებულების შესრულებად.*

*აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ „ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის N245 განკარგულებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „Multiplex Energy Limited“-ს გადაეცა არა მარტო შპს „საქწყალკანალი“, არამედ შპს „რუსთავწყალკანალი“, შპს „მცხეთაწყალკანალი“ და შპს „თბილისის წყალი“. შესაბამისად „გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ გეგმა“ უნდა მოიცავდეს პრეზიდენტის განკარგულების გასხვისებულ ყველა ობიექტს“.*

*ზემოაღნიშნული წერილის პასუხად, მწვანე ალტერნატივამ კვლავ ბატონი მამაცაშვილის წერილი მიიღო, რომელშიც ამჯერად მოკლედ და კონკრეტულად იყო აღნიშნული: „გაცნობებთ, რომ შპს „Multiplex Energy Limited“-თვის გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ გეგმა დღევანდელი მდგომარეობით შესრულებული არ არის“<sup>76</sup>.*

მწვანე ალტერნატივას ვარაუდი, იმის თაობაზე, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არ მონაწილეობდა „მალიტიპლექს ენერჯი ლიმიტედისათვის“ საწარმოების გადაცემის შესახებ პრეზიდენტის განკარგულების პროექტის მომზადების პროცესში, დადასტურდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების

<sup>76</sup> 2009 წლის 27 აგვისტოს №11/11-265



სამინისტროს კიდევ ერთი პასუხით<sup>77</sup>, რომელშიც აღნიშნულია: „თბილისის, რუსთავის და მცხეთის სასმელი წყლით უწყვეტი, 24 საათიანი მომარაგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის განხილვასა და შესაბამისი წინადადებების წარდგენაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო არ მონაწილეობდა“.

მწვანე ალტერნატივა ასევე შეეცადა, გაერკვია, თუ რომელ უწყებებთან შეთანხმებით მომზადდა შპს „მალიპლექს ენერჯი ლიმიტედისათვის“ საწარმოების გადაცემის შესახებ პრეზიდენტის განკარგულების პროექტი. შესაბამისი შეკითხვით მწვანე ალტერნატივამ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართა. სამინისტროს პასუხი<sup>78</sup> შემდეგი იყო:

„გაცნობებთ, რომ შპს „რუსთაველაკანალის“, შპს „მცხეთაწყალკანალის“, შპს „საქწყალკანალის“ შპს „თბილისის წყლის“ 100 %-იანი წილების ნაყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მალიპლექს ენერჯი ლიმიტედს“ შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება კომფიდენციალურია [სტილი დაცულია]. რაც შეეხება სხვა სახის საჯარო ინფორმაციას, აღნიშნული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არ მოეპოვება“.

## 2.7.2 გარემოზე ზემოქმედების ნებაართვა ქ. თბილისისა და რუსთავის ჩამდინარე წყლების გამწვანე ნაგებობების ნაგებობის ნებაართვა ქ. თბილისისა და რუსთავის ჩამდინარე წყლების გამწვანე ნაგებობების ნებაართვა

„გარემოზე ზემოქმედების ნებაართვის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>79</sup> თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწვანე ნაგებობების ნებაართვის განთავსება, როგორც საქმიანობა, „რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით“, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებაართვის აღებას. იმავე კანონის თანახმად, შპს „საქწყალკანალს“ (ქ. თბილისისა და ქ. რუსთავის ჩამდინარე წყლების გამწვანე ნაგებობის მფლობელს), როგორც საწარმოს, რომლის საქმიანობა დაწყებულია „გარემოსდაცვითი ნებაართვის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე (ანუ, გარემოსდაცვითი ნებაართვის შემოღებამდე), 2010 წლის 1 იანვრამდე<sup>80</sup> უნდა აეღო გარემოზე ზემოქმედების ნებაართვა. კანონის თანახმად, ასეთ შემთხვევაში „ნებაართვის მისაღებად წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა ასახავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიურ აუდიტს), ასევე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმას“.

### ჩანართი 3. საპროექტო მოქმედი გზა სისტემა

გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ), როგორც ამა თუ იმ საქმიანობის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების დამხმარე ინსტრუმენტი, რეგულირდება „გარემოზე ზემოქმედების ნებაართვის შესახებ“ კანონით. კანონის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი რეგულირების სფერო არის ისეთი ორგანიზებული საქმიანობა ან ქმედება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით.

საქართველოში მოქმედი თანამედროვე გზშ სისტემა არაფექტიურია როგორც საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმირების თვალსაზრისით, რომ აღარაფერი ვთქვათ ნებაართვის გაცემის შემდეგ მონიტორინგსა და კონტროლზე.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დასაბუთების წარმოდგენის გარეშე, მუდმივად ამტკიცებს, რომ ამჟამად არსებული გზშ კანონმდებლობა შეესაბამება ორჰუსის კონვენციისა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნებს. ამავე დროს, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები და პრაქტიკა აბსოლუტურად საპირისპიროს ადასტურებს.

ყველაზე ხშირად დავა მიმდინარეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობებზე. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

<sup>77</sup> გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის 2009 წლის 27 აგვისტოს წერილი №11/11-265 მწვანე ალტერნატივას.

<sup>78</sup> ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის 2009 წლის 1 ივნისის №18/2616/9-9 წერილი მწვანე ალტერნატივას.

<sup>79</sup> 2007 წლის 14 დეკემბერი, N 5602 – რს

<sup>80</sup> კანონის მიღებისას ვადა 2009 წლის 1 იანვრამდე იყო განსაზღვრული, კანონში 12.06.2009 N 1174 შესული ცვლილებით ვადა ერთი წლით გაგრძელდა.



(ნებართვის გამცემის ორგანო) არც ვალდებულია და არც უფლებამოსილი უზრუნველყოს ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა. სანაცვლოდ, კანონმდებლობა ავალდებულებს ინვესტორებს (საქმიანობის განმახორციელებლებს), მოახდინონ საზოგადოების ინფორმირება დაგეგმილი საქმიანობის შესახებ და უზრუნველყონ საზოგადოებასთან კონსულტაცია გზმ ანგარიშის მომზადების პროცესში, ანუ მანამ, სანამ დაიწყება ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების ადმინისტრაციული პროცედურა. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის მიხედვით საქმიანობის განმახორციელებელის მიერ მოწყობილ საჯარო განხილვებში საზოგადოების მონაწილეობა ვერ იქნება გაგებული, როგორც „გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა“, რამდენადაც საქმიანობის სუბიექტის მიერ ჩატარებული განხილვა ადმინისტრაციულ წარმოებას არ წარმოადგენს. რაც შეეხება ნებართვის გაცემის (გადაწყვეტილების მიღების) პროცესს, იგი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ტარდება (რაც გამორიცხავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას და არათუ საკითხის შესახებ, არამედ თავად პროცესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას) და სამინისტრო რჩება უფლებამოსილი, მაინც გასცეს ნებართვა მაშინაც კი, როდესაც საქმიანობის სუბიექტი საზოგადოების შენიშვნებსა და მოსაზრებებს არ ითვალისწინებს. სამინისტრო ასევე არ არის ვალდებული შეატყობინოს საზოგადოებას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

როგორც ჰოლანდიის გარემოზე ზემოქმედების შეფასების კომისია აღნიშნავს თავის 2006 წლის სარეკომენდაციო ანგარიშში<sup>81</sup>, კომისიისთვის უცნობია რომელიმე ქვეყნის მაგალითი, სადაც ინვესტორი ვალდებულია მოაწილოს საჯარო განხილვა, გაითვალისწინოს საზოგადოების შენიშვნები და შეატყობინოს საზოგადოებას თავისი შენიშვნების გათვალისწინება/გაუთვალისწინებლობის შესახებ. კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს, როგორც წესი, სახელმწიფო უწყებების ვალდებულებებია.

### 2.7.2.1 არსებული მდგომარეობა<sup>82</sup>

ქ. თბილისისა და ქ. რუსთავის გაერთიანებული კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების და მთავარი გამყვანი კოლექტორების მშენებლობა დაპროექტდა საქართველოს მთავრობის 1972 წლის 8 ივნისის დადგენილების საფუძველზე. ობიექტის მშენებლობის პროექტი ითვალისწინებდა თბილისის, რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, მცხეთის, დუშეთის და ჟინვალის დასახლების სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ჩამდინარე წყლების მექანიკურ და ბიოლოგიურ გაწმენდას. ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება ხორციელდებოდა ეტაპობრივად; ამასთან, ყოველი ეტაპის ჩაბარება ხდებოდა მნიშვნელოვანი მოცულობის დაუმთავრებელი სამუშაოებით და დეფექტებით.

გამწმენდი ნაგებობების საპროექტო სიმძლავრე შეადგენს 1.0 მილიონ კუბ/მეტრს დღე-ღამეში. თუმცა ნაგებობას დღემდე არ მიუღწევია საპროექტო სიმძლავრემდე, ვინაიდან დღეისათვის მასში არ არის ჩართული ქ. მარნეულის, ქ. გარდაბნის, ქ. მცხეთისა და დუშეთის რაიონის ჩამდინარე წყლები, აგრეთვე ქ. თბილისის ჩამდინარე წყლების 55%-60%.

ჩამდინარე წყლების მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდა 1992 წლამდე ხორციელდებოდა. ამჟამად გამწმენდი ნაგებობებზე ხორციელდება ჩამდინარე წყლების მხოლოდ მექანიკური გაწმენდა და მისი მუშაობის ეფექტიანობა შეადგენს შეწონილი ნაწილაკების 51%-ს, ხოლო ქანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილებისა 47%-ს.

გამწმენდი ნაგებობებისა და კოლექტორების ტექნიკური მდგომარეობა არადაამკაცყოფილებელია, ამორტიზებულია და შეცვლას მოითხოვს ელექტრო-მექანიკური დანადგარ-მოწყობილობა და სხვა. აღსანიშნავია, რომ კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების მუშაობის ეფექტურობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული როგორც მდინარე მტკვრის, ისე საერთოდ კასპიის ზღვის აუზის ეკოლოგიური მდგომარეობა.

### 2.7.2.2 ადმინისტრაციული წარმოება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისათვის

2009 წლის 1 ივნისს შპს „საქწყალკანალმა“, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების მიზნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარადგინა თბილისი-რუსთავის რეგიონული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „საქწყალკანალს“ უნდა წარმოედგინა დოკუმენტი, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი (ეკოლოგიური აუდიტი), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმა. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას.

<sup>81</sup> ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.commissiener.nl/ncea/pdfs/adv\\_scr/2006-04.pdf](http://www.commissiener.nl/ncea/pdfs/adv_scr/2006-04.pdf)

<sup>82</sup> წყარო: შპს საქწყალკანალის ვებ-გვერდი <http://geowater.ge/> და შპს „საქწყალკანალის“ საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში, ხელმისაწვდომია: <http://aarhus.ge/index.php?page=82&lang=geo#ქვემოქართლი2009>



- **საქართველოს პოლიტიკა და კანონმდებლობა გარემოს დაცვის სფეროში** - გაურკვეველია რა მიზნით, 109-გვერდიან დოკუმენტის ამ თავში 22 გვერდზე წარმოდგენილია გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისა და საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა.
- **გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმი** - ყოველგვარი შეფასების გარეშე აღწერილია ტექნოლოგიური რეჟიმი. არსებული მდგომარეობის აღწერას ეთმობა ორი გვერდი, აქედან ერთ გვერდზე მხოლოდ ფოტოებია წარმოდგენილი.
- **საწარმოს ტერიტორიის განლაგების რაიონის მოკლე ეკონომიკური და გეოგრაფიული დახასიათება** - აქ წარმოდგენილია ძალზე ზოგადი ინფორმაცია რეგიონის შესახებ; გვხვდება აბსოლუტურად უმიზნოდ წარმოდგენილი ინფორმაცია, მაგალითისთვის: „მდინარის კალაპოტის მონაკვეთი ქ. თბილისიდან აზერბაიჯანის საზღვრამდე ზომიერად დაკლავნილია და დატოტვილია. მდინარის ტოტები წარმოქმნიან მცირე კუნძულებს, რომელთა სიგანე მერყეობს 50-100 მ საზღვრებში, ხოლო სიგრძე – 300-500 მ-ია. ტოტების სიგანე უმეტესწილად მერყეობს 20-80 მ-ის შორის, ხოლო სიღრმე იცვლება 0,5 მ-დან 2,0 მ-მდე. დინების საშუალო სიჩქარე 1-1,5 მ/წმ. შეადგენს“.
- **სოციალურ-ეკონომიკური საკითხები** - ქვეთავში, რომლის სათაურია „სოციალურ ფაქტორებზე ზემოქმედების შეფასება“ საწარმოზე საერთოდ არ არის საუბარი, საქართველოც მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები; წარმოდგენილია „მდგრადი განვითარების“ განმარტება და დეტალურადაა განხილული მდგრადი განვითარების პრინციპები; მაგალითი ქვეთავიდან: „მშვიდობა, განვითარება და გარემოს დაცვა ურთიერთდაკავშირებული და განუყოფელი ცნებებია“.
- **ხმაური** - დოკუმენტის 62-ე გვერდზე პირველად არის ნახსენები, რომ ჩატარდა რაიმე სახის კვლევა: „ჩატარებულია მავნე ზემოქმედების შეფასება, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს პროცესებით გამოწვეულ ხმაურთან“; თუმცა შედეგებზე არსად არ არის საუბარი; აღწერილია, თუ როგორ უნდა ჩატარდეს კვლევა.
- **ატმოსფერული ჰაერის ხარისხი** - დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ობიექტი განთავსებულია მდ. მტკვრის ხეობაში, გაშლილ ტერიტორიაზე, რომელზეც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები საერთოდ არ არის. აქედან გამომდინარე, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა წყაროების ინვენტარიზაციის ჩატარება და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შემუშავება არ არის საჭირო (!!).
- **ნარჩენების მართვა** - აღსანიშნავია, რომ თბილისისა და რუსთავის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გარდაბნის რეგიონულ გამწმენდ ნაგებობებზე ამჟამად დაგროვილია 150 ათას ტონამდე ნალექი, რომელსაც ყოველწლიურად ემატება 10-15 ათასი ტონა ახალი მასა, რომელიც სერიოზულ პრობლემას ქმნის რეგიონში. გზმ დოკუმენტში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახის ინფორმაცია: *„უშუალოდ ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების ძირითად ნაწილს წარმოადგენს საღამე მოედნებზე გამომშრალი ლამი, რომელიც მიეწოდება იქ პირველადი სალექრებიდან. საღამე მოედნებზე გამომშრალი ლამის მნიშვნელოვანი რაოდენობა დაგროვილია გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე და ელის მომხმარებელს. საკითხი გარდაბნის საყოფაცხოვრებო და საწარმოო ჩამდინარე წყლების რეგიონალური გამწმენდი ნაგებობიდან მიღებული ნალექის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ შესწავლილ იქნა მეცნიერების მიერ, რის შემდეგაც რეკომენდირებული იქნა მისი გამოყენება ორგანული სასუქების დასამზადებლად. ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით მოყვანილია დანართი 9-ში“.* დანართში წარმოდგენილია კვების მრეწველობის მეცნიერებათა აკადემიკოსის მოსაზრება გარდაბნის საყოფაცხოვრებო და საწარმოო ჩამდინარე წყლების რეგიონული გამწმენდი ნაგებობიდან მიღებული ნალექის სასუქად გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, რომლის თანახმად, გარდაბნის რეგიონულ გამწმენდ ნაგებობაზე დაგროვილი ნალექი ორგანულ სასუქად საუკეთესოა, მაგრამ ის მნიშვნელოვნადაა დაბინძურებული მავნე მიკროფლორით. სპეციალურად სადეზინფექციო ხსნარით ან სხვა საშუალებით ლამის გაუვნებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია მისგან საუკეთესო ხარისხის, იაფი, ბიოორგანული სასუქის დამზადება. ყურადსაღებია, რომ რეალურად, დოკუმენტში პრობლემის გადაწყვეტის გზა, ან რაიმე ვალდებულება წარმოდგენილი არ არის.
- **წყლის რესურსების დაცვა** - აქ ვრცლად არის წარმოდგენილი ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ემისიის) ნორმების გაანგარიშების მეთოდოლოგია ცალკეული დამაბინძურებელი ნივთიერებისათვის.
- **ღონისძიებები ავარიული შემთხვევების თავიდან ასაცილებლად** - ამ საკითხს ანგარიშში გვერდის მესამედი ეთმობა.
- **გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა** - ამ სათაურის ქვეშ ერთ გვერდზე წარმოდგენილია სარეაბილიტაციო სამუშაოების გრაფიკი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს გეგმა მოგვაწოდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ იმის დასტურად, რომ ასრულებს პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილ ვალდებულებას (იხ. ზემოთ 2.7.1 ქვეთავი).
- **რეკომენდირებული ღონისძიებები** - აქ წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია: მცირე ჰეს-ის მშენებლობა „თბილისრესის“ გამომუშავებული წყლებისა და ქ. თბილისი-რუსთავის გამწმენდ ნაგებობაზე გაწმენდილი



ჩამდინარე წყლების გამოყენებით; ლამის დამუშავება-გაუვნებლობა მისი სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოსაყენებლად. ამასთან, აქ გაურკვეველია, ვინ ვის აძლევს რეკომენდაციებს მაშინ, როდესაც, როგორც დოკუმენტის თავფურცელზეა მინიშნებული, დოკუმენტი თავად საწარმომ მოამზადა.

- **შემარბილებელი ღონისძიებები** - ფაქტიურად, არ ყოფილა წარმოდგენილი.
- **საწარმოს ლიკვიდაცია** - ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი.

თუ შევაჯამებთ - მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი საკმაოდ სქელტანიანია, არც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი და/ან ეკოლოგიური აუდიტის შედეგები და არც მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმა წარმოდგენილი არ ყოფილა.

როგორც ზემოთ, ჩანართ 4-ში აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ხდება, ადმინისტრაციული ორგანო არ არის ვალდებული გამოაქვეყნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალები და ვადები. თუმცა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მწვანე ალტერნატივამ ისარგებლა ამ შესაძლებლობით და წინასწარ მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და როგორც დაინტერესებულმა მხარემ, ითხოვა სამინისტროში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენისთანავე, ორგანიზაციის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა. ეს ის გამოწვევის შემთხვევა იყო, როდესაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მწვანე ალტერნატივა დროულად ჩართო ადმინისტრაციულ წარმოებაში<sup>83</sup>. გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის გაცნობის შემდეგ მწვანე ალტერნატივამ სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს წარუდგინა დოკუმენტის შინაარსი და ნებართვის გაცემის პროცესთან დაკავშირებული შენიშვნები.

კერძოდ, მწვანე ალტერნატივამ შეახსენა სამინისტროს, რომ შპს „საქწყალკანალის“ მიერ სამინისტროში წარდგენილი ანგარიში უნდა ასახავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიურ აუდიტს), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმას. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>84</sup> თანახმად, კი ეკოლოგიური/გარემოსდაცვითი აუდიტი „*წარმოდგენს საქმიანობის სუბიექტის მიერ გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა, გარემოს დაცვის ნორმების (თვით საქმიანობის სუბიექტის მიერ დადგენილის ჩათვლით) შესრულებისა და ბუნებათსარგებლობის სისტემის მართვის ეფექტურობის ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ საწარმოო-ტექნოლოგიურ ციკლს და ტარდება საქმიანობის ეკოლოგიური შეფასებისა და მოხმარებული ბუნებრივი რესურსების დანაკარგების, გარემოზე მავნე ზემოქმედებისა და ნარჩენების მინიმიზაციის გზებისა და საშუალებების გამოვლენის მიზნით*“.

„საქწყალკანალმა“ სამინისტროს წარუდგინა „ტრადიციული“ გზმ ანგარიში (რომელიც, რეალურად, არც გზმ ანგარიშის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა), რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო გარემოსდაცვით აუდიტთან. შესაბამისად, კანონის<sup>85</sup> თანახმად, არსებობდა ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სრული საფუძველი. მწვანე ალტერნატივა სთხოვდა სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, დაეცვა კანონის მოთხოვნები და არ დაეშვა შპს „საქწყალკანალის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის (გზმ ანგარიშის) საფუძველზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა.

ასევე, მწვანე ალტერნატივამ სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს მოუწოდა პროცესი წარემართა ორპუსის კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, რომლის თანახმად, საქართველოს მთავრობას და ამ შემთხვევაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, შპს „საქწყალკანალის“ მიერ წარმოებულ საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისას, უნდა მიეღო ყველა ზომა ფართო საზოგადოების სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

წარდგენილ შენიშვნებზე პასუხად, მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის, გოჩა მამაცაშვილის წერილი მიიღო, რომელშიც აღნიშნული იყო: „*გაცნობებთ, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ნებართვის მისაღებად წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა ასახავდეს როგორც გარემოს არსებული*

<sup>83</sup> მწვანე ალტერნატივამ არაერთხელ მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს ადმინისტრაციული საჩივრით სხვადასხვა საწარმოებისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულობის გამო.

<sup>84</sup> მე-20 მუხლი

<sup>85</sup> „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის (ა) პუნქტი





მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიურ აუდიტს), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმას. აღნიშნული მუხლის ჩანაწერი არ ითვალისწინებს ეკოლოგიური აუდიტის ცალკე დოკუმენტად წარმოდგენის ვალდებულებას. რაც შეეხება წარმოდგენილ დოკუმენტს, აღნიშნული პროექტი გარკვეული მოცულობით შეიცავს გარემოსდაცვით აუდიტთან დაკავშირებულ საკითხებს<sup>86</sup>. ხოლო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცესთან დაკავშირებით, მინისტრის მოადგილემ გვაცნობა, რომ „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური გარემოზე ზემოქმედების ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას ხელმძღვანელობს როგორც „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე „ორჰუსის კონვენციით“.

ძნელი დასადგენია, რას გულისხმობდა მინისტრის მოადგილე „გარკვეულ მოცულობაში“, ან „გარემოსდაცვით აუდიტთან დაკავშირებულ საკითხებში“, მაგრამ კიდევ უფრო გაუგებარია, როგორ ხელმძღვანელობს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ორჰუსის კონვენციით“ ერთდროულად, როდესაც კანონი არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას, ხოლო კონვენცია პირიქით, ავალდებულებს სახელმწიფო უწყებას საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ამ წერილის ფონზე, საინტერესოა, რომ შპს „საქწყალკანალის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტის (გზმ ანგარიშის) ექსპერტიზის<sup>86</sup> საფუძველზე გაცემული, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობებით, საწარმოს ხელმძღვანელობას დაევალა თვითმონიტორინგის, საწარმოში მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ნარჩენების მართვისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების სამინისტროსთვის წარდგენა; ანუ, ფაქტიურად, სამინისტრომ საწარმოს ნებართვის გაცემის შემდეგ მოსთხოვა იმ ინფორმაციის წარდგენა, რომელიც მას ნებართვის მოსაპოვებლად უნდა წარედგინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია, რა ინფორმაციის საფუძველზე გასცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ნებართვა.

### 2.7.2.3. გარემოზე ზემოქმედების ნებართვით დადგენილი პირობების შესრულების მდგომარეობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „საქწყალკანალზე“ 2009 წლის ივნისში გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვით, საწარმოს ხელმძღვანელობას დაევალა საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის წარდგენა. ნებართვის პირობის თანახმად, გეგმა ნებართვის გაცემიდან 1 თვის ვადაში უნდა ყოფილიყო წარდგენილი სამინისტროსთან შესთანხმებლად. 2009 წლის აგვისტოში მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართა და მოითხოვა შპს „საქწყალკანალის“ მიერ წარდგენილი გეგმის ასლი. პასუხად, ორგანიზაციამ ორგვერდიანი დოკუმენტი მიიღო, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო შემარბილებელი ღონისძიებების გეგმასთან<sup>87</sup>. იმის იმედით, რომ სამინისტრო ამ სახით გეგმას არ შეითანხმებდა, მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა სამინისტროს და ითხოვა, გეგმის სამინისტროსთან შეთანხმებული ვერსიის ასლი და აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტროსა და საწარმოს შორის მიმოწერის ასლი. სამინისტროს პასუხი, ერთის მხრივ, დამამედებელი აღმოჩნდა - სამინისტროში გეგმის შეთანხმებული ვერსია არ არსებობდა; თუმცა, მეორეს მხრივ, აღმოჩნდა, რომ სამინისტროსა და საწარმოს შორის მიმოწერაც არ ყოფილა აღნიშნულ თემაზე, რაც იმის ვარაუდის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ გეგმა შეთანხმებულად ითვლებოდა (რადგან „საქწყალკანალმა“ „გეგმა“ 2009 წლის 15 ივლისს წარადგინა, ხოლო სამინისტრომ მიმოწერის არარსებობის შესახებ აგვისტოს ბოლოს გვაცნობა).

სამწუხაროდ, ჩვენი ვარაუდი გამართლდა - 2010 წლის იანვარში (ნებართვის გაცემიდან 7 თვის შემდეგ) მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა სამინისტროს და მოითხოვა, შპს „საქწყალკანალის“ საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის სამინისტროსთან შეთანხმებული ვერსიის ასლი, ასევე საწარმოს თვითმონიტორინგის, ნარჩენების მართვისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმების ასლები (ეს გეგმები საწარმოს 6 თვის ვადაში, ანუ 2009 წლის დეკემბერში უნდა შეეთანხმებინა სამინისტროსთან). პასუხად, სამინისტრომ მხოლოდ

<sup>86</sup> 2009 წლის 19 ივნისის №65 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა

<sup>87</sup> დოკუმენტი შედგებოდა გზმ-დან გადმოწერილი სამი პუნქტისაგან: 1. პუნქტში აღნიშნული იყო, რომ გამწმენდი ნაგებობიდან მდინარე მტკვარში გაწმენდილი წყალი სპეციალური სქემის მიხედვით ხდება; 2. პუნქტში აღნიშნული იყო რომ იგეგმება ლაბორატორიის აღჭურვა და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივით რეკომენდირებული გაზომვის მეთოდებზე გადასვლა და 3. პუნქტში აღწერილი იყო წყალმოსარგებლის კანონით დადგენილი ვალდებულებები.



შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის ხუთი თვის წინ მოწოდებული ვერსია წარმოადგინა, რომელიც ამჯერად ორგანიზაციას მოაწოდეს, როგორც სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის ასლი.

ჩვენთვის უცნობია, რა მიზეზით გასცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ნებართვა შპს „საქწყალკანალის“ მიერ წარდგენილ, მსუბუქად რომ ვთქვათ, „უხარისხო“ გზმ დოკუმენტზე ან რატომ შეითანხმა დოკუმენტი, რომელსაც შეუძლებელია უწოდო „გეგმა“. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი შეიძლება მხოლოდ არაკომპეტენტურობა, ან საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება იყოს (თუ გამოვრიცხავთ ე.წ. „დირექტივების ზემოდან მიცემის“ პრაქტიკას, რომელიც ოფიციალურ წყაროებს თუ დაფუჯერებთ, საქართველოში უკვე აღმოიფხვრა).

აქვე გვსურს ხაზი გავუსვათ გარემოებას, რომელიც არამარტო „საქწყალკანალისათვის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისას იყო აქტუალური. უხარისხო გზმ დოკუმენტაციის საფუძველზე ნებართვის გაცემის გასამართლებლად ხშირად მოჰყავთ არგუმენტი, რომ ნებართვის გაუცემლობა გამოიწვევს ობიექტის გაჩერებას. ასე მაგალითად, შპს „საქწყალკანალის“ გზმ ანგარიშის ეკოლოგიურ ექსპერტიზაში მონაწილე ექსპერტების ცალკეულ დასკვნებში ვკითხულობთ: „*მიუხედავად ზემოთქმული შენიშვნებისა, შპს „საქწყალკანალის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა უნდა მიეცეს, რათა მან გაავრცელოს თავისი საქმიანობა, ჩაატაროს სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და უზრუნველყოს გასუფთავებული წყლის ჩაშვება მდ. მტკვარში. სანებართვო ობიექტი, სრული თუ არასრული ტექნოლოგიური ციკლით, ნებისმიერ შემთხვევაში ემსახურება გარემოს დაცვას*“. მსგავსი შინაარსის ჩანაწერს ვკითხულობთ მეორე ექსპერტის დასკვნაშიც „*ამ ობიექტის ექსპლუატაციის შეჩერება გაცილებით გააუარესებს ისედაც არასახარბიელო ეკოლოგიურ მდგომარეობას საქართველოში. ამასთან ერთად ეს გამოიწვევს ნეგატიურ რეაქციას და სათანადო დიპლომატიურ პროტესტს მეზობელ აზერბაიჯანში. გამომდინარე აქედან, წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში მოყვანილი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის შემთხვევაში და ზემოთ აღნიშნული სავალდებულო პირობების გათვალისწინებით მოცემული პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ანგარიში შესაძლებელია შეფასდეს დადებითად და გაიცეს შესაბამისი ნებართვა*“.

ჩვენთვის უცნობია, ვინ აწვდის<sup>88</sup> ეკოლოგიურ ექსპერტიზაში მონაწილე ექსპერტებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ნებართვის გაუცემლობა საწარმოს გაჩერებას გამოიწვევს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი არგუმენტი მხოლოდ და მხოლოდ სპეკულირება და არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. იმ შემთხვევაში, თუ „საქწყალკანალს“ უარი ეთქმებოდა ნებართვის გაცემაზე, საწარმოს ჰქონდა კიდევ ხუთი თვე, რათა კანონით დადგენილ ვადამდე (2010 წლის 1 იანვრამდე) მოემზადებინა ხარისხიანი დოკუმენტი და კვლავ მიემართა სამინისტროსთვის ნებართვის მოპოვების მიზნით. გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საწარმო ნებართვას არ ან ვერ აიღებდა დადგენილ ვადამდე, ეს გამოიწვევდა მხოლოდ საწარმოს დაჯარიმებას<sup>89</sup> და არა მისი ექსპლუატაციის შეჩერებას.

### 3. ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი

#### 3.1 ზოგადი ინფორმაცია სანარმოს უსახეა<sup>90</sup>

ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადში გაერთიანებული ოთხი ჰეს-იდან - ვარციხეჰესი-1 ექსპლუატაციაში შევიდა 1976 წელს, ვარციხეჰესი-2 - 1978 წელს, ვარციხეჰესი-3 - 1980 წელს, ხოლო ვარციხეჰესი-4 - 1987 წელს. ისინი წარმოადგენენ იდენტური სიმძლავრისა და გამომუშავების დერივაციული ტიპის უნიფიცირებულ ჰიდროელექტროსადგურებს. ყოველი მათგანის საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 64 მეგავატი და გამომუშავება 250 მილიონი კილოვატსაათი. მათ ასაშენებლად გამოყენებულია მდინარე რიონის 27-კილომეტრიანი მონაკვეთი სოფელი ვარციხიდან მდინარე გუბისწყლის სათავემდე. საერთო წყალსაცავის კაშხალი მდებარეობს მდინარე რიონთან მდინარე ყვირილასა და მდინარე ხანისწყლის შესართავის მახლობელ ტერიტორიაზე. ამჟამად წყალსაცავი თითქმის მთლიანად დალექილია და დარღვეულია რეგულირების პირობები. ვარციხეჰეს-ების კასკადის სადრენაჟო სისტემის მოუწესრიგებლობის შედეგად, უკვე ათ წელზე მეტია სოფელი ბაში და მისი შემოგარენი მუდმივად, წელიწადში ორჯერ მაინც იტბორება და დიდი ზიანი ადგება როგორც მოსახლეობას, ისე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

<sup>88</sup> როგორც ჩანს, ამას სისტემური სახე აქვს, რადგანაც ამა თუ იმ საწარმოს ოპერირების შეჩერების საფრთხე აგრუმენტად არაერთ დასკვნაში ფიგურირებს.

<sup>89</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაცვითა კოდექსის მუხლი 79<sup>1</sup>. „საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, გამოიწვევს დაჯარიმებას შვიდი ათასიდან ათი ათას ლარამდე.

<sup>90</sup> ამ ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაციის ძირითადი წყაროა ვარციხის ჰესების კასკადის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, 2009, მომზადებულია სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“-ს მიერ.



წყალსაცავის დიდი ნაწილი შევსებულია ნატანით და პრაქტიკულად დაკარგული აქვს ჩამონადენის რეგულირების ფუნქცია. დიდ ტერიტორიაზე შექმნილია კუნძულები, რომლებიც დაფარულია მცენარეული საფარით. წყალსაცავის ნატანისაგან მექანიკური გაწმენდის სამუშაოები არ ტარდება, ხოლო პერიოდულად ჰიდრაულიკური დარტყმით ჩატარებული გაწმენდა კი არასაკმარისია. პერსონალის ინფორმაციით, მდინარის მიერ შემოტანილი ნარჩენების ამოღება არ ხდება. დაგროვების შესაბამისად, პერიოდულად ხდება ფარების გაღება და ნარჩენების ქვედა ბიეფში გატარება. კაშხალს არ გააჩნია თევზსავალი, რაც მნიშვნელოვან ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მდ. რიონის იქითოფაუნაზე. კაშხლის ზედა ბიეფში თევზის მიგრაცია პრაქტიკულად გამორიცხულია. წყალსაცავის ბოლო ნაწილში, სარკინიგზო მაგისტრალის ხიდისა და გახსადენის ხიდური გადასასვლელის მიდამოებში აღინიშნება მარჯვენა ნაპირის გამორეცხვები, რის გამოც წყალდიდობის დროს ადგილი ჰქონდა მიწის დამბის გარღვევას და მიმდებარე სოფლებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვას. წინა წლებში ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, მაგრამ მიწის დამბის ბეტონის მოსახვა გარკვეულ მანძილზე დაზიანებულია და იქმნება ტერიტორიის ხელახალი დატბორვის საშიშროება.

აღსანიშნავია, რომ 70-იან წლებში ვარციხე-ჰეს-ის მშენებლობა წინასწარი ბიოლოგიური დასაბუთების გარეშე დაიწყო. ჰეს-ის მშენებლობამ ზუთხისნაირთა სატოფე ადგილები დაიკავა და ვინაიდან სადერივაციო სისტემა მდ. რიონის წყლის ძირითად ნაკადს იღებს, მდინარის კალაპოტის 23 კმ-იანი მონაკვეთი, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მცირე ნაკადის ამარა რჩება. მცირეწელიანობა ემთხვევა იმ პერიოდს, როცა მდინარეში სატოფედ შემოდინა ზუთხისნაირნი.

ვარციხე ჰეს-ის კასკადების მშენებლობით მდ. რიონის ბუნებრივი რესურსებისთვის მიყენებული ეკოლოგიური და ეკონომიკური ზარალის კომპენსაციის მიზნით, სახელმწიფო დაფინანსებით, სოფელ გეგუთთან დაიწყო ზუთხისაშენი ქარხნის მშენებლობა. მშენებლობა 1982 წელს დასრულდა და 1983 წელს ქარხანა ექსპლუატაციაში შევიდა. ქარხნის ტერიტორიამ თავისი ინფრასტრუქტურით 72 ჰექტარი მოიცვა. ქარხნის საპროექტო სიმძლავრე, ხელოვნური აღწარმოების გზით, წელიწადში 2,5 მლნ. ზუთხის ლიფსიტების გამოზრდა და ბუნებაში გაშვება იყო. ვარციხე-ჰესი ქარხანას ელექტროენერგიით უფასოდ ამარაგებდა. ყურადსაღებია, რომ საინკუბაციო სამუშაოები სულ რამდენჯერმე ჩატარდა და ამის შემდგომ ქარხანა უმოქმედო მდგომარეობაშია.

ჰეს-ების კასკადის ინფრასტრუქტურის თითქმის ყველა ობექტზე ჩასატარებელია სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის სამუშაოები, რომელებიც განაპირობებენ კასკადის ეკოლოგიურ საიმედოებას და შესაძლო ავარიული სიტუაციების პრევენციას. გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილი თანხით, „ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში, ვარციხის ჰეს-ების კასკადზე ჩატარდა გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები. 2004 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ მიიღო ჰეს-ების კასკადის აქტივების პრივატიზების გადაწყვეტილება; ამის გამო, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკმა შეწყვიტა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება.

### 3.2 პარსინის პენ-ების კასკადის პრივატიზაცია

2004 წლის დეკემბერში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი სს „ჭიათურმანგანუმისა“ და სს „ვარციხეჰესების კასკადის“ აქტივების შექენაზე. სხვადასხვა სახის დარღვევებით<sup>91</sup> ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულად რუსული კომპანია „ევრაზპოლდინგი“ გამოცხადდა. 2005 წლის ივნისში, გადასახდელი თანხის ნაწილის დაფარვის ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე, „ევრაზპოლდინგმა“ გარიგება ჩაშალა. „ევრაზპოლდინგთან“ მიღწეული შეთანხმების ჩაშლის შემდეგ მთავრობამ გადაწყვიტა თავი აერიდებინა საკონკურსო ბატალიებისა და საჯარო პროცედურებისათვის და ვარციხე-ჰესი და ჭიათურმანგანუმი ცალ-ცალკე გაეყიდა.

2006 წლის 26 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის №642 განკარგულება, რომლის თანახმად<sup>92</sup>, შპს „ვარციხე 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცემოდა Stemcor UK Limited<sup>93</sup>-ს, 57 მილიონი აშშ დოლარის საფასურად. რამოდენიმე დღეში პრეზიდენტის განკარგულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად საწარმო G.M. Georgian Manganese Holding Limited-ს – ოფიციალური

<sup>91</sup> დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ მწვანე ალტერნატივას 2007 წელს გამოცემული ანგარიში „სახელმწიფო ქონების აგრესიული პრივატიზების პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად““. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

<sup>92</sup> „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.

<sup>93</sup> [www.stemcor.com](http://www.stemcor.com)



მონაცემებით, ბრიტანული კომპანია Stemcor UK Limited-ის შვილობილ კომპანიას – გადაეცა. პრეზიდენტის განკარგულება „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის საფუძველზე გამოიცა. კანონის ამ მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო, ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადაწყვეტილება მიეღო ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების<sup>94</sup> გარეშე, ფაქტიურად ერთპიროვნულად. ამ უფლების გამოყენებით და პრეზიდენტის მიერ აღნიშნული განკარგულების გამოცემით, პროცესი სრულიად დაიხურა საზოგადოებისათვის.

სწორედ პროცესის დახურულად წარმართვის შედეგი იყო, რომ საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა: რატომ გაიყიდა საწარმო მხოლოდ ორი - თანხის ერთი თვის ვადაში გადახდისა და პროფილის ერთი წლის განმავლობაში შენარჩუნების პირობით? ადგილობრივი მოსახლეობისა და გარემოსათვის საწარმოს ფუნქციონირებით მიყენებული ზარალის გათვალისწინებით, დაეკისრა თუ არა საწარმოს ახალ მფლობელს კონკრეტული სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების ვალდებულება და მიყენებული ზარალის ანაზღაურება? რატომ არ გადაეცა საკუთრებაში საწარმოს ახალ მფლობელს ვარციხე-ჰეს-ების კასკადის ოპერირებით გარემოსათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ შექმნილი ზუთხსაშენი და რატომ არ დაევალა ქარხნის ფუნქციონირების უზრუნველყოფა?<sup>95</sup>

2007 წლის 5 იანვარს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია<sup>96</sup>, რომლის თანახმად, „ეკონომიკური განვითარების მინისტრმა [გიორგი არველაძემ] შპს Georgian Manganese Holding Limited-ის ხელმძღვანელს საკუთრების მოწმობა გადასცა, რომლის მიხედვით ბრიტანული კომპანია სს „გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“, სს „ჭიათურმანგანუმის“ და შპს „ვარციხე 2005“-ის საბოლოო მფლობელი გახდა. სამწლიანი მუშაობის შედეგად გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც ხელი ქართული მხრიდან გიორგი არველაძემ, ხოლო ბრიტანული კომპანიის მხრიდან ალექსანდრე ზილბერმანმა მოაწერეს“.

### 3.3 საჯარო უწყებრივან ხელშეკრულების მოპოვების მსაღლოა

კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, 2006 წლის 25 დეკემბერს მწვანე ალტერნატივამ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართა და მოითხოვა შპს „ვარციხე 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის G.M. Georgian Manganese Holding Limited-ისათვის გაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ასლის მოწოდება.

მოთხოვნილი დოკუმენტის ნაცვლად 2007 წლის 8 იანვარს მწვანე ალტერნატივამ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსგან შემდეგი პასუხი მიიღო<sup>97</sup> - ხელშეკრულება „წარმოადენს კომერციულ საიდუმლოებას და მისი ასლის გაცემაზე საჭიროა „მიყიდვის“ წერილობითი თანხმობა, რის თაობაზეც შპს G.M. Georgian Manganese Holding Limited-ს გაეგზავნა სამინისტროს წერილობითი შეტყობინება“. 2007 წლის 18 იანვარს მწვანე ალტერნატივამ განმეორებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. ამჯერად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლისა და ორჰუსის კონვენციის საფუძველზე ორგანიზაციამ მოითხოვა სამინისტროსა და შპს G.M. Georgian Manganese Holding Limited-ს შორის დადებული ხელშეკრულების იმ ნაწილების ასლი, რომლებიც არ შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, ასევე მითითებას იმ პირზე, რომელმაც გაასაიდუმლოვა ინფორმაცია, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველს და გაასაიდუმლოების ვადას.

სამწუხაროდ, სამინისტროსათვის არც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესი აღმოჩნდა ყურადსაღები და არც საერთაშორისო კონვენცია – სამინისტრომ კვლავ უარი განაცხადა მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდებაზე. ამგვარი ქმედებით სამინისტრომ უხეშად შელახა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის საქართველოს კონსტიტუციით, ორჰუსის კონვენციით და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გარანტირებული უფლებები. ხელშეკრულების გასაიდუმლოებით ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები შემდეგ მიზეზთა გამო:

<sup>94</sup> ამ პუნქტების თანახმად, ინვესტორის წინადადებებს იხილავდა საქართველოს მთავრობა და იღებდა გადაწყვეტილებას კონკურენტული შერჩევის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების თაობაზე; ასევე, კონკურენტული შერჩევის მიზნით საქართველოს მთავრობა ქონების და შესაბამისი პირობების შესახებ გადაწყვეტილებას აქვეყნებდა საერთო სახელმწიფოებრივი ან/და საერთაშორისო მნიშვნელობის საინფორმაციო საშუალებებში და განსაზღვრავდა ინტერესთა გამოხატვის ვადას, რომელიც არ შეიძლება ყოფილიყო 1 თვეზე ნაკლები.

<sup>95</sup> როგორც აღინიშნა, ზუთხსაშენი უფასო ელექტროენერგიით ვარციხეჰესის უზრუნველყოფდა, რაც ქარხნის ოპერირების ხარჯებს მნიშვნელოვანად ამცირებდა. 2007 წლის ნოემბერში ზუთხსაშენი კერძო პირს, ისრაელის მოქალაქე დავიდ ელიშკოვს 405 ათას აშშ დოლარად გადაეცა პროფილის 10 წლის განმავლობაში შენარჩუნების და 10 წლის განმავლობაში მოშენებული აბორიგენული ზუთხის ლიფსიტების 20%-ის მდინარე რიონში გაშვების ვალდებულებით. მიუხედავად ამისა, საწარმოს ფუნქციონირება არ განუახლებია.

<sup>96</sup> [www.economy.ge](http://www.economy.ge), ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდი, სიახლეები

<sup>97</sup> წერილი 121/3002/9-6

1. როდესაც საუბარია კომერციულ საიდუმლოებაზე, მასში ყოველთვის მოიაზრება ინფორმაცია, რომელსაც ინფორმაციის წარმდგენი პირი აწვდის საჯარო უწყებას და იმავდროულად უთითებს, რომ ეს ინფორმაცია მის კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია კი, არ შეიძლება იყოს კომერციული საიდუმლოება. კომერციული ინფორმაციის განმარტებაში ვერანაირად ვერ ჯდება პრივატიზების ხელშეკრულება. ძნელია წარმოიდგინო, თუ როგორ შეიძლება მოხვედრილიყო ამ ხელშეკრულების ტექსტში ინვესტორის მიერ მიწოდებული რაიმე კომერციული საიდუმლოება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ ხელშეკრულება შესაძლოა მოიცავდა რაიმე ფასეულ კომერციულ გეგმას, მთელი ხელშეკრულების გასაიდუმლოება მაინც დაუშვებელია.

2. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის<sup>98</sup> მიხედვით, „გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიცავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს“. პრივატიზაციის ამ ხელშეკრულებასთან მიმართებაში კი, კანონი არათუ არ აწესებდა მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას, არამედ პირიქით, პირდაპირ ადგენდა, რომ ეს ხელშეკრულება საჯარო უნდა ყოფილიყო. კერძოდ, შპს „ვარციხე 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პრივატიზება განხორციელდა პირდაპირი მიყიდვის ფორმით. ხოლო, „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონის<sup>99</sup> თანახმად, „პირდაპირი მიყიდვა დასაშვებია განსაზღვრული პირობებით და იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებულია ამ წესის გამოყენებით მიყიდვის აუცილებლობა და უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა“. როდესაც თვით პრივატიზების ხელშეკრულება ცხადდება კომერციულ საიდუმლოებად, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ამ შემთხვევაში კანონით დადგენილი საჯაროობის უზრუნველყოფის მოთხოვნაც იქნა იგნორირებული.

3. ხელშეკრულებაც და თვით პრივატიზების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებაც წარმოადგენს გეგმას, რომელიც სავარაუდოდ, გავლენას მოახდენს გარემოს მდგომარეობაზე. ორჰუსის კონვენციის მიხედვით, ეს დოკუმენტი არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია. შესაბამისად, საჯარო უწყებას არათუ იმის უფლება არ ჰქონდა, რომ გაესაიდუმლოებინა პრივატიზების ხელშეკრულება, არამედ ის, ორჰუსის კონვენციისა<sup>100</sup> და „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის<sup>101</sup> საფუძველზე, ვალდებული იყო მიეწოდებინა საზოგადოებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია და უზრუნველყო საზოგადოების მონაწილეობა აღნიშნული ობიექტის პრივატიზების პროცესში გადაწყვეტილებების მიღებისას.

4. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>102</sup> თანახმად, ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პრივატიზებისას სწორედ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და G.M. Georgian Manganese Holding Limited-ს შორის დადებული ხელშეკრულებით უნდა განსაზღვრულიყო „მიყიდვის ვალდებულება პრივატიზებული ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ“; შესაბამისად, უნდა განსაზღვრულიყო კასკადის შემდგომ რეაბილიტაციაზე და მოსახლეობისა და გარემოსათვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი მხარე და პასუხისმგებელი მხარის მიერ გასატარებელი ღონისძიებები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება/ჩაუტარებლობა და ასევე გარემოსათვის უკვე მიყენებული ზიანის გამოსწორება/გამოუსწორებლობა განაპირობებს ვარციხის ჰეს-ების კასკადის შემოგარენში როგორც გარემოს მდგომარეობას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას. ანუ, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს ინფორმაციის გარემოს შესახებ, ასეთი ინფორმაციის გასაიდუმლოება კი, უკანონო და დაუშვებელია.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მწვანე ალტერნატივას გააჩნია პირდაპირი მტკიცებულებები იმისა, რომ ხელშეკრულება შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას. კერძოდ, ხელშეკრულების განსაიდუმლოების მოთხოვნის შესახებ მწვანე ალტერნატივას წერილზე პასუხად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განაცხადა<sup>103</sup>, რომ „სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ იქნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის პრივატიზება, ამდენად აღნიშნული ხელშეკრულება არ შეიცავს მონაცემებს იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. მიუხედავად აღნიშნულისა, ხელშეკრულება ერთიანობაში ითვალისწინებს მიყიდვის მიერ საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის დაცვას“. ამგვარი პასუხით ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ფაქტიურად, დაადასტურა, რომ გასაიდუმლოებული ხელშეკრულება გარემოსდაცვითი ინფორმაციაა.

<sup>98</sup> 30-ე მუხლი

<sup>99</sup> მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი

<sup>100</sup> მე-7 მუხლი

<sup>101</sup> მე-6 მუხლის „ვ“ პუნქტი

<sup>102</sup> მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი

<sup>103</sup> ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2007 წლის 15 მარტის №21/633/9-7 წერილი ასოციაცია მწვანე ალტერნატივას



გარდა ამისა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განმარტებით<sup>104</sup>, „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანამშრომლებმა რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამართულ საკონსულტაციო შეხვედრებში, რომლებიც შეეხებოდა ახლად შექმნილ „მანგანუმი ჯორჯიას“ (რომლის შემადგენლობაში შედის ზესტაფონის ფეროშენადობთა ქარხანა, სს „ჭიათურმანგანუმი“ და შპს „ვარციხე 2005“) სამომავლო საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობას“.

ამრიგად, თავად ის ფაქტი, რომ საპრივატიზაციო ხელშეკრულების შედგენისას შპს „ვარციხე 2005“-ის ახალი მფლობელის სამომავლო საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე მიმდინარეობდა კონსულტაცია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან, ადასტურებს, რომ ხელშეკრულება მოიცავს მყიდველის საქმიანობის სამომავლო გეგმებს (მოქმედებებს, ღონისძიებებს), რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს გარემოს მდგომარეობაზე; ეკონომიკური განვითარების სამინისტროს პასუხი კი ადასტურებს, რომ ხელშეკრულება შეიცავს მყიდველის მიერ გარემოს დაცვის კანონმდებლობის დაცვის ვალდებულებას. ე.ი. აღნიშნული ხელშეკრულება არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის G.M. Georgian Manganese Holding Limited-ისათვის გაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულება უკანონოდ იქნა გასაიდუმლოებული.

### 3.4 მწვანე ალტერნატივას სარჩელის განხილვა საქალაქო სასამართლოში

2007 წლის 13 აპრილს ხელშეკრულების გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის და დოკუმენტის საჯაროობის უზრუნველყოფის მოთხოვნით მწვანე ალტერნატივამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. სასამართლომ წარმოებაში მიიღო მწვანე ალტერნატივას საჩივარი და მიიჩნია, რომ საქმეში მესამე პირად G.M. Georgian Manganese Holding Limited-ი უნდა ჩართულიყო, „ვინაიდან იგი არის იმ სამართალური თეორიის მონაწილე, რომლის თაობაზე სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია“<sup>105</sup>. განჩინება სასამართლომ კომპანიას, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ მისამართზე, ზესტაფონში (საქარხნოს ქ. №9) გაუგზავნა. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნულ მისამართზე განთავსებული იყო შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ ოფისი; საწარმოს ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა განჩინების ჩაბარებაზე იმ მოტივით, რომ საწარმო მხოლოდ მართავდა შპს „ვარციხე 2005“-ს და არ წარმოადგენდა დავის მხარეს.

საბოლოოდ, განჩინება G.M. Georgian Manganese Holding Limited-ს ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ მისამართზე (აღსანიშნავია, რომ ეს მისამართი მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც სასამართლომ ხელშეკრულება შესწავლის მიზნით გამოითხოვა ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან) კვიპროსში გადაეგზავნა. განჩინებით, კომპანიას მიეცა 12-დღიანი ვადა, მესამე პირად ჩართვის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის; ასევე, განჩინებით კომპანიას ეცნობა, რომ 2007 წლის 19 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შენობაში შედგებოდა სასამართლოს დახურული სხდომა მხარეთა დასწრების გარეშე და რომ კომპანიას შეეძლო სარჩელზე წერილობითი პასუხის წარდგენა.

G.M. Georgian Manganese Holding Limited-მა მისი მესამე მხარედ ჩართვის შესახებ განჩინება არ გაასაჩივრა, არც შესაგებელი წარუდგენა სასამართლოს და არც სასამართლოს სხდომაზე წარმომადგენლის დასწრება ჩათვალა საჭიროდ.

2007 წლის 19 ოქტომბერს შედგა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დახურული სხდომა, რომლის საფუძველზეც სასამართლომ დააკმაყოფილა მწვანე ალტერნატივას სარჩელი. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა შპს „ვარციხე 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის შპს G.M. Georgian Manganese Holding Limited-ისათვის გადაცემის შესახებ დადებული ხელშეკრულების განსაიდუმლოება და ასლის მწვანე ალტერნატივასათვის გადაცემა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო: „მტკიცებულებების ანალიზითა და სამართლებრივ ნორმათა შეფასების შედეგად, სასამართლო იზიარებს მოსარჩელის განმარტებას იმის შესახებ, რომ მათ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეიძლება წარმოადგენდეს

<sup>104</sup> გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2007 წლის 19 მარტის №11/11-60 წერილი ასოციაცია მწვანე ალტერნატივას

<sup>105</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ინგა კვაჭანტირაძის, 2007 წლის 16 მაისის განჩინება G.M. Georgian Manganese Holding Limited -ის საქმეში მესამე პირად ჩართვის შესახებ.



*ვინმეს კომერციულ საიდუმლოებას და დადასტურებულად მიაჩნია, რომ ხსენებული ხელშეკრულება შეიცავს გარემოს შესახებ ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია“.*

### 3.5 ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივარი

2007 წლის 28 დეკემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საჩივრით<sup>106</sup> მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება.

#### ჩანართი 4. ღვაწი მსაბე მხარის ჩართვის მსჯელობა სააპელაციო სასამართლოში

2008 წლის მაისში თბილისის სააპელაციო სასამართლომ, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საჩივრის ასლი და საჩივარზე მწვანე ალტერნატივას შესაგებელი მხარეებს გადაუგზავნა. როგორც სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე გაირკვა, სასამართლოს შპს G.M. Georgian Manganese Holding Limited-ისათვის მასალები კვლავ ზესტაფონში, საქარხნოს ქ. №9-ში გაუგზავნია. აღსანიშნავია, რომ მისამართი სასამართლოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მიაწოდა. 2008 წლის ივნისში მწვანე ალტერნატივამ მიიღო თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის „შპს ჯორჯიან მანგანეზის“ დირექტორის ო. ზილბერმანის მიერ გაგზავნილი წერილის<sup>107</sup> ასლი (წერილის ასლი ასევე ეგზავნებოდა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს, ვახტანგ ლეჟავას).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის 5 იანვარს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა, გიორგი არველაძემ სწორედ ბატონ ზილბერმანს, როგორც შპს Georgian Manganese Holding Limited-ის ხელმძღვანელს, გადასცა შპს „ვარციხე 2005“-ის საკუთრების მოწმობა. ამჯერად, როგორც „შპს ჯორჯიან მანგანეზის“ დირექტორი, ო. ზილბერმანი წერდა: *„კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ დავა შეეხება ეკონომიკის განვითარების სამინისტროსა და კომპანია „GM Georgian Manganese Holding Limited“-ს შორის პირდაპირი მიყიდვის წესით დადებული ხელშეკრულების განსაიდუმლოების (რომელიც ჩვენ საერთოდ არ გვინახავს) და მესამე პირად ჩართულია ეს უკანასკნელი, რომლის იურიდიული მისამართია: კვიპროსი, ნიქოზია, ეგვიპტის ქ. № 10 ფ.ს. 1097 და რეგისტრირებულია კვიპროსში, ხოლო ჩვენ წარმოვადგენთ შპს „Georgian Manganese LLC“-ს, ჩვენი იურიდიული მისამართია ქ. ზესტაფონი, საქარხნოს ქ. №9 და რეგისტრირებული ვართ საქართველოში. ამჟამად ჩვენ არანაირი სურვილი ან უფლება არა გვაქვს და არც რომელიმე კანონის მიხედვით არ ვართ ვალდებული გავწიოთ ზემოაღნიშნული, მესამე პირად სასამართლოს მიერ ჩაბმული, სხვა იურიდიული პირის წარმომადგენლობა. ...გთხოვთ, ამ საქმესთან დაკავშირებით სათანადო მასალების გაგზავნა მოახდინოთ ნამდვილი ადრესატის მისამართზე, რაც ჩვენის აზრით, სასამართლოსათვის სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს“.*

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ იყო ვალდებული კომპანიისათვის შეტყობინება კვიპროსში გაგზავნა და საქმე მესამე პირის გარეშე განიხილა.

სამინისტროს სააპელაციო საჩივარში აღწერილი იყო გარემოებები, რომელთა გათვალისწინებით, საჩივრის ავტორის აზრით, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმებულიყო. კერძოდ, საჩივრის თანახმად: *„არსებობს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის ორი გზა: როდესაც პირი მოითხოვს წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევას ან კანონი ითვალისწინებს მის კომერციულ საიდუმლოებად ცნობას. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების 9.3 პუნქტში მითითებულია, რომ ხელშეკრულება მყიდველისათვის წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და გამყიდველს არა აქვს უფლება მყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გაამჟღავნოს მისი შინაარსი, ან გადასცეს ვინმეს ხელშეკრულების ასლი. ხსენებული ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. სასამართლომ ხელშეკრულების პუნქტი უგულვებელყო და სრულიად უკანონოდ განასაიდუმლოვა ინფორმაცია“.* მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო ადეკვატურად განმარტავდა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონით გათვალისწინებულ გზებს, ყოვლად გაუგებარი დარჩა, რომელ მათგანს შეესაბამებოდა ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი.

საჩივრის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ *„ხელშეკრულება ითვალისწინებს მყიდველის მიერ საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვას“*, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ ხელშეკრულება შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას და ამდენად, უსაფუძვლოდ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლითა და ორპუსის კონვენციით.

<sup>106</sup> საჩივარს ხელს აწერდა მინისტრის პირველი მოადგილე, ვახტანგ ლეჟავა

<sup>107</sup> 2008 წლი 30 ივნისის №879 წერილი



საბოლოოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ასახელებდა იმ გარემოებას, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა სამინისტროს წარმომადგენლის დასწრების გარეშე. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ საქალაქო სასამართლომ არ გადასცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უწყება სხდომის ჩატარების დღის შესახებ, „აღნიშნული კი მეტყველებს სასამართლოს მიუკერძოებლად შეფასების უნარის არ ქონაზე“.

სასამართლო სხდომაზე მხარეთა წარმომადგენლების დასწრებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლომ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების შემოწმების მიზნით, საქმე დახურულ სხდომაზე განიხილა. შესაბამისად, მხარეთა დასწრებით ეს სხდომა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩატარდებოდა. ამასთან, სხდომის დახურვამდე, სხდომის მდივანმა აღნიშნა, რომ სამინისტროს სხდომის ჩატარების შესახებ ტელეფონის მეშვეობით აცნობა (რაც კანონით ნებადართულია). თუმცა, როგორც სააპელაციო სასამართლომ გაარკვია, საქმის მასალებში მართლაც არ აღმოჩნდა იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო რაიმე ფორმით ინფორმირებული იყო სასამართლოს სხდომის თარიღის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ<sup>108</sup> ჩათვალა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უნდა მიეცეს უფლებების სრულფასოვნად დაცვის შესაძლებლობა; ამრიგად, საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე განსახილველად კვლავ საქალაქო სასამართლოს გადაეცა.

### 3.6. საჩივრის ხელშეწყობა განხილვა საქალაქო სასამართლოში

2009 წლის 4 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოში დაიწყო მწვანე ალტერნატივას სარჩელის ხელშეწყობა განხილვა. ამჯერად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლოს სხდომების ჩატარების შესახებ და შესაბამისად, მოპასუხეს მიეცა საშუალება სრულფასოვნად დაეცვა თავისი უფლებები; თუმცა, მოპასუხის წარმომადგენელს არ წარმოუდგენია არც რაიმე დამატებითი მტკიცებულება და არც განმარტება. მოსამართლემ<sup>109</sup> საჭიროდ არ ჩათვალა საქმეში შპს G.M. Georgian Manganese Holding Limited-ის ჩართვა და საქმის „ოპერატიულად“ განხილვის შედეგად 2009 წლის 29 მაისს გამოიტანა გადაწყვეტილება<sup>110</sup>, რომლითაც მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება ფაქტიურად უცვლელად იმეორებდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივრის შინაარსს. კერძოდ, გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო: „მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება შეიცავს პირობას იმის თაობაზე, რომ ეს ხელშეკრულება მყიდველისთვის წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს არა აქვს უფლება მყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გაამყდავნოს ხელშეკრულების შინაარსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე G.M. Georgian Manganese Holding Limited-მა მიუთითა, რომ ხელშეკრულებაში მითითებული ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა და ამავე ხელშეკრულებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება და აიღო ვალდებულება ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაცულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი მოთხოვნები“.

თუკი გავიზიარებთ სასამართლოს ამ დასკვნას, უნდა დავიჯეროთ, რომ G.M. Georgian Manganese Holding Limited-მა თავად მოამზადა ხელშეკრულების სრული ტექსტი, რომელიც მხოლოდ ხელშეკრულების გაფორმებისას წარადგინა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და თან მოითხოვა მისი კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა; ხოლო ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ხელშეკრულების ტექსტის გაცნობისთანავე გადაწყვიტა, რომ ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად მიეჩნია და საკუთარ გადაწყვეტილებასთან ერთად (რადგან ისიც ხელშეკრულების ნაწილია) გაესაიდუმლოებინა და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. ნათელია, რომ მსგავს აბსურდულ სიტუაციას ადგილი ვერ ექნებოდა და მყიდველი ვერ წარმოადგენდა ხელშეკრულების სრულ ტექსტს, მაგრამ სასამართლოს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არ მოუთხოვია ეკონომიკური განვითარების სამინისტროსაგან რაიმე განმარტება ან მტკიცებულება.

ის, რომ G.M. Georgian Manganese Holding Limited-მა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მიუთითა, რომ ხელშეკრულებაში მითითებული ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა, ხოლო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ამავე ხელშეკრულებით მიიღო გადაწყვეტილება დოკუმენტის

<sup>108</sup> 2008 წლის 17 სექტემბრის №38/238-08 გადაწყვეტილებით

<sup>109</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, გიორგი ტყვაძე

<sup>110</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის №3/2669-08 გადაწყვეტილება





გასაიდუმლოებაზე – არის სასამართლოს დასკვნა, რომელიც არავითარი მტკიცებულებით არ არის განმტკიცებული და ამას სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტიც ცხადყოფს. სასამართლომ, მტკიცებულების გარეშე, დამტკიცებულად ჩათვალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება და მასზე დაამყარა თავისი გადაწყვეტილება.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42 მუხლის (ა) პუნქტის მოთხოვნა და დაადგინა: „რომ ხელშეკრულება არ შეიცავს გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციას, რომელიც ემუქრება ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ამდენად სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების გასაიდუმლოებით არ დარღვეულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები“. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42 მუხლის (ა) პუნქტით გათვალისწინებული „ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას“ – სასამართლომ განმარტა, როგორც „გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ემუქრება ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას“.

სასამართლოს განმარტება აშკარად ბუნდოვანია - გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს „ინფორმაციის მუქარა ადამიანთა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის“; მაგრამ თუ ვივარაუდებთ, რომ სასამართლო გულისხმობდა ინფორმაციას გარემოს შესახებ, რომელშიც აუცილებლად საუბარია უშუალოდ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება ადამიანების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას - ასეთი განმარტებაც არასწორია, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ნათლად განმარტავს, რომ დაუშვებელია გასაიდუმლოვდეს „ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას“. ანუ, ეს შეიძლება იყოს როგორც ინფორმაცია უშუალოდ გარემოს მდგომარეობის შესახებ, ასევე იმ გეგმების და/ან ღონისძიებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ამასთან, მწვანე ალტერნატივას სარჩელში ნათლად იყო დასაბუთებული, რომ „ვარციხე 2005“-ის საპრივატიზაციო ხელშეკრულებით განსაზღვრული „მყიდველის ვალდებულება პრივატიზებული ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ“<sup>111</sup> – ანუ, ახალი მფლობელის ვალდებულება საწარმოს რეაბილიტაციაზე და გარემოსათვის წლების განმავლობაში მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შემსუბუქებაზე, ან ასეთი ვალდებულებისაგან გათავისუფლებაზე – არის ინფორმაცია, რომელსაც აუცილებლად ექნება ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე. ის, რომ მსგავს ინფორმაციას აქვს გარემოსდაცვითი ღირებულება, ასევე აღნიშნულია ორჰუსის კონვენციის მე-2 მუხლში. აღსანიშნავია, რომ ორჰუსის კონვენციით სასამართლოს საერთოდ არ უხელმძღვანელია (როგორც ამას, ყოველად უსამართლოდ, ითხოვდა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თავის სააპელაციო საჩივარში).

### 3.7. მწვანე ალტერნატივას სააპელაციო საჩივარი

2009 წლის 10 აგვისტოს მწვანე ალტერნატივამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 მაისის №3/2669-08 გადაწყვეტილება, რომლითაც მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და მოითხოვა საკითხის ხელახლა განხილვა.

გარდა წინა თავში წარმოდგენილი გარემოებებისა, მწვანე ალტერნატივას მიაჩნია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი დასკვნები შეიცავს რამოდენიმე შეუსაბამობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის წესთან. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup> მუხლის თანახმად, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნულია სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც, „ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა, ხოლო საჯარო დაწესებულება - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოდ მიიჩნიოს ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია“.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს G.M. Georgian Manganese Holding Limited -ს შეეძლო მოეთხოვა, ხოლო ეკონომიკური განვითარების მინისტრს უფლება ჰქონდა კომერციულ საიდუმლოებად მიეჩნია, მხოლოდ შპს-ს მიერ წარდგენილი, მისთვის კომერციული ფასეულობის მქონე ინფორმაცია და არა ხელშეკრულების სრული ტექსტი, რომელიც შეიცავს საჯარო ინფორმაციას, რომელიც არ არის საწარმოს მიერ წარდგენილი და რომლის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა დაუშვებელია. ესენია:

<sup>111</sup> რომელიც „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულებაში

- ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ, რომელიც - „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ თანახმად, უნდა იყოს წარმოდგენილი ხელშეკრულებაში; ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, არ შეიძლება წარმოადგენდეს კომერციულ საიდუმლოებას;
- საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილი შპს „ვარციხე 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის გასხვისების პირობები, რომელიც „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების“ თანახმად, უნდა იყოს წარმოდგენილი ხელშეკრულებაში და როგორც სამართლიანად აღნიშნულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში – საჯაროა;
- მყიდველის ვალდებულება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაცვის თაობაზე – ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანახმად, აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ხელშეკრულებაში. მსგავსი ინფორმაცია შეუძლებელია წარმოადგენდეს ვინმეს კომერციულ საიდუმლოებას და თავისთავად უკვე წარმოადგენს გარემოსდაცვით ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია;
- ინფორმაცია მყიდველის საქმიანობის სამომავლო გეგმების (მოქმედებების, ღონისძიებების) შესახებ, რომელმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს გარემოს მდგომარეობაზე;
- ხელშეკრულების პირობა, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების სრული ტექსტი წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას - თუკი ასეთი მუხლი მართლაც არსებობს ხელშეკრულებაში, არ არსებობდა თუნდაც ამ კონკრეტული მუხლის (როგორც მთლიანი დოკუმენტის შემადგენელი ნაწილის) კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა დაუშვებელია იმ შემთხვევებში, „როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით“, თავადვე სასამართლომ საერთოდ უგულვებელყო ის ფაქტი, რომ შპს „ვარციხე 2005“-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის პრივატიზება განხორციელდა პირდაპირი მიყიდვის წესით. ხოლო იმ დროისათვის, „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირდაპირი მიყიდვა დასაშვებია იყო მხოლოდ განსაზღვრული პირობებით და იმ შემთხვევაში, თუკი დასაბუთებული იქნებოდა ამ წესის გამოყენებით მიყიდვის აუცილებლობა და უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი საჯაროობა. G.M. Georgian Manganese Holding Limited-სა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის გარიგების შედეგების გაფორმება იყო პირდაპირი მიყიდვის ნაწილი; ხოლო გაფორმებული ხელშეკრულება არის სახელმწიფო საკუთრების პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისების შესახებ გარიგების სრულად ამსახველი ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოხსენებული მოთხოვნის თანახმად საჯარო უნდა ყოფილიყო.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის წარმოდგენილი იმის დასაბუთება, თუ რამდენად არსებობდა ხელშეკრულების მთელი ტექსტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საფუძველი. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ნათელია, რომ ინფორმაციის გასაიდუმლოებლად მოსამართლე საკმარის საფუძველად ღებულობს ხელშეკრულებაში იმ მუხლის არსებობას, რომლითაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ აიღო ვალდებულება ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ. სასამართლოს არ უმსჯელია იმაზე, შინაარსობრივად წარმოადგენს თუ არა ხელშეკრულების ტექსტი მყიდველის კომერციულ საიდუმლოებას; ანუ, რამდენად კანონიერი იყო ხელშეკრულების სრული ტექსტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევა, თუნდაც დაცული ყოფილიყო კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის პროცედურა და ხელშეკრულებაში არ ყოფილიყო წარმოდგენილი გარემოსდაცვითი ინფორმაცია. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მოსამართლე თავად მიუთითებს გადაწყვეტილებაში, რომ „დღეისათვის საჯაროა“ ხელშეკრულებაში წარმოდგენილი ინფორმაციის ნაწილი – „ხელშეკრულების ფასი, თანხის გადახდის პირობები, პროფილის შენარჩუნების ვადა და ა.შ.“, თუმცა, არც ეს გამხდარა სასამართლოსათვის საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ მწვანე ალტერნატივამ სააპელაციო სასამართლოს საჩივრით ჯერ კიდევ 2009 წლის აგვისტოში მიმართა, პირველი მოსამზადებელი სხდომა მხოლოდ 2009 წლის დეკემბერში შედგა. ამასთან, სხდომაზე გაირკვა, რომ ვერ მოხერხდა G.M. Georgian Manganese Holding Limited-სათვის უწყებისა და სასამართლოს მასალების გადაცემა, რადგან აღმოჩნდა, რომ კომპანია აღარც შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ მითითებულ მისამართზე (ნიუზიხაში) ფუნქციონირებს. ამიტომ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა კომპანიის ახალი მისამართის მოძიება, სხდომა კი განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

მკითხველს შევახსენებთ, რომ მწვანე ალტერნატივამ G.M. Georgian Manganese Holding Limited-სა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების განსაიდუმლოების მოთხოვნით სასამართლოს პირველად სამი წლის წინ, 2007 წლის 13 აპრილს მიმართა.

## 4. უპროგრამო გაცემული ჭიათურმანგანუმი

მწვანე ალტერნატივას 2007 წლის გამოცემაში „სახელმწიფო ქონების აგრესიული პრივატიზების პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად““ მკითხველს შეუძლია იხილოს ვრცელი ინფორმაცია სს „ჭიათურმანგანუმის“ ისტორიის, საწარმოს ოპერირებით ადგილობრივი მოსახლეობისა და გარემოსათვის მიყენებული ზიანის და პრივატიზების რამოდენიმე მცდელობის შესახებ. ამ გამოცემაში წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს გასხვისებისა და მის შემდგომ პერიოდს მოიცავს.

### 4.1 როგორ გაიყიდა ჭიათურმანგანუმი

ჭიათურმანგანუმის გასხვისების მცდელობების ისტორია მრავალ სკანდალურ ფაქტს მოიცავს, მაგრამ განსაკუთრებით ბნელით მოცული სწორედ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვითარებული მოვლენები აღმოჩნდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2004 წელს დეკემბერში ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი სს „ჭიათურმანგანუმისა“ და სს „ვარციხე-ჰესების კასკადის“ აქტივების შეძენაზე. სხვადასხვა სახის დარღვევებით<sup>112</sup> ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულად რუსული კომპანია „ევრაზპოლინგი“ გამოცხადდა. 2005 წლის ივნისში, გადასახდელი თანხის ნაწილის დაფარვის ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე, „ევრაზპოლინგმა“ გარიგება ჩაშალა. „ევრაზპოლინგ“-თან მიღწეული შეთანხმების ჩაშლის შემდეგ, მთავრობამ გადაწყვიტა თავი აერიდებინა საკონკურსო ბატალიებისა და საჯარო პროცედურებისათვის და ვარციხე-ჰესი და ჭიათურმანგანუმი ცალ-ცალკე გაეყიდა.

2005 წელს სახელმწიფომ ბრიტანულ კომპანია Stemcor-ს ჯერ ვარციხე-ჰეს-ების კასკადი მიჰყიდა პირდაპირი მიყიდვის წესით; ამასობაში, კომპანიამ ზესტაფონის „ფეროს“ აქციების (96,3%) შეძენაც მოასწრო, მთავრობას სხვა გზა აღარ ქონდა, იმის გარდა, რომ „ჭიათურმანგანუმიც“ იმავე კომპანიისათვის მიეყიდა, ვინაიდან ისინი ერთიანი საწარმოო ჯაჭვის ნაწილს წარმოადგენენ (ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ამუშავებდა „ჭიათურმანგანუმის“ მიწოდებულ ნედლეულს, ვარციხე-ჰეს-ების კასკადი კი უზრუნველყოფდა საწარმოებს ელექტროენერგიით). ამასთანავე, მთავრობამ დროულად გაიხსენა არც თუ ისე შორი წარსული, როდესაც მას გადაწყვეტილებების გაუმჭვირვალედ მიღებასა და კომპანიებთან კულუარულ მოლაპარაკებებში სდებდნენ ბრალს და გადაწყვიტა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართულ აუქციონზე საწარმოს აქტივებიც გამოეტანა.

აღსანიშნავია, რომ 2005 წლის 13 იანვრიდან „ჭიათურმანგანუმი“ გაკოტრების რეჟიმში ოპერირებდა. 2006 წლის 22 აგვისტოს სს „ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრების მმართველმა, დავით კაკაბაძემ ოფიციალური წერილით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სთხოვა საწარმოს აქტივების გასხვისებაში დახმარება. წერილში აღნიშნული იყო: *„უკვე ბევრი დრო არის გასული და ვერანაირად ვერ მოხერხდა გაკოტრების მასის რეალიზაცია, ვინაიდან შეუძლებელია და არ არის მიზანშეწონილი მოხდეს ქონების ცალკე (ერთეულების) რეალიზაცია, ვინაიდან ქონების უმეტესობა არის განლაგებული მიწის ქვეშ. შესაბამისად უნდა მოხდეს გაკოტრების მასის რეალიზაცია მთლიანად ერთ ლოტად. მაგრამ ამავდროულად გამომდინარე ქონების სპეციფიკიდან და მისი ადგილმდებარეობიდან, მიზანშეწონილია მოხდეს ქონების რეალიზაცია სასარგებლო წიაღისეულის (მარგანეცის) მოპოვების ლიცენზიასთან ერთად, ვინაიდან ეს უფრო მეტად შეუწყობს ხელს ფასის ზრდას .... გამომდინარე აქედან მოგმართავთ თხოვნით რათა განიხილოთ ჩვენი თხოვნა და კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით მოვახდინოთ გაკოტრების მასის რეალიზაცია თქვენს მიერ მოპოვების ლიცენზიაზე გამართულ აუქციონის ფარგლებში“*. იმავე წერილში გაკოტრების მმართველი ითხოვდა, რომ აუქციონის აუცილებელ პირობად განსაზღვრულიყო გამარჯვებულთან გაკოტრების მასის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადება, აუქციონის შედეგების დამტკიცების დღიდან ერთი თვის ვადაში.

გაკოტრების მმართველის წინადადება მალევე გაიზიარა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ და საკითხი რამოდენიმე დღეში საქართველოს მთავრობას წარუდგინა განსახილველად. შედეგად, 2006 წლის 26 აგვისტოს გამოიცა საქართველოს მთავრობის N404 განკარგულება „ჭიათურის მანგანუმის საბადოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემისა და სს „ჭიათურმანგანუმის“ აქტივების გასხვისების ღონისძიებათა შესახებ“. განკარგულების თანახმად, ჭიათურის მანგანუმის საბადოს სარგებლობის უფლებისა და სს „ჭიათურმანგანუმის“ აქტივების ოპტიმალურ ფასად გასხვისების და ინვესტორისათვის ხელშეწყობის მიზნით, მოწონებულ იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და „ჭიათურმანგანუმის“ გაკოტრების მმართველის წინადადება, ჭიათურის მანგანუმის საბადოს სარგებლობის უფლებისა და სს „ჭიათურმანგანუმის“

<sup>112</sup> დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ მწვანე ალტერნატივას 2007 წლის გამოცემა „სახელმწიფო ქონების აგრესიული პრივატიზების პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად““. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

აქტივების ერთობლივად რეალიზაციის თაობაზე. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაევალა შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება. განკარგულებით ასევე განისაზღვრა ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის საწყისი ფასი (5.500 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი) და „ჭიათურმანგანუმის“ აქტივების საწყისი ფასი (14.015 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი). განკარგულების თანახმად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აუქციონის პირობების განსაზღვრის დროს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით გამართულ აუქციონზე ვაჭრობისას, თანხის ყოველი გაზრდა დამატებით გამოიწვევდა აქტივების საწყისი ღირებულების გაზრდას 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ „შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება“ ერთობ უცნაურად გაიგო და ნაცვლად იმისა, რომ ლიცენზიის გასხვისების პირობად განესაზღვრა საწარმოს აქტივების შესყიდვა, ფაქტიურად, თავად გამოიტანა აუქციონზე საწარმოს აქტივები და აქტივების შესყიდვაზე პირობები დააწესა. 2006 წლის ოქტომბერში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ გამოაქვეყნა განაცხადი „ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“. განაცხადის მხოლოდ სათაურში იყო აღნიშნული, რომ აუქციონი წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ტარდებოდა, ხოლო განაცხადის ტექსტი ერთობ დამაბნეველი იყო - ლიცენზიის საწყის ფასთან ერთად ყოველგვარი განმარტებების გარეშე წარმოდგენილი იყო სს „ჭიათურმანგანუმის“ აქტივების საწყისი ფასი და პირობა იმის თაობაზე, რომ ვაჭრობისას თანხის ყოველი გაზრდა დამატებით გამოიწვევდა აქტივების საწყისი ფასის გაზრდას 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარით. ყველაზე უცნაური კი განაცხადში ის იყო, რომ სალიცენზიო პირობების გრაფაში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახის მოთხოვნა: „აუქციონში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღება“.

საქართველოში დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ვალდებულება ეხებოდა ჭიათურის მანგანუმის გამამდიდრებელ ფაბრიკას, რომლის აქტივებითაც, განაცხადის თანახმად, ყოველად უცნაური ფორმით, ვაჭრობდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გარდა ამისა, გაუგებარი იყო, თუნდაც, საწარმოსთან მიმართებაში ამ პირობის დაწესება, რადგან კანონი ამას ისედაც ითხოვდა.

2006 წლის 11 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჩატარებულ აუქციონში გაიმარჯვა მისმა ერთადერთმა მონაწილემ “Georgian Manganese Holding Limited”-მა.

## 4.2 ხელშეკრულების მოაოვების მსაღივება

აუქციონის პირობების თანახმად, აუქციონის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება აქტივების ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ვადის გასვლისთანავე მწვანე ალტერნატივა შეეცადა მოეპოვებინა ხელშეკრულების ასლი, თუმცა, ეს არც თუ ისე იოლი და შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც კი აღმოჩნდა.

საქმე იმაშია, რომ აუქციონის ჩატარების პერიოდში საზოგადოებისათვის, მათ შორის, მწვანე ალტერნატივასათვის, ცნობილი არ იყო, რომ „ჭიათურმანგანუმის“ აქტივებს გაკოტრების მმართველი განაგებდა<sup>113</sup> და შესაბამისად, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ხელშეკრულებაც გაკოტრების მმართველსა და მყიდველს შორის გაფორმდა. ამდენად, მწვანე ალტერნატივამ 2006 წლის 25 დეკემბერს წერილით მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (როგორც სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ფლობს და განკარგავს სახელმწიფო ქონებას) და სთხოვა სს „ჭიათურმანგანუმი“-ს აქტივების შპს “Georgian Manganese Holding Limited”-ისათვის გადაცემის თაობაზე დადებული ხელშეკრულების ასლი. მწვანე ალტერნატივამ 2007 წლის 8 იანვარს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, კახა დამენიას განმარტება მიიღო, სადაც ყოველგვარი განმარტების გარეშე აღნიშნულია იყო, რომ „სს „ჭიათურმანგანუმის“ აქტივების გასხვისება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ არ განხორციელებულა“.

მინისტრის მოადგილის ამგვარი განმარტება არ თანხვდებოდა რამოდენიმე დღით ადრე, 2007 წლის 5 იანვარს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციას<sup>114</sup>, რომლის თანახმადაც, „ეკონომიკური განვითარების მინისტრმა [გიორგი არველაძემ] შპს Georgian Manganese Holding Limited-ის ხელმძღვანელს საკუთრების მოწმობა გადასცა, რომლის მიხედვით ბრიტანული კომპანია სს „გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“, სს „ჭიათურმანგანუმისა“ და შპს „ვარციხე 2005“-ის საბოლოო

<sup>113</sup> გაკოტრების პროცესი „ჭიათურმანგანუმში“ არაერთხელ დაიწყო და შეჩერდა.

<sup>114</sup> [www.economy.ge](http://www.economy.ge), ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდი, სიახლეები

*მფლობელი გახდა. სამწლიანი მუშაობის შედეგად გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც ხელი ქართული მხრიდან გიორგი არველაძემ, ხოლო ბრიტანული კომპანიის მხრიდან ალექსანდრე ზილბერმანმა მოაწერეს. ...სამინისტრომ დოკუმენტზე ხელმოწერით სამწლიანი მუშაობა დაასრულა. ხელშეკრულების გაფორმება ნიშნავს იმას, რომ გადარჩება „ჭიათურმანგანუმი“ და „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა“; ამასთანავე რეგიონის ეკონომიკური პოტენციალი, ორ წელიწადში იმერეთში დამატებით 1000 სამუშაო ადგილი შეიქმნება, გაუმჯობესდება მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო და უსაფრთხოების პირობები. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ის საწარმო სიმძლავრეები გადაგვერჩინა, რომელიც მართლა სულს ღაფავდა და განადგურების პირას იყო. სახელმწიფომ მთლიანობაში 2 წლის წინ დიდი საპრივატიზაციო მართონის გამოცხადებისას დაგვემილი 132 მილიონი მილიონ“-განაცხადა გიორგი არველაძემ დოკუმენტზე ხელმოწერის გაფორმების ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ“.*

მინისტრის საჯარო განცხადებასა და მისი მოადგილის მიერ მოცემულ განმარტებას შორის აშკარა შეუსაბამობის გამო, მწვანე ალტერნატივა კვლავ შეეცადა სიტუაციაში გარკვევას და 2007 წლის 17 იანვარს კვლავ მიმართა სამინისტროს, ამჯერად მინისტრის მოადგილის განმარტების დასაზუსტებლად. სუსტი იმედით, რომ ამჯერად მაინც მიიღებდა პირდაპირ და ნათელ პასუხს, ორგანიზაციამ ამჯერად მოითხოვა იმის დაზუსტება, თუ პრივატიზების რა ფორმის გამოყენებით და ვის მიერ გასხვისდა „ჭიათურმანგანუმის“ აქტივები. პასუხი, სამწუხაროდ, ამჯერადაც იგივე იყო.

ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, მწვანე ალტერნატივამ მიიჩნია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უბრალოდ არ ჩათვალა საჭიროდ ამომწურავი და გასაგები პასუხის გაცემა დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენელისთვის, რაც აშკარად ლახავდა საზოგადოების უფლებას საჯარო ინფორმაციაზე. ამდენად, მწვანე ალტერნატივამ 2007 წლის 6 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ მხოლოდ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ საწარმო გაკოტრების მმართველმა გაყიდა და წარმოადგინა გაკოტრების მმართველის ზემოთ მოყვანილი წერილი. რაც შეეხება ეკონომიკური განვითარების მინისტრის განცხადებას იმის შესახებ, რომ საწარმო სამინისტრომ გაყიდა, სამინისტროს წარმომადგენელის განცხადებით, ეს იყო სამინისტროს იმ თანამშრომელის შეცდომა, რომელმაც ინფორმაცია ვებ-გვერდზე განათავსა; მოგვიანებით მწვანე ალტერნატივას მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილ ვიდეო-რგოლზე, რომელშიც მინისტრი თავად აკეთებდა განცხადებას „ჭიათურმანგანუმის“ გასხვისებაზე, სამინისტროს წარმომადგენელს მოსაზრება არ გააჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ მინისტრი თავის სატელევიზიო გამოსვლებსა თუ საგაზეთო ინტერვიუებში საპირისპიროს ამტკიცებდა, სასამართლო დარწმუნდა, რომ ხელშეკრულება ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მყიდველს შორის არ გაფორმებულა. შესაბამისად, მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სასამართლოს უარი იყო შედეგი იმისა, რომ ორგანიზაციამ დაუჯერა ეკონომიკური განვითარების მინისტრს და მოითხოვა დოკუმენტი, რომელიც საერთოდ არ არსებობდა. მინისტრის მოადგილემ კი, რომელმაც იცოდა სინამდვილე, იმის ნაცვლად, რომ ორგანიზაციის მოთხოვნა შესაბამისი უწყებებისთვის გადაემისამართებინა ან ნათელი პასუხი გაცემა, არაპირდაპირი პასუხებით დროის გაწელვა ამჯობინა. აქვე, მკითხველს შევახსენებთ, რომ ხელშეკრულების ასლის მოთხოვნით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მწვანე ალტერნატივამ პირველად 2006 წლის 25 დეკემბერს მიმართა და მხოლოდ 2007 წლის 5 ივნისს(!), არაერთი წერილისა და სასამართლო დავის აღძვრის შემდეგ შეიტყო, რომ სამინისტრო არ იყო ხელშეკრულების მხარე და შესაბამისად, კანონიერი მოპასუხე სასამართლო დავაში.

### 4.3 გეგმარება

„ჭიათურმანგანუმი“ ხელშეკრულების ასლის მოპოვების პროცესში ტრანსპარენტული მოვლენები ზემოაღწერილით არ დამთავრებულა.

2007 წლის 21 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი იმერეთს ესტუმრა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის კანცელარიის პრეს-ცენტრმა მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსა შემდეგი სახის ინფორმაცია: „ზურაბ ნოღაიდელმა ჭიათურაში დაათვალიერა №9-ე საჯარო სკოლა, საცურაო აუზი, ხის გადამამუშავებელი საწარმო, გაეცნო წყალმომარაგების სისტემისა და სატუმბო სადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მოინახულა „ჭიათურმანგანუმის“ ქარხანა. საწარმოში დღეისათვის 3 ათას კაცზე მეტია დასაქმებული და 350 ათას ტონა პროდუქციას უშვებს, 2008 წლისთვის კი დაგეგმილია პროდუქციის წლიური ბრუნვის 450 ათას ტონამდე გაზრდა. ჭიათურის შემდეგ ზურაბ ნოღაიდელი ზესტაფონში გაემგზავრა, სადაც საწარმო „ეკომეტალი“, შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ (ყოფილი ფეროშენადნობთა ქარხანა) დაათვალიერა. „ჩვენ გვაქვს



ინვესტორებთან ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს უახლოესი 2 წლის განმავლობაში 75 მილიონი დოლარის და შემდგომი წლების განმავლობაში 150-200 მილიონი დოლარის ინვესტიციების განხორციელებას. ბოლო პერიოდის განმავლობაში სტაბილურად არის დასაქმებული მუშახელი როგორც „ჯორჯიან მანგანეზში“, ისე „ჭიათურმანგანუმში“. გაისად, პირველ კვარტალში იწყება „ჯორჯიან მანგანეზში“ მე-7 ლუმელზე მუშაობა. ამის შედეგად კიდევ უფრო გაიზრდება პროდუქციის გამომუშავება, შემოსავლები და შესაბამისად, – დასაქმებულთა ხელფასებიც – განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა“.

მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე, მწვანე ალტერნატივამ წერილით მიმართა პრემიერ-მინისტრს და სთხოვა განმარტება - ინვესტორთან ხელმოწერილ რომელ შეთანხმებზე საუბრობდა ის იმერეთში ვიზიტისას. იმავე წერილით მწვანე ალტერნატივამ პრემიერ-მინისტრს სთხოვა ამ დოკუმენტის ასლი. მთავრობის კანცელარიის უფროსმა (იმაში გარკვევის მიზნით, თუ რაზე საუბრობდა პრემიერ-მინისტრი იმერეთში ვიზიტისას) მწვანე ალტერნატივას წერილი რეაგირებისათვის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაუგზავნა; ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ (კახა დამენიამ) კი მთავრობის კანცელარიას პასუხად აცნობა<sup>115</sup>: „გაცნობებთ, რომ წერილში მითითებული მემორანდუმის მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა და როგორც ჩვენთვის ცნობილია აღნიშნული მემორანდუმი კონფიდენციალურია“.

მწვანე ალტერნატივამ კვლავ მიმართა პრემიერ-მინისტრს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა დოკუმენტის იმ ნაწილების მიწოდება, რომელიც არ შეიცავდა საიდუმლოებას; ასევე, ინფორმაციას იმ პირის შესახებ, რომელმაც გაასაიდუმლოვა ინფორმაცია, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველი და გასაიდუმლოების ვადა. აღნიშნულ წერილზე პასუხად მწვანე ალტერნატივამ კვლავ ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, ბატონი დამენიას წერილი მიიღო, რომელშიც აღნიშნული იყო: „მითითებული მემორანდუმი აღიარებულია კონფიდენციალურად ამავე მემორანდუმით. ამდენად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები“.

იმავე დოკუმენტის მოპოვება მწვანე ალტერნატივამ რამოდენიმე წლის შემდეგ, 2010 წლის თებერვალში, კვლავ სცადა. ამჯერად, ორგანიზაციამ საჩივრით პრემიერ-მინისტრ, ნიკა გილაურს მიმართა. საჩივარში მწვანე ალტერნატივა შეეცადა, პრემიერ-მინისტრისათვის აეხსნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მემორანდუმის საჯაროობა:

„როგორც მოგეხსენებათ, ჭიათურმანგანუმის გამამდიდრებელი ფაბრიკების ექსპლუატაციის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ტარდებოდა ტექნიკური გადაიარაღების სამუშაოები, მაგრამ მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოები დიდი ხნის განმავლობაში არ ჩატარებულა; შედეგად, დაგროვდა უამრავი გარემოსდაცვითი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტის ერთადერთ შესაძლებლობადაც განიხილებოდა საწარმოს აქტივების გასხვისება.“

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სს „ჭიათურმანგანუმის“ აქტივები 2006 წელს გაკოტრების მმართველის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ერთად ჩატარებული აუქციონის საფუძველზე ყოველგვარი პირობების გარეშე გასხვისდა, ზემოაღნიშნული მემორანდუმი არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც საწარმოს ახალ მფლობელს ინვესტიციების განხორციელებას და შესაბამისად, „ჭიათურმანგანუმში“ არსებული სავალალო მდგომარეობის გამოსწორებას ავალდებულებს.

ამასთანავე, როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის 2007 წლის 6 ნოემბრის №21/1374/1-7 წერილიდან ირკვევა, დოკუმენტის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევისას არ ყოფილა დაცული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები; კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27<sup>2</sup> მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება კი ვალდებულია 10 დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ (მიიჩნიოს ან არ მიიჩნიოს კომერციულ საიდუმლოებად). მემორანდუმის გასაიდუმლოებისას აღნიშნული წესი დაცული არ ყოფილა, რადგან ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის ზემოხსენებული წერილის თანახმად, მემორანდუმის ტექსტი გასაიდუმლოებულია თავად მემორანდუმით“.

აღნიშნულის საფუძველზე, მწვანე ალტერნატივა პრემიერ-მინისტრს სთხოვდა, შეესწავლა მემორანდუმის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონიერება და საჯარო გაეხადა დოკუმენტი.

<sup>115</sup> ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, კახა დამენიას 2007 წლის 26 სექტემბრის წერილი №21/1159/1-7

რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, საქართველოს მთავრობის კანცელარიამ საჩივარი რეაგირებისათვის კვლავ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გაუგზავნა. ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან მიღებული პასუხი კი არაფრით განსხვავდებოდა იმავე უწყებიდან წლების წინ მიღებულ პასუხისგან - „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენს წერილში დასმული საკითხი და იმის გათვალისწინებით, რომ შემოადინებული მემორანდუმის მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, რომელსაც გამოვლენილი აქვს ნება მემორანდუმის კონფიდენციალურად ცნობის თაობაზე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს თქვენს მიერ მოთხოვნილი ქმედებები“.

#### 4.4 ვინ არის ჭიათურაგანგანის ბოლოჯარი

მკითხველს შეეხსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 26 ოქტომბრის განკარგულებით, შპს „ვარციხე 2005“ Stemcor UK Limited-ს გადაეცა (კომპანია 1951 წელს დაარსდა და დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ფოლადით მოვაჭრე კომპანიაა). რამდენიმე დღეში პრეზიდენტის განკარგულებაში შესული ცვლილებით კი, საწარმოს ახალ მფლობელად G.M. Georgian Manganese Holding Limited-ი დასახელდა. როგორც იმ დროს საზოგადოებას განუმარტეს, G.M. Georgian Manganese Holding Limited-ი ბრიტანული კომპანია Stemcor UK Limited-ის შვილობილი კომპანია იყო. ამ განმარტებას უნდა გაექარწყლებინა საზოგადოების კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გადაეცემოდა საწარმო ახლადდაარსებულ უცნობ კომპანიას. ერთადერთი ეჭვის საბაზს მხოლოდ ის ფაქტი იძლეოდა, რომ არსებობის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში Stemcor-ი მხოლოდ ფოლადით ვაჭრობდა და არ ფლობდა არცერთ მომპოვებელ კომპანიას<sup>116</sup>.

უკრაინულ პრესაში<sup>117</sup> ერთი წლის შემდეგ, ხოლო ქართულ პრესაში ორი წლის შემდეგ გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ G.M. Georgian Manganese Holding Limited-ის რეალური მფლობელი უკრაინული ჯგუფი „პრივატია“. ეს ჯგუფი საქართველოში „ტაო-პრივატ ბანკის“ მფობელია 2007 წლიდან. უკრაინული პრესის თანახმად, ჯგუფი „პრივატი“ ერთ-ერთი ყველაზე დახურული და არაგამჭვირვალე კომპანიაა, მისი დამფუძნებლები, იგორ კოლომისკი და გენადი ბოგოლიუბოვი უკრაინის უმდიდრეს ადამიანთა ხუთეულში შედიან.

ქართულ პრესაში ჯგუფი „პრივატის“ „ჭიათურმანგანუმთან“ კავშირზე მხოლოდ 2008 წლის დასაწყისში დაიწერა, „ჯორჯიან ბიზნეს კონსალტინგის“ ვებ-გვერდზე<sup>118</sup> უკრაინულ წყაროზე დაყრდნობით გამოქვეყნდა სტატია, რომლის თანახმად, ჯგუფი „პრივატის“ თანამფლობელი გენადი ბოგოლიუბოვი ავსტრალიური მანგანუმის მომპოვებელი კომპანია Consolidated Minerals-ის ბაზაზე საერთაშორისო ჰოლდინგის შექმნას გეგმავდა, სადაც შესაძლოა ქართული „ჭიათურმანგანუმის“ გაერთიანებულიყო. სტატიაში აღნიშნული იყო: „როგორც უკრაინელმა ბიზნესმენმა ბოგოლიუბოვმა მედიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა (წყარო [www.ukrudprom.com](http://www.ukrudprom.com)), ჰოლდინგში ამ ეტაპზე მხოლოდ უცხოური აქტივების გაერთიანება იგეგმება. პირველ ეტაპზე Consolidated Minerals-ში გაერთიანდება განაში არსებული აქტივი - Ghana Manganese. შემდეგ შესაძლებელია ქართული „ჭიათურმანგანუმის“, ამერიკული ფეროშენადნობი ქარხნის Highlanders Alloys-ის და რუმინული Feral CA-ს გაერთიანებაც. ბოგოლიუბოვის განმარტებით, მისმა კომპანიამ, Palmary Enterprises Ltd-მა გასული წლის დეკემბერში მანგანუმის მომპოვებელი მსოფლიოში უმსხვილესი ავსტრალიური კომპანია Consolidated Minerals 1,3 მლრდ ავსტრალიურ დოლარად (1,2 მლრდ აშშ დოლარი) იყიდა, რაც მის კომპანიას ფეროშენადნობების მსოფლიო ბაზრის 30%-ის გაცოტროლების საშუალებას მისცემს“.

#### 4.5 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

როგორც აღვნიშნეთ, 2006 წლის 11 ნოემბერს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ჩატარებულ აუქციონში გამარჯვებულად Georgian Manganese Holding Limited-ი გამოცხადდა, რომელმაც ლიცენზიაში 6.050 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი გადაიხადა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, აუქციონში მონაწილეობდა არა ბრიტანული კომპანია, არამედ კომპანიის საქართველოში რეგისტრირებული შვილობილი კომპანია „ჯორჯიან მანგანუმი“, შესაბამისად, ლიცენზიაც ქართულ კომპანიაზე გაიცა.

2006 წლის 25 დეკემბერს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის თანახმად, „ჯორჯიან მანგანუმს“ 2007 წელს უნდა უზრუნველყო მინიმუმ 350 ათასი ტონა მადნის კონცენტრატის

<sup>116</sup> Our vision: Stemcor is the world's largest independent steel trader. We are not owned by, nor do we own, any steel producers. We aim to be the partner of choice for producers and purchasers of steel in every part of the world. We achieve this by nurturing strong business relationships, by continuously improving our processes and by adding value at every step in the steel supply chain. [www.stemcor.com](http://www.stemcor.com)

<sup>117</sup> Українские банкиры переходят границы, 11.10.2007, <http://forum.finance.ua/>; 24.10.2007 <http://www.denga.com.ua>

<sup>118</sup> „ჯგუფი „პრივატის“ თანამფლობელი გენადი ბოგოლიუბოვი „ჭიათურმანგანუმის“ საერთაშორისო ჰოლდინგში გაერთიანებას გეგმავს“, gbc.ge, 2008.01.23



წარმოება, ხოლო მომდევნო წლებში - მინიმუმ 400 ათასი ტონის წარმოება. წელიწადში მინიმუმ 200 ათასი ტონა მანგანუმის კონცენტრატი უნდა გადაამუშავდეს საქართველოს ტერიტორიაზე. ლიცენზია გაცემა 40 წლის ვადით. მოპოვებული რესურსისა და ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის ოდენობა იყო გაცემული ლიცენზიის ერთადერთი პირობა. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ იმისთვისაც კი არ შეიწყობა თავი, რომ ლიცენზიის შესაბამის გრაფაში მიეთითებინა სამთო წარმოების წესი (ღია, მიწისქვეშა, სხვა).

#### 4.5.1 სამთო მინაპროდუქტი

სს „ჭიათურმანგანუმის“ სამთო მინაპროდუქტი 2006 წლამდე მოქმედი ლიცენზიით, განისაზღვრებოდა 3 566,16 ჰექტარით, რომლის ფარგლებს გარეთ სახელმწიფო ბალანსზე ირიცხებოდა გორა-ტყის ველის, ნაგუთის, პასიეთის და სარეკის მარაგები. 2006 წელს გაცემული ლიცენზიის თანხმად, სს „ჭიათურმანგანუმის“ სამთო მინაპროდუქტის ფართობი გაიზარდა და 16 430 ჰექტარით განისაზღვრა. ამჟამად სამთო მინაპროდუქტი მოიცავს ადრე აუთვისებელ საბადოებსაც. რაც მთავარია, ლიცენზიით განსაზღვრულმა სამთო მინაპროდუქტმა მოიცვა არაერთი დასახლებული პუნქტი. ლიცენზიის მფლობელს უფლება მიეცა წიაღისეული ქ. ჭიათურაშიც კი მოიპოვოს.

2009 წლის აპრილში, მწვანე ალტერნატივასათვის ცნობილი გახდა, რომ ჭიათურისა და საჩხერის რაიონში გარკვეული პრობლემები შეიქმნა მიწათსარგებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ორგანიზაციის ხელთ არსებული ინფორმაციით, დავა წარმოიშვა შპს „ჯორჯიან მანგანუმის“ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით დადგენილი მიწის მინაპროდუქტის ფარგლებში მიწით სარგებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით მწვანე ალტერნატივამ წერილით<sup>119</sup> მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, გოგა ხაჩიძეს და სთხოვა საკითხთან დაკავშირებით სამინისტროში შემოსული და/ან სამინისტროდან გასული ყველა დოკუმენტის ასლი. წერილზე პასუხად მივიღეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის, გოჩა მამაცაშვილის წერილი, რომელმაც მოგვაცნოდა შპს „ჯორჯიან მანგანუმის“ ლიცენზიის გაცემის შესახებ მინისტრის ბრძანების და აუქციონის ოქმის ასლი. მინისტრის მოადგილის წერილიდან ნათელი იყო, რომ სამინისტრო ცდილობდა პრობლემის დამალვას, ამიტომ მწვანე ალტერნატივამ განმეორებით მიმართა სამინისტროს და მოითხოვა საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების წერილი, რომელიც, ასევე ჩვენი ინფორმაციით, წარდგენილი იყო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

ამჯერად, სამინისტრომ მოგვაცნოდა ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის, თენგიზ მოცრაძის 2008 წლის 2 დეკემბრის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრისადმი მიწერილი წერილი. ქვემოთ სრულად წარმოგიდგინებ ბატონი მოცრაძის წერილის შინაარსს.

*„როგორც თქვენთვის ცნობილია, არსებული კანონმდებლობის მიხედვით ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის განკარგვისთვის სხვა სამინისტროების თანხმობასთან ერთად ესაჭიროებათ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანხმობა მასზე, რომ განსაკარგავი მიწის ნაკვეთი არ ექვემდებარება ბუნებრივ რესურსებზე, მათ შორის წიაღზე დაგეგმარებას.“*

*როგორც ირკვევა, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 16430 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელიც მოიცავს მთლიანად ქ. ჭიათურის დასახლებას და მიმდებარე სოფლების დიდ ნაწილს, შედის შპს „ჯორჯიანმანგანუმის“ სალიცენზიო კონტურში და აღნიშნულ ტერიტორიაზე თვითმმართველ ერთეულს არ ეძლევა საშუალება განახორციელოს თუნდაც ავტოსადგომის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა, მაშინ, როდესაც ამ კონტურში თავად ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ახორციელებს ათობით ჰექტარ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზაციის პროცესს.“*

*ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში (სადაც მანგანუმი ფაქტიურად არ არის) მიწის ნაკვეთების განკარგვაზე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისთვის თანხმობის გაცემის საკითხი.“*

მორიგი წერილით მწვანე ალტერნატივამ სამინისტროდან ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის პასუხად გაგზავნილი წერილის ასლი მოითხოვა; ასევე, თუკი წერილი რეაგირებისათვის გადაიგზავნა სხვა უწყებებში - გადაგზავნილი წერილების ასლებიც. აღმოჩნდა, რომ წერილი სხვა უწყებებში არ გაგზავნილა რეაგირებისათვის, ასევე არ არსებობდა რაიმე სახის მიმოწერა, რადგან „სამინისტრო ახორციელებს მოლაპარაკებას დაინტერესებულ მხარეებს შორის“.

<sup>119</sup> 2009 წლის 4 მარტის წერილი № 04/09-68



სამინისტროდან მიღებული ბოლო ინფორმაციის თანახმად, ჭიათურის მუნიციპალიტეტსა და შპს „ჯორჯიან მანგანეს“ შორის არსებული დავის განხილვამ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადაინაცვლა.

„ჭიათურმანგანუმის“ საქმიანობასთან დაკავშირებით ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება. 2005 წლის 22 აპრილს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა დამატება, რომლის თანახმად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ექსპროპრიაცია შესაძლებელია განხორციელდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისათვის სამუშაოების წარმოების მიზნით. აღნიშნული ცვლილება კანონში „ჭიათურმანგანუმის“ „ვერაზპოლდინგისათვის“ მიყიდვის მცდელობის პედიოდში განხორციელდა. 2005 წელს ვერაზპოლდინგთან“ მიღწეული შეთანხმების ჩაშლამ საჩხერის რაიონის 3 ათასზე მეტი ოჯახი საცხოვრებელი ადგილებიდან აყრას გადაარჩინა, თუმცა მხოლოდ დროებით... ადრე თუ გვიან „ჯორჯიან მანგანეზი“ დაიწყებს მისთვის მიკუთვნებული საბადოების ათვისებას და ჩვენც, ალბათ, მორიგი საპროტესტო აქციებისა და გაფიცვების მომსწრენი გავხდებით.

#### 4.5.2 ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშები

2009 წლის მაისში მწვანე ალტერნატივამ მიმართა<sup>120</sup> გარემოს დაცვისა ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სთხოვა „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ სამინისტროში წარდგენილი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშების ასლები. წერილზე პასუხად სამინისტრომ მოგვანოა<sup>121</sup> გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების შევსებული ფორმები.

მწვანე ალტერნატივამ განმეორებით მიმართა სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს და აუხსნა, რომ ითხოვდა ლიცენზიის შესრულების ანგარიშებს, რომელთა წარდგენა საწარმოს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად მოეთხოვება. აღნიშნულზე პასუხად სამინისტრომ განმარტა, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ანგარიშების წარდგენის წესი და ფორმები ჯერ არ შემუშავებულა (აღსანიშნავია, რომ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონი 2005 წლის 24 ივნისს არის მიღებული), ამიტომ ლიცენზიის მფლობელები ანგარიშებს წარადგენენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ 2003 წლის 1 მაისის №46 ბრძანებით დამტკიცებული „წიაღით სარგებლობის მდგომარეობაზე ინფორმაციის (ანგარიშის) შედგენის და ლიცენზიის მოქმედების ყოველწლიური აღნიშვნისათვის წარდგენის წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად. დებულებით, წიაღითსარგებლობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დებულებითვე დამტკიცებული უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმებით.

განმარტება მისაღები იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება, „წიაღით სარგებლობის მდგომარეობაზე ინფორმაციის (ანგარიშის) შედგენის და ლიცენზიის მოქმედების ყოველწლიური აღნიშვნისათვის წარდგენის წესის შესახებ“ დებულება გარდა სტატისტიკური ფორმების წარდგენისა, ითვალისწინებს საინფორმაციო ანგარიშის წარდგენას, რომელიც უნდა მოიცავდეს „ტექსტს, თანდართული ანალიტიკური და გრაფიკული მასალების განმარტებითი ბარათის სახით“. დებულება ასევე მოიცავს იმ საკითხების ვრცელ ჩამონათვალს, რომლის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ანალიტიკურ მასალაში. სამინისტროს წერილის თანახმად, შპს „ჯორჯიან მანგანეს“ მსგავსი ანგარიში სამინისტროში არ წარუდგენია და როგორც ჩანს, არც სამინისტრო თვლის საჭიროდ, მოსთხოვოს ლიცენზიის მფლობელს მისი წარდგენა.

#### 4.6 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა

ვინაიდან საწარმო უკვე ფუნქციონირებდა „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე, ათწლეულების განმავლობაში სს „ჭიათურმანგანუმი“ ოპერირებდა გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე. სს „ჭიათურმანგანუმი“ გაცემული იყო მხოლოდ წიაღითსარგებლობის ლიცენზია, რომელშიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზირების უწყებათმორისო ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილებით, პირობების შესრულების მიხედვით, გარკვეული ცვლილებები შედიოდა. სს „ჭიათურმანგანუმი“ საქმიანობის გარემოსდაცვითი კანონდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი წლების განმავლობაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რაც თვალნათლივ აისახა ჭიათურის გარემოს მდგომარეობაზე.

<sup>120</sup> 2009 წლის 18 მაისის №04/09-79 წერილით

<sup>121</sup> 2009 წლის 28 მაისის №11/11 -145 წერილით



2007 წელს მიღებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>122</sup> თანახმად, „ჭიათურმანგანუმს“, როგორც სუბიექტს, რომლის საქმიანობა ექვემდებარება ეკოლოგიურ ექსპერტიზას და რომლის განხორციელებაც დაწყებულია „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, 2009 წლის 1 იანვრამდე უნდა აეღო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ნებართვის მისაღებად საწარმოს უნდა წარედგინა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი (ეკოლოგიური აუდიტი), ასევე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმა.

#### 4.6.1 ჯორჯიან მანგანუმის მიერ ჩატარებული საჯარო განხილვა

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზმ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარედგინა, ანუ ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების ადმინისტრაციული პროცედურის დაწყებამდე, მოაწიოს მისი საჯარო განხილვა.

ასევე, კანონის თანახმად, გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს მის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ორპუსის კონვენციის თანახმად, ასეთ შემთხვევაში „დანიტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით“, საქართველოს კანონმდებლობა ამ მიმართებით მინიმალურ მოთხოვნებს აწესებს და ითვალისწინებს მხოლოდ ცენტრალურ და თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებას, რაც გზმ სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად უნდა ჩავთვალოთ.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოში პრესა არ არის ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია ინფორმაციის დროულად და ფართოდ გავრცელება, განსაკუთრებით რეგიონებში. იმისათვის, რომ საქმიანობის/პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა მოქალაქემ პრესის მეშვეობით მიიღოს ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ, იგი რეგულარულად უნდა ეცნობოდეს (ყიდულობდეს) გაზეთებს, ეს კი, რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების უმეტესობისათვის, მიუწვდომელი „ფუფუნებაა“. შედეგად, უკვე დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ როგორც წესი, საჯარო განხილვებზე ადგილობრივი მოსახლეობა წარმოდგენილი არ არის.

ამ პრაქტიკიდან გამონაკლისი არც „ჯორჯიან მანგანუმის“ მიერ ჩატარებული საჯარო განხილვა ყოფილა. როგორც, 2009 წლის 16 იანვარს ჩატარებული საჯარო განხილვის ოქმში მითითებულია, რომ საჯარო განხილვას ესწრებოდა 20 ადამიანი, აქედან ოთხი ადამიანი წარმოდგენდა შპს „ჯორჯიან მანგანუმს“, თავად ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი წარმოდგენილი იყო შვიდი კაცით; განხილვას ასევე ესწრებოდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ავტორი საკონსულტაციო ფირმა „გამას“ სამი წარმომადგენელი, ასევე, გზმ-ს ავტორი სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ორი წარმომადგენელი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ერთი წარმომადგენელი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ორი და პროფკავშირის კომიტეტის ერთი წარმომადგენელი. როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, შეხვედრას არ ესწრებოდა ადგილობრივი მოსახლეობის არცერთი წარმომადგენელი.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ კანონის თანახმად, გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა ეწყობა იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება; „ჯორჯიან მანგანუმს“ კი განხილვა სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის შენობაში ჩატარა.

ოქმის თანახმად, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა შპს „ჯორჯიან მანგანუმის“ გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე ზილმერმანმა, რომელმაც აღნიშნა: „ვევალისადაც ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ინვესტორი შემოდის ფულის გასაკეთებლად და პარალელურად წყვეტს საწარმოს წინაშე არსებულ პრობლემას, მათ შორის ეკოლოგიურ პრობლემასაც. მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ კომპანიის წინაშე დღეს არსებული პრობლემები, ისტორიული პრობლემებია და ნაკლებად დაკავშირებულია შპს. „ჯორჯიან მანგანუმი“-ს მიმდინარე საქმიანობასთან. მიუხედავად აღნიშნულისა, განსახილველად წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში მოცემული ღონისძიებები შესრულებული იქნება ეტაპობრივად, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია შესრულების ვადების კორექტირება, კერძოდ: შექმნილი მდგომარეობის გამო შპს. „ჯორჯიან მანგანუმი“ მნიშვნელოვან ინვესტირებას ახორციელებს საწარმოების მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის და

<sup>122</sup> 22-ე მუხლი

შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობს ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტასაც. ეკონომიკური კრიზისის ფონზე მთავარია შევინარჩუნოთ სამუშაო ადგილები და ვიზრუნოთ ჩვენთან დასაქმებული პერსონალის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინასწარ უნდა მოგახსენოთ, გარემოსდაცვითი საკითხების გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ინვესტიციები მოსალოდნელია მხოლოდ 2010 წლიდან, 2009 წელში კი ძირითადად განხორციელდება მიმდინარე ხარჯებით გათვალისწინებული სამუშაოები“.

#### 4.6.2. მწვანე ალტერნატივას აღმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის მსადაც

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის/გაუცემლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. აღნიშნული წესი არ ითვალისწინებს ისეთ პროცედურას, როგორცაა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე საჯარო განცხადების გაკეთება, თუკი ადმინისტრაციული ორგანო არ ჩათვლის, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაძლოა, გაუარესდეს დაინტერესებული მხარის სამართლებრივი მდგომარეობა.

ზემოაღნიშნული გარემოების გამო, ჯერ კიდევ 2007 წლის 25 სექტემბერს მწვანე ალტერნატივამ მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსს (გიორგი ცხაკაიას) და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის და ორპუნის კონვენციის მე-2 და მე-6 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, მოითხოვა ჩართვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და/ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარდგენილ ნებისმიერ განცხადებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში. მიუხედავად ამისა, ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი არ უზრუნველყოფდა ორგანიზაციის მონაწილეობას გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოებებში. მწვანე ალტერნატივამ, აღნიშნულთან დაკავშირებით, არაერთხელ მიმართა სამინისტროს ადმინისტრაციული საჩივრით. სამწუხაროდ, არსებული ვითარების გამოსასწორებლად სამინისტრო შემოიფარგლა მხოლოდ კონკრეტული საჯარო მოხელეების გაფრთხილებით და არაფერი გაუკეთებია პრობლემის სისტემური გადაწყვეტისათვის.

ზემოაღწერილი გამოცდილების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროში წარდგენილი იყო უკვე ორი წერილი წარმოებაში ორგანიზაციის ჩართვის თხოვნით, მწვანე ალტერნატივამ დამატებით მიმართა ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსს, ნიკოლოზ ჭახნაკიას და ითხოვა, შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების მიზნით, სამინისტროში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის წარდგენისთანავე ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა, სრული დოკუმენტაციის ასლის მიწოდება და ადმინისტრაციული წარმოების ვადების მითითება.

შედეგად, „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების მიზნით, სამინისტროში 2009 წლის 11 თებერვალს წარდგენილი დოკუმენტაციის ასლი, მინისტრის მოადგილის, ვლადიმერ გეგელაშვილის 2009 წლის 16 თებერვლის წერილით, მწვანე ალტერნატივას 2009 წლის 24 თებერვალს ჩაბარდა. მინისტრის მოადგილის წერილში შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის ვადად 24 თებერვალი იყო დადგენილი.

აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში, იგივე განმეორდა სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტისათვის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მწვანე ალტერნატივას ჩართვასთან დაკავშირებით. მწვანე ალტერნატივამ ჩათვალა, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური გამიზნულად ცდილობდა არ დაეშვა მწვანე ალტერნატივას მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში და კვლავ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მინისტრს. ამჯერად, საჯარო მოხელეებს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრათ, თუმცა ამით საქმეს აღარ ეშველა.

#### 4.6.3 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასაწყისი

შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარდგენილი ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისთვის ჩატარებული ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად, 2009 წლის 26 თებერვალს მომზადდა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა დასაშვებია იყო მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში წარმოდგენილი პირობების შესრულებაზე ვალდებულების აღების შემთხვევაში. მოგვიანებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შპს „ჯორჯიან მანგანეზს“

გადასცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, რომლითაც საწარმოს ხელმძღვანელობას დაევალა არაერთი ღონისძიების უპროგრამო შესრულება.

ქვემოთ წარმოგიდგინთ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (და შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვით) დაწესებულ პირობებს, რომელიც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს იმის შესახებ, თუ რა სავალალო მდგომარეობაში იმყოფება დღეისათვის საწარმო:

„საწარმოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს გზშ-ს (დასკვნები და რეკომენდაციები) რეკომენდაციებით გათვალისწინებული ღონისძიებების უპროგრამო შესრულება, კერძოდ:

1. უსაფრთხოების, ჯანდაცვის და გარემოს დაცვის მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმება;
2. კომბინატის მიმდინარე საქმიანობის პროცესში გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა 2009 წლის და 2009-2015 წლების პერსპექტიული გეგმების მომზადება;
3. კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის მომზადება და საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმება;
4. ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება და საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმება;
5. კომბინატის საწარმოო ობიექტებზე დანერგილი იქნას ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, რისთვისაც ყველა ობიექტი უზრუნველყოფილი იქნას სათანადო მარკირების და ფერის, საჭირო რაოდენობის ჰერმეტიკულსახურავიანი კონტეინერებით;
6. საწარმოში ნავთობპროდუქტების ნარჩენების, გამოყენებული ზეთების და ნავთობით დაბინძურებულ ნებისმიერი ნარჩენების, ან სხვა სახიფათო ნარჩენების შესაგროვებლად გამოყოფილი იქნას სპეციალური სათავსი. სახიფათო ნარჩენების კომბინატის ტერიტორიიდან გატანა და მუდმივი განთავსება მოხდეს ამ საქმიანობაზე სათანადო ლიცენზიის მქონე კონტრაქტორის მიერ;
7. უზრუნველყოფილი იქნას კომბინატის ბაღანსზე არსებული ტრანსფორმატორების სატრანსფორმატორო ზეთებში პოლიქლორობრებული ბიფენოლების შემცველობის კონტროლი და ინფორმაცია წარდგენილი იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში;
8. ავტოსატრანსპორტო საწარმოს საწარმოო-სანიადვრე წყლების შექმნის სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა;
9. გამამდიდრებელ ფაბრიკებთან საწარმოო-ჩამდინარე წყლების ლოკალური სალექსების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და განხორციელება;
10. მდ. ყვირილას დაბინძურების აღკვეთის მიზნით ცენტრალური გამწმენდი ნაგებობის და შლამსადენების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება და განხორციელება უახლოეს ორ წელიწადში;
11. ჩამდინარე და ზედაპირული წყლის ობიექტების წყლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ორგანიზებული იქნას ეკოლოგიური ლაბორატორიის შექმნა და სათანადო შტატით და ხელსაწყო-დანადგარებით აღჭურვა;
12. აგლომერატის სანაყაროდან მდინარე ყვირილაში დასაწყობებული აგლომერატის მოხვედრის აღკვეთის მიზნით სანაყაროს პერიმეტრზე წყალამრიდი არხების მოწყობა, ხოლო მდ. ყვირილას მხრიდან დამცავი კედლის მოწყობა;
13. ჩამდინარე და ზედაპირული წყლის ობიექტების წყლებში შეწონილი ნაწილაკების და მანგანუმის შემცველობის მონიტორინგის წარმოება;
14. კომბინატის ყველა საწარმოო ობიექტზე მომსახურე პერსონალის საყოფაცხოვრებო სათავსების სარემონტო სამუშაოების ჩატარება და საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით უზრუნველყოფა;
15. მომსახურე პერსონალის მომარაგება სამი ცვლა სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
16. მომსახურე პერსონალისათვის პროფესიული უსაფრთხოების და გარემოსდაცვით საკითხებზე სწავლების და ტესტირების ჩატარება 6 თვეში ერთხელ;
17. ყველა სამუშაო ადგილზე პროფესიული უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება;
18. მომსახურე პერსონალის მიერ სპეცტანსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე სისტემატური ზედამხედველობა;
19. მომსახურე პერსონალის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ორგანიზაცია;
20. სამუშაო ადგილებზე სათანადო მიკროკლიმატის უზრუნველყოფის მიზნით საწარმოო კორპუსების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და სპეცტანსაცმლის სისტემების დამონტაჟება;
21. საწარმოო კორპუსებში არსებულ მზრუნავი დანადგარების დამცავი შემოღობვის მოწყობა და სათანადო გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება.
22. ფაბრიკების „ამფ“-ს და „ცმფ-2“-ის ლაბორატორიებში არსებული მანგანუმის ავტომატური კონცენტრატში „ყვირილა“-ს კომბინატის ტერიტორიიდან გატანა ან გაუვნებლობა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმებული გეგმის-პირობების შესაბამისად;

23. დამუშავდეს ფაბრიკა „25“-ის ლიკვიდაციის სამუშაოების პროექტი და შეთანხმდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებთან;
24. უზრუნველყოფილ იქნას ტექნიკური წყალმომარაგების სათაო ნაგებობებზე არსებული სალექტრების გაწმენდა და ნალექის განთავსების საკითხი შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან;
25. კარიერების დამუშავებისათვის ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მომზადდეს რეკულტივაციის პროექტები და უზრუნველყოფილი იქნას პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება;
26. ყველა ზემოთაღნიშნული გეგმა 2009 წლის ბოლომდე წარდგენილ იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.“

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებას (პირობას) ითვალისწინებდა თავად „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი გზმ ანგარიში, კერძოდ, გზმ ანგარიშში წარმოდგენილი „გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა გეგმა“. ეს ვალდებულებები უცვლელად იქნა გადმოტანილი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაში და შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აუცილებელ პირობებში. ყურადსაღებია, რომ გზმ ანგარიში ითვალისწინებდა ასევე ისეთი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებების გატარების ვალდებულებას, როგორცაა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების (წვის პროდუქტები, არაორგანული მტვერი) გავრცელება, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება, ადგილობრივი გზების საფარი, საწვავისა და ზეთების დაღვრის შესაძლებლობა, მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოტენციური რისკები, ადგილობრივი ველური ბუნების შემფოთება და არქეოლოგიური ძეგლების პოტენციური შემფოთება. ამ საკითხებთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები (მიუხედავად იმისა, რომ ისინი ასახული იყო გზმ ანგარიშში), გაურკვეველი მიზეზებით, არ განისაზღვრა სავალდებულოდ ნებართვის პირობებში.

ასევე, გაუგებარი მიზეზებით ნებართვის პირობებში, უმეტეს შემთხვევაში, არ არის განსაზღვრული განსახორციელებელი ღონისძიებების (გარდა გეგმების მომზადების ვალდებულებისა) ვადა, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც თავად ინვესტორის მიერ წარდგენილ გზმ ანგარიშში ვადები დადგენილი იყო. ასე მაგალითად, სანაყაროდან მდინარე ყვირილაში დასაწყობებული აგლომერატის მოხვედრის აღკვეთის მიზნით სანაყაროს პერიმეტრზე წყალმომარაგების არხების მოწყობა, ხოლო მდ. ყვირილას მხრიდან დამცავი კედლის მოწყობა, გზმ ანგარიშის თანახმად, უნდა განხორციელებულიყო შემდეგი გრაფიკით: პროექტირება - 2010 წ., მშენებლობა - 2011-2014 წ.წ.; ასევე ჩამდინარე და ზედაპირული წყლის ობიექტების წყლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ორგანიზებული ეკოლოგიური ლაბორატორიის შექმნა და სათანადო შტატით და ხელსაწყო-დანადგარებით აღჭურვა იგეგმებოდა 2009 წლის მე-3 კვარტალში.

ნებართვის პირობების შესრულების ვადის განუსაზღვრელობა არამარტო ამ კონკრეტული ნებართვის პრობლემაა; ასეთი შემთხვევები ხშირია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების გამცემი სამსახურის პრაქტიკაში, რაც შემდგომ სირთულეებს ქმნის ნებართვის პირობების კონტროლისას - კანონდასრულებისას. ეს საკითხი, ისევე როგორც ამ პუბლიკაციაში წამოჭრილი სხვა პრობლემური საკითხები, სისტემური ხასიათისაა და აუცილებლად საჭიროებს არამარტო დამკვიდრებული პრაქტიკის შეცვლას, არამედ, როგორც ჩანს, დამატებით საკანონმდებლო რეგულირებასაც.

#### 4.6.4 ნებართვით განსაზღვრული პირობების შესრულება

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, 2009 წლის 26 თებერვალს შემუშავებული ეკოლოგიური დასკვნის საფუძველზე გაცემული ნებართვით „ჯორჯიან მანგანეზის“ დაევალია მთელი რიგი გეგმების მომზადება 2009 წლის ბოლომდე. 2010 წლის იანვარში მწვანე ალტერნატივამ მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სთხოვა საწარმოს მიერ ნებართვის პირობების შესაბამისად წარდგენილი გეგმების ასლის მოწოდება. იმავე წერილით, ორგანიზაციამ მოითხოვა ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც სამინისტრომ გაატარა ნებართვის პირობებით დადგენილი ვადების დარღვევასთან დაკავშირებით, თუკი ასეთს ჰქონდა ადგილი.

პასუხად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელმა პირმა მწვანე ალტერნატივას შემდეგი დოკუმენტები მიაწოდა: (1) სამინისტროს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის უფროსის წერილი, რომელიც იუწყებოდა, რომ „ჯორჯიან მანგანეზის“ სამინისტროში წარდგენილი ჰქონდა მხოლოდ კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა და ნარჩენების მართვის გეგმა (წერილს თანდართული ჰქონდა შესაბამისი გეგმების ასლი); და (2) მწვანე ალტერნატივას წერილის საპასუხოდ გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ მომზადებული პასუხი, რომლის თანხმად, გეგმები ინსპექციაში არ შესულა, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები საწარმოს მიმართ, ინსპექციას არ გაუტარებია; მიზეზები წერილში ახსნილი არ იყო.

## 4.7 შრომის უსაფრთხოება

შრომის უსაფრთხოება აქტუალური იყო „ჭიათურმანგანუმის“ არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში და ასეთად რჩება დღემდე.

საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მონაცემებით<sup>123</sup>: 2007 წლის 1 ივნისს ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის სტალინის სახელობის მადაროს №2 მიწისქვეშა უბანზე სასიკვდილოდ დაშავდა ერთი ადამიანი; 2008 წლის 3 აპრილს ჭიათურის წერეთლის მადაროზე მძიმედ დაშავდა გვირაბგამყვანი; 2008 წლის 23 აპრილს დარკვეთის კარიერზე ელექტრო-დენით დაზიანების შედეგად დაიღუპა ელექტროფინკალი; 2009 წლის 11 მარტს ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის სტალინის სახელობის მადაროს მე-2 მიწისქვეშა უბნის გვირაბგამყვანმა პ. ასანიძემ, რომელიც მოჰყვა 3-1 შტრეკის საჯალამბრე კამერის ჩარჩოს ფეხსა და ვაგონს შორის, მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება; 2009 წლის 28 მარტს ზ. პატარაძის სახელობის მადაროს მე-2 მიწისქვეშა უბანში სანგრევის აფეთქებისას სასიკვდილოდ დაშავდნენ ცვლის უფროსი ბ. ციმაკურიძე და ამფეთქებელი ვ. კობიაშვილი; 2009 წლის 13 ივნისს „ჯორჯია მანგანუმი“ ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის სტალინის სახელობის მადაროს მე-2 მიწისქვეშა უბანზე სანგრევიდან ჩამოშლილი სამთო მასის გროვიდან გადმოვარდნილი ქვის ლოდი დაეცა უბნის ცვლის უფროსს ზ. ასანიძეს, რომელმაც ფეხის არეში მიიღო მძიმე ტრავმა.

2009 წელს „ჯორჯიან მანგანუმი“-ს ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ობიექტებზე გამოვლენილი დარღვევების ანალიზით, საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციამ დაადგინა, რომ უმეტესად არ სრულდება წმენდითი და მოსამზადებელი სანგრეების გამაგრების პასპორტების მოთხოვნები, არასაკმარისია განიავება, ხშირია დარღვევები, როგორც ელექტრო-მექანიკურ დარგში, ისე მადაროში და ღია სამთო სამუშაოებზე გამოყენებულ მანქანა-მექანიზმებზე<sup>124</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, კომბინატს არ გააჩნია პროფესიული უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მართვის გეგმა. კომბინატის მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობის დაცვის საკითხების მართვა ხდება ერთი ექიმის და საშუალო სამედიცინო პერსონალის მიერ. ყველა მადაროზე გახსნილია სამედიცინო პუნქტები, სადაც მორიგეობს საშუალო სამედიცინო პერსონალი. სამედიცინო პუნქტები არ არის არცერთ გამამდიდრებელ ფაბრიკაში. ანგარიშის მომზადებისათვის ჩატარებული აუდიტის პერიოდში, ფაბრიკებში არ ინახებოდა საკმარისი რაოდენობის და დასახელების პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტები და საშუალებები. როგორც აუდიტის პროცესში დადგინდა, გამამდიდრებელ ფაბრიკების სამუშაო ადგილებზე ხშირ შემთხვევაში დარღვეულია შრომის უსაფრთხოების წესები და ნორმები, კერძოდ:

- სამუშაო ადგილებზე არ არის განთავსებული საკმარისი რაოდენობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ხოლო არსებული, მოძველებული და შესაცვლელია;
- მბრუნავი დანადგარების ნაწილი არ არის დაცული სპეციალური შემოღობვით;
- არასაკმარისია სამუშაო ადგილების ხელოვნური განათება;
- ფაბრიკების საწარმოო კორპუსების არაჯეროვანი ტექნიკური მდგომარეობის გამო, შეუძლებელია სამუშაო ადგილებზე სათანადო მიკროკლიმატის შექმნა;
- პერსონალის ნაწილი სამუშაოს შესრულების პროცესში არ იყენებდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს.

იგივე ანგარიშის თანახმად, საწარმოს პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე ზრუნავს კომბინატის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც აწარმოებს უბედური შემთხვევების აღრიცხვას, მოკვლევას და შეიმუშავებს უბედური შემთხვევების პრევენციის ღონისძიებებს. სამსახურის ინფორმაციით, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აღრიცხული უბედური შემთხვევების დინამიკა შემდეგია:

- 2006 წელში აღირიცხა 19 შემთხვევა, მათ შორის, ლეტალური შედეგით - 3 შემთხვევა;
- 2007 წელში აღირიცხა 13 შემთხვევა, მათ შორის, ლეტალური შედეგით - 4 შემთხვევა;
- 2008 წლის 9 თვეში აღირიცხა 8 შემთხვევა, მათ შორის, ლეტალური შედეგით - 2 შემთხვევა.

სამსახურის მიერ ჩატარებული მოკვლევების მიხედვით, ყველა აღრიცხული შემთხვევა დაკავშირებული იყო შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევასთან, ანუ თავად დაზარებული იყო დამნაშავე (!).

<sup>123</sup> სსიპ - საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მიერ 2007, 2008 და 2009 წლებში გატარებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები.

<sup>124</sup> სსიპ - საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის მიერ 2009 წლის პირველ ნახევარში ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიში



აღსანიშნავია, რომ 2007 წლამდე, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოებდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. აღნიშნული წესის გამოყენებით, „ჭიათურმანგანუმში“ სხვადასხვა დროს დამავებულ 900-მდე მუშაკს და/ან მათ ოჯახებს დანიშნული ჰქონდათ ყოველთვიური სარჩო, რომელიც წლების განმავლობაში მრავალი ასეთი ოჯახის შემოსავლის ერთადერთი წყარო იყო.

2007 წლის 24 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ხელი მოაწერა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N53 დადგენილებას, რომლის თანახმად, დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, წყდება დანიშნული „ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს“ გაცემის ვალდებულება. ამგვარად, ახალი წესით, შპს „ჯორჯიან მანგანეზი“, რომელმაც შეიძინა გაკოტრებული „ჭიათურმანგანუმის“ აქტივები, გათავისუფლდა იმ ვალდებულებისაგან, რომელიც საწარმოს გააჩნდა დაზარალებულთა მიმართ.

წლების განმავლობაში „ჭიათურმანგანუმის“ საქმიანობის შედეგად დაზარალებულთა საპროტესტო აქციები ჭიათურაში უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 2007 წელს მათ შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაზარალებულებიც შეუერთდნენ. პროტესტანტები პერიოდულად პროტესტის უფრო აქტიურ ფორმებსაც მიმართავენ - კეტავენ გზებს, ჩადიან დედაქალაქში, შიმშილობენ სხვადასხვა სამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წინ<sup>125</sup>, მაგრამ სამართალს მაინც ვერ პოულობენ... ერთ-ერთი ასეთი აქციისას, მონაწილეებს დახმარებისთვის პრეზიდენტისთვისაც კი მიუმართავეთ, რომელზეც 2007 წლის 18 დეკემბერს პასუხიც მიუღიათ:

*„უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.*

*ყურადღებით გავეცანი განცხადებას, თქვენი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის თაობაზე. სამართლიანობა მოითხოვს და მიმაჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა გადახედოს დაავადებათა იმ ჩამონათვალს, რომლებიც წარმოადგენენ ინვალიდობის სტატუსის დადგენის საფუძველს, ხოლო თქვენს მდგომარეობასთან მიმართებაში მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება. საქართველოს პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევის შემთხვევაში, პირად კონტროლზე ავიყვან ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტის საკითხს.*

*საუკეთესო სურვილებით,*

*საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი,  
მიხეილ სააკაშვილი“.*

2008 წლის იანვარში მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს. დაზარალებული ჭიათურელები კი, დღემდე ელიან ამ საკითხის პრეზიდენტის „პირად კონტროლზე აყვანას“<sup>126</sup>.

## 5. გაცემული

მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალების საბადო მდებარეობს ბოლნისის რაიონში, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 80 კმ-ის დაშორებით. მადნეულის საბადოს შესწავლა გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. 1956 წელს საბადო დამტკიცდა, ხოლო 1959 წელს საქართველოში დაიწყო ფერადი ლითონების ერთ-ერთი უდიდესი – მადნეულის კომბინატის მშენებლობა. კომბინატის მშენებლობასთან დაკავშირებით, სრულიად უკაცრიელ ტერიტორიაზე დაარსდა დიდი სამრეწველო დასახლება – დაბა კაზრეთი. 1975 წელს ექსპლუატაციაში შესული კომბინატი ახორციელებდა სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, მოპოვებული სპილენძის და ბარიტის მადნების პირველად გადამუშავებას, გამდიდრებას და მიღებული პროდუქტის რეალიზაციას. ბარიტის მოპოვება 1990 წელს შეწყდა. 1994 წელს შეიქმნა „კვარციტი“, რომელმაც დაიწყო ცალკე დასაწყობებული ოქროსშემცველი კვარციტის მადნებიდან ოქროსა და ვერცხლის დორეს მიღება გროვული გამოტუტვის მეთოდით. „მადნეულის“ საწარმოსთან 1996 წლიდან ფუნქციონირებს საწარმო „ეკოლოგი“, რომელიც ახორციელებს კარიერული და სანაყაროსქვეშა მყავე კარიერული წყლების ნაწილის შეგროვებას და გადამუშავებას, მისგან სპილენძის ამოღების მიზნით. კერძოდ, იკრიბება

<sup>125</sup> „ჭიათურ მანგანუმის“ კრედიტორები რკინიგზის გადაკეტვას აპირებენ; 17.11.2009; <http://medianews.ge/>; 15 ჭიათურელი 72 საათის განმავლობაში სააკაშვილთან შეხვედრას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი თვითლიკვიდაციით იმუქრება, 17.11.2009, [www.pirveli.com.ge](http://www.pirveli.com.ge)

<sup>126</sup> „ჭიათურელი მაღაროელები მიშას მარწუხებში ვართ“; 19.09.2009; გაზეთი რეზონანსი, [www.resonancedaily.com](http://www.resonancedaily.com)



კარიერიდან ამოტუმბული და ერთ-ერთი სანაყაროდან ჩამორეცხილი წყლების ნაწილი და ამ წყლებიდან, რკინის ფხვნილით დამუშავების – ცემენტაციის – პროცესში, ხდება სპილენძის აღდგენა.

## 5.1 საწარმოების არივაციის მოკლე ისტორია

2005 წლის სექტემბერში, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ სს „მადნეულის“ და შპს „ტრანს ჯორჯიან რესორსის“ გასხვისების მიზნით ჩატარებულ კონკურსში<sup>127</sup> გაიმარჯვა რუსული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის „პრომიშლენი ინვეტორის“<sup>128</sup> შვილობილმა კომპანიამ „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენმა“<sup>129</sup>. აქვე შევასხენებთ მკითხველს, რომ 2004 წლის ოქტომბრიდან, სს „მადნეულის“ პრივატიზების შესახებ განაცხადის გამოქვეყნების დღემდე, საწარმოს გენერალური დირექტორის პოსტს იკავებდა „პრომიშლენი ინვეტორის“ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, კობა ნაყოფია<sup>130</sup>.

2005 წლის 11 ნოემბერს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კომპანიას 36.010 ათას აშშ დოლარად გადაეცა: შპს „ტრანს ჯორჯიან რესორსი“<sup>131</sup> (50%), სს „მადნეული“ (97,25%) და მის საკუთრებაში არსებული კომპანიების: შპს „კვარციტის“ (50%), შპს „სამამადნო კომპანია“ (100%), შპს „ბელაზაკავკავტრანსსერვისი“ (100%), შპს „გარდი“ (100%), შპს „ტრანსფექტივი“ (100%), შპს „ეკოლოგი“ (51%), შპს „საფეხბურთო კლუბი სიონი“ (50%).

ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა ვალდებულებები, რომლებიც მყიდველს „სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და მითითებულ ვადებში“ უნდა შეესრულებინა. კერძოდ, ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების თანახმად, კომპანიას 3 წლის განმავლობაში უნდა შეენარჩუნებინა სს „მადნეულის“ საქმიანობის პროფილი და არ შეემცირებინა დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა და სახელფასო ფონდი. ლიცენზიისა და წიაღით სარგებლობის საპროექტო მახასიათებლების დაცვის, მათი გაუმჯობესებისა და არსებული დარღვევების აღმოფხვრის, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მაქსიმალურად თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით, კომპანიას უნდა უზრუნველყო გარემოს დაცვისა და წიაღით სარგებლობის კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულება<sup>132</sup>. თანხის სრულად გადახდიდან (2005 წლის 15 დეკემბრიდან) 3 თვის განმავლობაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან კონსულტაციების საფუძველზე, კომპანიას უნდა მოემზადებინა გარემოსდაცვითი უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც მოიცავდა ატმოსფერული ჰაერის დაცვის, ჩამდინარე წყლების გაწმენდა-დასუფთავების, ნარჩენების მართვა-გადამუშავების, ავარიული სიტუაციების თავიდან აცილებისა და გარემოსდაცვითი მართვის სისტემების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებებს. მომზადებული პროგრამა უნდა დაემტკიცებინა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს; ხოლო დამტკიცების შემდგომ, პროგრამა უნდა განხორციელებულიყო არაუმეტეს 21 თვის განმავლობაში. კომპანიამ ასევე აიღო 16 მილიონი აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება „საგადასახადო დავალიანების საღლოს დასაფარად“.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენს“ შორის გაფორმებული გარიგება იშვიათი გამოწვევისა, საპრივატიზებო ხელშეკრულების დოკუმენტის საჯაროობისა და მასში გარემოსდაცვითი მოთხოვნების არსებობის თვალსაზრისით. თუმცა, როგორც შემდგომში გაირკვა, არც ხელშეკრულების ხელმისაწვდომობა აღმოჩნდა საკმარისი გარანტია იმისათვის, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს დაუბრკოლებლად მიეღოთ ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე. არც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ვალდებულება აღმოჩნდა

<sup>127</sup> აუქციონის პროცესში დარღვევების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მწვანე ალტერნატივას 2007 წლის ანგარიში „სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად“, ხელმისაწვდომია მისამართზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

<sup>128</sup> <http://www.prominvestors.com/>, კომპანიის მესაკუთრე და პრეზიდენტი რუსეთის სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი სერგეი გენერალოვია.

<sup>129</sup> კომპანია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზეა რეგისტრირებული. 2007 წლის დეკემბერში „პრომიშლენი ინვეტორის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჯგუფის ძირითადმა მფლობელმა, სერგეი გენერალოვმა გაყიდა სამთო-მოპოვებით აქტივებში (მათ შორის „მადნეულსა“ და „კვარციტში“) მისი წილები. გარიგების თანახმად, აქტივების მფლობელი გახდა კომპანია GeoProMining-ი, რომლის მფლობელია „პრომიშლენი ინვეტორის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და თანამფლობელი, სიმან პოვარენკინი.

<sup>130</sup> საწარმოს გასხვისების შემდეგ ბატონი ნაყოფია პოსტს დაუბრუნდა. 2008 წელს კი, საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით მონაწილეობასთან დაკავშირებით, კვლავ დატოვა თანამდებობა. ამჟამად, ბატონი კობა ნაყოფია საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის, განათლების, მეცნიერების და კულტურის საპარლამენტო კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრია.

<sup>131</sup> კომპანია ფლობდა წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას საყდრისის საბადოზე.

<sup>132</sup> რეალურად, ეს ვალდებულება არ იყო დაკავშირებული რაიმე კონკრეტული ქმედების განხორციელებასთან და გულისხმობდა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას, რაც კომპანიას თავისთავად მოეთხოვებოდა.



მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებით, კომპანია გათავისუფლდა ნაყიდი საწარმოების მიერ გარემოსათვის წარსულში (გაყიდვამდე) მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისაგან.

#### ჩანართი 5. „ისტორიული დაბინძურება“

ტერმინი „ისტორიული დაბინძურება“ საქართველოში 2004 წლის შემდეგ განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში დამკვიდრდა და დაკავშირებულია პრივატიზებული საწარმოების მიერ გარემოსათვის წარსულში (პრივატიზებამდე) მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისაგან ინვესტორების გათავისუფლებასთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, პრაქტიკა, რომლის საფუძველზეც ეს (არაოფიციალური, მაგრამ ოფიციალური პირების მიერ ხშირად გამოყენებადი) ტერმინი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ, კანონს „გარემოს დაცვის შესახებ“, რომლის თანახმად<sup>133</sup>, „პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის მესაკუთრე არ თავისუფლდება იმ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა სამეურნეო ობიექტის ყოფილ მესაკუთრეს. საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევით სამეურნეო ობიექტის პრივატიზებამდე საქმიანობის განხორციელების შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურება ეკისრება პრივატიზებული სამეურნეო ობიექტის ყოველ ახალ მესაკუთრეს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღემდე „კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უხეზად დაარღვია კანონი, როდესაც „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიტანა შემდეგი შინაარსის მუხლი: *„გამყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას, რომ „მყიდველი“ არ აგებს პასუხს და არ იქნება ვალდებული გაწმინდოს ან სხვაგვარად გამოასწოროს, ან გადაიხადოს რაიმე საზღაური გაწმინდისა თუ სხვაგვარი გამოსწორებისათვის „დასრულების თარიღამდე“<sup>134</sup> „ჯგუფის კომპანიების“ ტერიტორიაზე გამოფრქვეულ ნებისმიერ მავნე ნივთიერებაზე, ან „ჯგუფის კომპანიების“ მიწასა თუ მიმდებარე ტერიტორიაზე გარემოს ნებისმიერ სხვა დაბინძურებაზე“.*

გარდა იმისა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დადო კანონსაწინააღმდეგო გარიგება, „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენის“ გარემოსთვის წარსულში მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებით, სამინისტრომ, ისედაც არაერთი დარღვევით ჩატარებულ კონკურსს<sup>135</sup>, კიდევ ერთი დარღვევა შემატა.

საქმე იმაშია, რომ „მადნეულისა“ და „კვარციტის“ მიერ გარემოსათვის წარსულში მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა დაკავშირებულია საკმაოდ სოლიდურ დანახარჯებთან<sup>136</sup>, კონკურსის პირობები კი არ ითვალისწინებდა ამ ვალდებულებებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას. შესაბამისად, აუქციონის მონაწილეებს თავიანთი წინადადებები ამ ხარჯის გათვალისწინებით უნდა წარედგინათ. იყო, თუ არა „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენის“ კონკურსში წარდგენილ წინადადებაში გათვალისწინებული გარემოსათვის წარსულში მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობის აღება - უცნობია. ნათელია ერთი რამ - ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქმედება ნებისმიერ შემთხვევაში უკანონოა, ვინაიდან: თუ კომპანიას ეს ხარჯი კონკურსში მონაწილეობისას გათვალისწინებული ჰქონდა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უკვე ხელშეკრულების გაფორმებისას გაათავისუფლა მყიდველი წარსულ დაბინძურებაზე პასუხისმგებლობისაგან, სამინისტრომ ამით გაუმართლებელი ზიანი მიაყენა ქვეყნის ბიუჯეტს. ხოლო, თუ კომპანიამ თავიდანვე არ გაითვალისწინა ეს პასუხისმგებლობა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისას, „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენი“ არათანაბარ პირობებში ჩააყენა კონკურსის იმ მონაწილეებთან, რომელთაც ეს ხარჯი გათვალისწინებული ჰქონდათ თავიანთ წინადადებებში. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში, „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენის“ წინადადება საერთოდ არ უნდა განხილულიყო კონკურსზე, ვინაიდან ის არ აკმაყოფილებდა კონკურსის პირობებს.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში საწარმოების ოპერირებით გარემოსთვის წარსულში მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობისაგან ახალი მესაკუთრის გათავისუფლების პრაქტიკა არაერთ ქვეყანაში არსებობს და გამართლებულია იმ გარემოებით, რომ ხშირად, ამ ზიანზე პასუხისმგებლობის აღებით, საწარმოები იმდენად

<sup>133</sup> მუხლი 21. გარემოსდაცვითი მოთხოვნები პრივატიზაციის პროცესში

<sup>134</sup> ხელშეკრულების თანახმად, „დასრულების თარიღი“ ნიშნავს საფასურის გადახდისა და მყიდველისათვის ქონების გადაცემის თარიღს.

<sup>135</sup> იხილეთ, მწვანე ალტერნატივას 2007 წლის ანგარიში „სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად“, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

<sup>136</sup> მიუხედავად იმისა, რომ გათვლები არასოდეს ჩატარებულა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სახელმწიფოს არასოდეს უფიქრია ამ პრობლემის მოგვარებაზე, ზიანის მასშტაბებისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თანხა არ იქნება მცირე.

წამგებიანია, რომ მათი გაყიდვა შეუძლებელი ხდება. ასეთ შემთხვევებში, გარემოსდაცვითი აუდიტის მეშვეობით ხდება გარემოსათვის მიყენებული ზიანის შეფასება და საწარმოს ახალ მფლობელსა და სახელმწიფოს შორის ვალდებულებების მკაცრი გამიჯვნა. ამგვარი პრაქტიკა, ერთის მხრივ, სახელმწიფოს უადვილებს საწარმოს მიმდინარე დაბინძურების კონტროლს, ხოლო მეორეს მხრივ, აძლევს შესაძლებლობას დროულად დაგეგმოს გარემოს მდგომარეობის გამოსწორებისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

საქართველოში დამკვიდრებული გაუკუღმართებული პრაქტიკის შედეგად, მივიღეთ სიტუაცია, სადაც არავინ (არც სახელმწიფო და არც პრივატიზებული საწარმოების მესაკუთრეები) იღებს პასუხისმგებლობას პრივატიზებამდე საწარმოების მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოსწორებასა და კომპენსირებაზე. ამგვარი პრაქტიკა სხვა სახის პრობლემასაც ქმნის - იმის გამო, რომ არ ხდება არსებული დაბინძურებისა და ზიანის პრივატიზებამდე შეფასება, უკვე პრივატიზებული საწარმოს მესაკუთრეს ეძლევა შესაძლებლობა „მიმდინარე დაბინძურება“ „წარსულ დაბინძურებას“ მიაწეროს და ამით თავიდან აირიდოს „მიმდინარე დაბინძურების“ თავიდან აცილების, შემცირების თუ შერბილების კანონმდებლობითა და ნებართვებით დაკისრებული ვალდებულებები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმოების განკერძოების შემდეგ არც სახელმწიფო თვლის, რომ მას დარჩა განკერძოებამდე საწარმოს ოპერირებით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოსწორების და კომპენსირების ვალდებულება; შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოები არაფერს აკეთებენ/გეგმავენ გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად. ამის ნათელი მაგალითია „მადნეულისა“ და „კვარციტის“ გასხვისების შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ, საწარმოების გასხვისების შემდეგ, არათუ დაიწყო ადგილობრივი გარემოსა და მოსახლეობისათვის საწარმოების ოპერირებით მიყენებული ზიანის გამოსწორებისათვის თანხების მოძიება, არამედ, პირიქით, ბოლნისის რაიონის გამგეობას მოსთხოვა „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენის“ მიერ ადგილობრივ ბიუჯეტში დავალიანების დასაფარად ჩარიცხული თანხის ცენტრალურ ბიუჯეტში მიმართვა.

ბოლნისის რაიონის გამგეობაში ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობის რევიზიის შესახებ კონტროლის პალატის დასკვნის<sup>137</sup> თანახმად, „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენის“ მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის მიმართ დაფარული დავალიანება (5 მილიონი ლარის ოდენობით) რაიონის გამგეობამ „სახელმწიფო ბიუჯეტს ფინანსური დახმარების სახით გამოუყენა“. დასკვნაში აღნიშნულია: „თანხა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გამოყოფილი იქნა ფინანსთა სამინისტროს 2006 წლის 6 მარტის №04-03/1972 წერილის საფუძველზე, რომლითაც სამინისტრო ბოლნისის რაიონის გამგეობას აცნობებს, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და „სტენტონ იქვითიზ კორპ“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად (რომლითაც განხორციელდა ს.ს. „მადნეულის“ აქციათა მთლიანი პაკეტის და „თი ჯი არის“ საწესდებო კაპიტალის ნასყიდობა), „სტენტონ იქვითიზ კორპ“-მა 2006 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს ს.ს. „მადნეულისა“ და შპს „კვარციტის“ საგადასახადო დავალიანების დაფარვა, რომელთა ნაწილი ჩარიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის - საერთო - სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთიანობისა და „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-6 მუხლის გათვალისწინებით, სამინისტრომ გამგეობას სთხოვა ადგილობრივ ბიუჯეტში დავალიანების სახით ჩარიცხული თანხების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე ტრასფერების სახით გადარიცხვა“.

## 5.2 ხელშეკრულებით ნაპისრი ვალდებულებების შესრულების გარანტირება

### 5.2.1 გარემოსდაცვითი უსაფრთხოების პროგრამა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანიას თანხის სრულად გადახდიდან (2005 წლის 15 დეკემბრიდან) 3 თვის განმავლობაში (ანუ, 2006 წლის 15 მარტამდე), გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან კონსულტაციების საფუძველზე, უნდა მოემზადებინა გარემოსდაცვითი უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც მოიცავდა ატმოსფერული ჰაერის დაცვის, ჩამდინარე წყლების გაწმენდა-დასუფთავების, ნარჩენების მართვა-გადამუშავების, ავარიული სიტუაციების თავიდან აცილებისა და გარემოსდაცვითი მართვის სისტემების დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებებს.

<sup>137</sup> ბოლნისის რაიონის გამგეობასა და საფინანსო სამსახურში 2005 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდის ადგილობრივი (რაიონული) ბიუჯეტების შედგენა-შესრულების მდგომარეობის კომპლექსური რევიზიის შესახებ საქართველოს კონტროლის პალატის რევიზია-შემოწმების აქტი №1/47, 5 იანვარი, 2009.



გეგმის მომზადების პროცესზე დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მწვანე ალტერნატივას 2007 წლის ანგარიშში<sup>138</sup>. აქ კი, აღვნიშნავთ, რომ სს „მადნეულმა“ მხოლოდ 2006 წლის დეკემბერში წარადგინა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში „ეკოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის“ საბოლოო ვერსია. პროგრამა წარმოადგენს სამგვერდიან დოკუმენტს, სადაც 17 წინადადებაში ჩამოთვლილია განსახორციელებელი ქმედებები. აღნიშნული პროგრამა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მოიწონა და 2007 წლის 10 თებერვალს (საპრივატიზაციო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადიდან 11 თვის დაგვიანებით) „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენტან“ პროგრამის შესრულების თაობაზე განზრახულობათა შესახებ მემორანდუმს მოაწერა ხელი.

მემორანდუმის ტექსტის თანახმად, დოკუმენტი ფორმდებოდა „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენტან“ და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-15 მუხლის მე-2 მუხლის მოთხოვნათა შესრულების მიზნით (საწარმოს უნდა აეღო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა 2009 წლის 1 იანვრამდე სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად).

მწვანე ალტერნატივა 2007 წლის ანგარიშში წერდა, რომ ორგანიზაციის აზრით, სამინისტრომ დროულად არ გამოიყენა ის უფლება, რომელსაც მას „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენტან“ და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის 2005 წლის 11 ნოემბერს დადებული საპრივატიზაციო ხელშეკრულება ანიჭებდა – სამინისტრომ არ მოახდინა რეაგირება ხელშეკრულების იმ პირობის შეუსრულებლობაზე, რომელიც მის კომპეტენციაში შედიოდა. ამასთან, ყოვლად გაუგებარი იყო კომპანიასთან მემორანდუმის გაფორმების საფუძველი, ვინაიდან ის არ იყო დაკავშირებული მხარეების მიერ რაიმე ახალი ვალდებულების აღებასთან. სავარაუდო იყო, რომ მემორანდუმის გაფორმება მხოლოდ „პიარზე“ მიმართული ღონისძიება იყო, რომელსაც სამინისტროსა და კომპანიის ვალდებულებების შეუსრულებლობა საზოგადოებისათვის უნდა წარმოეჩინა, როგორც სამინისტროს კარგი მუშაობის შედეგი და კომპანიის კეთილი ნების გამოხატულება.

სამწუხაროდ, მწვანე ალტერნატივას ვარაუდი გამართლდა. მწვანე ალტერნატივას წერილზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ინტეგრირებული მართვისა და ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსის პასუხის<sup>139</sup> თანახმად, „მემორანდუმით არ წარმოადგენს იურიდიულ ხელშეკრულს დოკუმენტს და აღნიშნული მემორანდუმების დადება მიზნად ისახავდა ორი მხარის კეთილი ნების გამოხატვას, რათა ურთიერთხელშეწყობით მიღწეულ იქნას კანონმდებლობით უკვე გაწერილი ვალდებულებების დროული შესრულება... გამომდინარე აღნიშნულიდან, მემორანდუმით გაწერილი ქმედებების შესრულების ანალიზი არ მიმდინარეობს სამინისტროში.“

## 5.2.2 ეკოლოგიური აუდიტი

მემორანდუმით დადგენილი პირველი ქმედება, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებული იყო მემორანდუმის გაფორმების დროისათვის, იყო საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, ეკოლოგიური აუდიტის ჩატარება. ყურადსაღებია, რომ სწორედ ამ აუდიტის წინასწარი დასკვნების საფუძველზე შემუშავდა თავად მემორანდუმის ტექსტი. ასევე, ვინაიდან „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების თანახმად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოსაპოვებლად, საწარმოს უნდა წარედგინა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი (ეკოლოგიური აუდიტი), მოსალოდნელი იყო, რომ აუდიტი ამ მიზნითაც იქნებოდა გამოყენებული.

2006 წლის ნოემბერში სს „მადნეულმა“ გამოაცხადა საერთაშორისო ტენდერი საწარმოში გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარებისათვის. ტენდერში ექვსმა საკონსულტაციო კომპანიამ<sup>140</sup> მიიღო მონაწილეობა<sup>141</sup>; გამარჯვებულად გამოცხადდა ბრიტანული ორგანიზაცია Golder Associates (UK) Limited<sup>142</sup>, რომელსაც აუდიტის დოკუმენტი 10 კვირის განმავლობაში უნდა მოემზადებინა. ამასთან, აუდიტი უნდა დაფუძნებოდა არსებულ

<sup>138</sup> „სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად“, ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

<sup>139</sup> გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გარემოს სამინისტროს გარემოს ინტეგრირებული მართვისა და ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსის 2008 წლის 15 აპრილის წერილი №06-13/265

<sup>140</sup> Royal Haskoning (ჰოლანდია), Golder Associates (დიდი ბრიტანეთი), Bureau Veritas (საფრანგეთი (უკრაინის ბიურო)), Fugro/IABG (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), Prime Resources (სამხრეთ აფრიკა) და ACTA (შვეიცარია/საქართველო). ეს უკანასკნელი 2006 წელსვე გაერთიანდა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „აკვასის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი“, CENN; იხ. CENN-ის 2006 წ. წლიური ანგარიში, მისამართზე: [http://www.cenn.org/wssl/uploads/files/CENN\\_Annual\\_Report\\_2006.pdf](http://www.cenn.org/wssl/uploads/files/CENN_Annual_Report_2006.pdf)

<sup>141</sup> „ს.ს. „მადნეული“ გარემოსდაცვითი ღონისძიებების ანგარიში 2007 წლისთვის“.

<sup>142</sup> URL: <http://www.golder.com/>

ინფორმაცია; გამოძიებები და ლაბორატორიული ანალიზები არ იყო გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტი უკიდურესად შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარდა - როგორც თავად აუდიტის ანგარიშშია აღნიშნული, აუდიტორულმა კომპანიამ საწარმოების ადგილზე შესწავლას მხოლოდ ერთი კვირა დაუთმო (17-24 იანვარი, 2007) და კომპანიის მიერ შესასწავლად მოთხოვნილი რიგი დოკუმენტებისა საწარმოში არ აღმოჩნდა - ანგარიში საკმაოდ შემამოთებელ სურათს ხატავდა<sup>143</sup>.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის მომზადების პროცესში Golder Associates (UK) Limited-მა, სხვა დანტერესებულ მხარეებთან ერთად, კონსულტაცია გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც (მათ შორის მწვანე ალტერნატივასთან) გაიარა. კომპანიის წარმომადგენელმა სს „მადნეულის“ ოფისში 2007 წლის 17 იანვარს შემდგარ შეხვედრაზე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გარემოსდაცვითი აუდიტის სრული ტექსტი ხელმისაწვდომი იქნებოდა საზოგადოებისათვის, როგორც ამას ორჰუსის კონვენცია ითხოვდა. 2007 წლის ივნისში მწვანე ალტერნატივა შეეცადა მოეპოვებინა აუდიტის დოკუმენტი, მაგრამ ორგანიზაციამ მხოლოდ დოკუმენტის ინგლისური ვერსიის მოპოვება მოახერხა, ისიც მხოლოდ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის ორჯერ და სს „მადნეულის“ ხელმძღვანელობისადმი ერთხელ მიმართვის შემდეგ.

საგულისხმოა, რომ სს „მადნეულის“ გენერალურმა დირექტორმა, კობა ნაყოფიამ მწვანე ალტერნატივას აუდიტის ანგარიშის სრული ტექსტის მოთხოვნაზე პასუხად აცნობა<sup>144</sup>, რომ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდებოდა მხოლოდ ანგარიშის დასკვნითი, სარეკომენდაციო ნაწილი, რომელშიც „*იქნებოდა საწარმოში ეკო-სოციალური კუთხით გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი*“. ამასთან, ბატონი ნაყოფია აღნიშნავდა, რომ დოკუმენტის საჯარო ნაწილი ითარგმნებოდა ქართულად და განთავსდებოდა „მადნეულის“ განახლებულ ვებ-გვერდზე („მადნეულის“ ვებ-გვერდის ქართული ვერსია დღემდე არ ფუნქციონირებს) რაც იმის დასტური იქნებოდა, რომ „*კომპანია ისწრაფვის მაღალი სტანდარტების შესაბამისად განახორციელოს თავისი საქმიანობა და არსებული გარემოსდაცვითი სიტუაცია საზოგადოებისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას*“. გაუგებარია, საზოგადოებას როგორ უნდა მიეღო არსებული გარემოსდაცვითი სიტუაციის შესახებ ინფორმაცია გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალიდან, მაგრამ ბატონი ნაყოფიას დაპირება დაპირებად დარჩა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ გამხდა ანგარიშის დასკვნითი ნაწილიც კი.

უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსდაცვითი აუდიტის სამინისტროსთვის წარდგენა, „მადნეულს“ მემორანდუმით დამტკიცებული გარემოსდაცვითი უსაფრთხოების გეგმით ევალუბოდა. ამიტომ, 2007 წლის სექტემბერში მწვანე ალტერნატივამ (იმის სუსტი იმედით, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აქ მაინც გამოიჩენდა პრინციპულობას და კომპანიას კანონის შესაბამისად, მოსთხოვდა საჯარო უწყებებში დოკუმენტის სახელმწიფო ენაზე წარდგენას) კვლავ მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და სთხოვა აუდიტის ანგარიშის ქართული ვერსიის მიწოდება. სამინისტრომ წერილი განსახილველად სს „მადნეულს“ გადაუგზავნა, ხოლო მოგვიანებით მწვანე ალტერნატივას მიაწოდა ბატონი ნაყოფიას განმარტება<sup>145</sup>, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „*სს „მადნეულის“ მიერ დაცული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში აუდიტის დასკვნის წარდგენის ვადა და აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა ორიგინალური ვერსიით, ინგლისურ ენაზე, რათა თარგმანისას არ გაპარულიყო რაიმე, თუნდაც უნიშვნელო უზუსტობა, მით უფრო, რომ სამინისტროს მხრიდან არ ყოფილა მოთხოვნა აუდიტის დასკვნის ქართული ვერსიის აუცილებლობის თაობაზე. ... მოგახსენებთ, რომ სს „მადნეული“ განეკუთვნება იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთაც საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის №234 დადგენილების შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღება ევალუბათ 2009 წლის 1 იანვრამდე, რომლის მისაღებადაც საჭირო დოკუმენტაცია (მათ შორის ეკო-აუდიტის დასკვნა) სამინისტროში წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე*“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ნაყოფიას არც ეს დაპირება შეუსრულებია - საწარმომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოსაპოვებლად გარემოსდაცვითი აუდიტი საერთოდ არ წარადგინა.

<sup>143</sup> მაგალითისათვის, დასკვნის თანახმად, საწარმოში არ იყო დაცული ქიმიურ ნივთიერებათა (მათ შორის ციანიდის) შენახვის/მოპყრობის წესები. არ ტარდებოდა საკონტროლო სინჯების აღება თავისუფალი ციანიდის და ციანიდის ნაერთების აღმოსაჩენად, რათა მომხდარიყო ციანიდის გაჟონვის გამოვლენა. ციანიდის შესანახი კონტეინერების გახსნა ხდებოდა ხელით, ნაჯახის გამოყენებით. ცარიელი კონტეინერები, რომლებშიც შესაძლოა ციანიდი ყოფილიყო დარჩენილი, განთავსებული იყო მიმდებარე ტერიტორიაზე. ციანიდის საცავში არ იყო მოწყობილი სვენტილაციო სისტემა. საცავში არ ხდებოდა ჰაერში ციანწყალბადის რაოდენობის გაზომვა. კონტეინერებზე არ იყო ეტიკეტი, რომელიც მანიშნებდა რომ მათში საშიში ნივთიერება ინახება.

<sup>144</sup> სს „მადნეულის“ გენერალური დირექტორის, კობა ნაყოფიას 2007 წლის 22 ივნისის № 412/2-1 წერილი ასოციაცია მწვანე ალტერნატივას.

<sup>145</sup> სს „მადნეულის“ გენერალური დირექტორის, კობა ნაყოფიას 2007 წლის 4 ოქტომბრის №156/1-2 წერილი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს, გოჩა მამაცაშვილს.



### 5.2.3 ანგარიშგება აირობების შესრულების შესახებ

2009 წლის 2 თებერვალს მწვანე ალტერნატივამ ეკონომიკური განვითარების მინისტრს, ლაშა ჟვანიას მიმართა და სთხოვა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენს“ შორის დადებული საპრივატიზაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ანგარიშის ასლი. წერილის გაგზავნიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ, 2009 წლის 24 მარტს მწვანე ალტერნატივამ მიიღო ეკონომიკური განვითარების სამინისტროს უკვე „ტრადიციული“ პასუხი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ინფორმაციის გაცემისთვის საჭირო იყო „მყიდველის“ წერილობითი თანხმობა, ამიტომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენს“ წერილობითი თანხმობის შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას მოთხოვნილი ინფორმაციის მწვანე ალტერნატივასათვის გადაცემის თაობაზე.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენს“ შორის დადებულ საპრივატიზაციო ხელშეკრულებაში ინფორმაციის გავრცელებას ერთადერთი მუხლი - „6.16 საჯარო განცხადებები“ - ეხება. მუხლში აღნიშნულია: „...*მხარეები*“ შეთანხმდებიან ნებისმიერი საჯარო განცხადების გაკეთების ან ინფორმაციის გავრცელების ხასიათზე, დროზე, ფორმასა და შინაარსზე წინამდებარე ხელშეკრულების არსებობასთან, მის შინაარსთან და მასში გათვალისწინებულ გარიგებებთან დაკავშირებით, ისეთი განცხადებების გარდა, რომლის გაკეთებაც კანონის თანახმად მოეთხოვება „მხარეს“ ან მის აფილირებულ პირებს“. ვინაიდან ზემოთ მოყვანილი მუხლი არავითარ კავშირში იყო მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემასთან, ორგანიზაციამ კვლავ მიმართა სამინისტროს და განუმარტა, რომ „ხელშეკრულების არსებობასთან, მის შინაარსთან და მასში გათვალისწინებულ გარიგებებთან დაკავშირებით“ ინფორმაცია, ხელშეკრულების ასლთან ერთად, სამინისტრომ ორგანიზაციას ჯერ კიდევ 2006 წლის ივნისში მიაწოდა. ამჯერად, ორგანიზაცია ითხოვდა ინფორმაციას, რომელიც სწორედ „კანონის თანახმად მოეთხოვებოდა“ სამინისტროს. მწვანე ალტერნატივას ეს განმარტება არ აღმოჩნდა დამაჯერებელი ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის და ორგანიზაციამ კვლავ იგივე პასუხი მიიღო - სამინისტრო გადაწყვეტილებას მხოლოდ კომპანიისაგან წერილობითი თანხმობის შემდეგ მიიღებდა.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიისათვის შეტობინების გაგზავნიდან უკვე თვეზე მეტი დრო იყო გასული და მწვანე ალტერნატივას არც მოთხოვნილი ინფორმაცია და არც ინფორმაციის მიწოდებაზე უარი მიუღია, 2009 წლის 28 აპრილს ორგანიზაციამ კვლავ მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და სთხოვა, განემარტა, რა ღონისძიებები გაატარა სამინისტრომ კომპანიისაგან პასუხის მისაღებად. ვინაიდან არც ამ მოთხოვნაზე ორგანიზაციას პასუხი არ მიუღია, 2009 წლის 7 მაისს მწვანე ალტერნატივამ განმეორებით მიმართა სამინისტროს და განმარტებასთან ერთად მოითხოვა კომპანიისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების ასლი.

პასუხად, მწვანე ალტერნატივამ სამინისტროს 2009 წლის 3 ივნისის წერილი (№18/655/9-9) მიიღო, რომლის თანახმად, სამინისტრომ განიხილა ორგანიზაციის წერილი და წერილში დასმულ საკითხთან დაკავშირებით ორგანიზაციას აცნობებდა, რომ საჭირო იყო კომპანიის წერილობითი თანხმობა, რომლის შემდეგ სამინისტრო მიიღებდა გადაწყვეტილებას. წერილობით მწვანე ალტერნატივას ასევე მიეწოდა სს „მადნეულისათვის“ (და არა ხელშეკრულებაზე ხელმომწერი „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენისთვის“) გაგზავნილი წერილი, რომელიც როგორც აღმოჩნდა, ადრესატს, მწვანე ალტერნატივას მოთხოვნიდან ორი თვის შემდეგ, 2009 წლის 24 მარტს გაეგზავნა.

2009 წლის სექტემბერში, როდესაც უკვე ნათელი იყო, რომ არც კომპანია აპირებდა მწვანე ალტერნატივასათვის ინფორმაციის გაცემაზე თანხმობის მიცემას, მწვანე ალტერნატივამ წერილით მიმართა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს, დავით ჭელიძეს. წერილში მწვანე ალტერნატივამ განმარტა, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და „სტენტონ იქვითიზ კორპორეიშენს“ შორის 2005 წლის 11 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებს მყიდველის მიერ რიგი გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებას. შესაბამისად, ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ამსახველი ანგარიში, აუცილებლად უნდა შეიცავდეს გარემოსდაცვით ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია და რომლის დაინტერესებული მხარისათვის მიწოდება დაუშვებელია თანხმდებოდეს ნებისმიერ, და მითუმეტეს, დაინტერესებულ კერძო კომპანიისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მწვანე ალტერნატივამ სთხოვა სამინისტროს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსს, დეტალურად შეესწავლა საკითხი და მიეწოდებინა ორგანიზაციისთვის ინფორმაცია, რომლის მიღების უფლებაც მას როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად ჰქონდა.

2009 წლის 1 ოქტომბერს მწვანე ალტერნატივამ ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის, სულხან სისაურის წერილი<sup>146</sup> მიიღო, რომელსაც თან ერთვის სს „მადნეულის“ გენერალური დირექტორის, გიორგი დევამის მიერ სამინისტროსთვის გაგზავნილი წერილი. ამ უკანასკნელიდან ნათელი იყო, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო არ აწარმოებდა ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების მონიტორინგს და სს „მადნეულს“ (სავარაუდოდ, მწვანე ალტერნატივას მოთხოვნის საფუძველზე) ინფორმაციის წარმოდგენა მხოლოდ 2009 წლის მაისში მოეთხოვა (ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილის 2009 წლის 25 მაისის წერილი №20/2313/6-9). ამასთან, არც ამჯერად გამართლდა მწვანე ალტერნატივას მოლოდინი - ანგარიშის ნაცვლად ორგანიზაციამ მხოლოდ და მხოლოდ ბატონი დევამის წერილი მიიღო, რომელშიც „მადნეულის“ გენერალური დირექტორი ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება კომპანიას დროულად აქვს შესრულებული.

ამ შემთხვევაში, ამ პუბლიკაციის მიზანი არ არის „მადნეულის“ მიერ პირობების შესრულების ხარისხზე მსჯელობა, მაგრამ აქ მკითხველისთვის მაინც მოგვყავს ვალდებულებების „დროული შესრულების“ მაჩვენებელი ერთი მაგალითი: მაშინ როდესაც სს „მადნეულმა“ და შპს „კვარციტმა“ კანონით დადგენილ ვადაზე ერთი თვით გვიან მოიპოვეს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ბატონი დევამე თავის წერილში წერს: *„აღნიშნულ ვადაში სს „მადნეულმა“ შესძლო შესრულებინა დაგეგმილი ღონისძიებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა და მიუხედავად საწარმოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ე.წ. „ისტორიული დაბინძურებისა“, რომელზეც ხელშეკრულების 5.2.4. პუნქტის შესაბამისად კომპანია არ აგებს პასუხს და არ გააჩნია ვალდებულება, ახერხებს გაატაროს ისეთი გარემოსდაცვითი ღონისძიებები, რომლებიც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს საერთო სურათი“.*

ამ ერთი შეხედვით მსუბუქი დარღვევისათვის საწარმოებს ჯარიმა უნდა გადაეხადათ, ერთის მხრივ, კანონით დადგენილი ვადის დარღვევის და მეორეს მხრივ, პრივატიზების ხელშეკრულებით დადგენილი პირობის დარღვევის გამო. მწვანე ალტერნატივას ხელთ არსებული ინფორმაციით, საჯარო უწყებებს ამ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენიათ.

### 5.3 „მადნეულისა“ და „კვარციტის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა

როგორც ზემოთ არერთხელ აღინიშნა, კანონის თანახმად, სს „მადნეულს“ და შპს „კვარციტს“ 2009 წლის 1 იანვრამდე უნდა მოეპოვებინათ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ისევე, როგორც ყველა ზემოაღწერილ შემთხვევაში, მწვანე ალტერნატივამ არაერთხელ მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და მოითხოვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და/ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად სამინისტროში როგორც კონკრეტულად ამ საწარმოების<sup>147</sup>, ასევე ნებისმიერი სხვა ობიექტის მიერ წარდგენილ განცხადებასთან<sup>148</sup> დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა. ისევე როგორც ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შემთხვევაში, მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, სამინისტრომ დროულად არ აცნობა ორგანიზაციას სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტისათვის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და დროულად არ მიაწოდა განსახილველი დოკუმენტები.

სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშები მწვანე ალტერნატივას მხოლოდ 2008 წლის 27 იანვარს მიეწოდა, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის უფროსის შემდეგი განმარტებით: *„გაცნობებით, რომ სს „მადნეულმა“ და შპს „კვარციტმა“ სანებართვოდ დოკუმენტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარმოადგინეს 30 დეკემბერს. ვინაიდან აღნიშნულ საწარმოებზე მიმდინარეობს ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცედურა, ვთხოვთ, პირობების წარმოდგენა მოხდეს უმოკლეს დღეებში“.* ორგანიზაციას არ ეცნობა, რა ვადა იგულისხმებოდა „უმოკლეს დღეებში“, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ კანონის თანახმად, პროცედურამ 20 დღეს არ უნდა გადააჭარბოს, ცხადი იყო, რომ შენიშვნების წარდგენისთვის მწვანე ალტერნატივას, ფაქტიურად, დრო არ მიეცა. ამით მწვანე ალტერნატივას შეეზღუდა სს „მადნეულისა“ და შპს

<sup>146</sup> 2009 წლის 29 სექტემბერის №20/4687/9-9

<sup>147</sup> 2008 წლის 7 ნოემბრის №04/09-55 წერილით, მწვანე ალტერნატივამ მოითხოვა უშუალოდ სს „მადნეულის“ მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების მიზნით სამინისტროში წარდგენისთანავე სრული დოკუმენტაციისა და ადმინისტრაციული წარმოების ვადების თაობაზე ინფორმაციის მოწოდება; 2008 წლის 15 იანვრის №04/09-58 წერილით, ორგანიზაციამ მოითხოვა შპს „კვარციტისათვის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და განმეორებით მოითხოვა სს „მადნეულისათვის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა.

<sup>148</sup> გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და/ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად სამინისტროში წარდგენილ ნებისმიერ განცხადებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის თხოვნით პირველად მწვანე ალტერნატივამ 2007 წლის 25 სექტემბერს (წერილი №04/02-77) მიმართა სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსს (გ. ცხაკაიას). იგივე მოთხოვნით, სამინისტროში წარდგენილია ორგანიზაციის 2008 წლის 16 აპრილის წერილიც (№04/02-93).

„კვარციტისათვის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის შესაძლებლობა (ამის უფლებას კი ორგანიზაციას ანიჭებდა, როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ისე ორპუსის კონვენცია).

ყოველივე აღნიშნულის გამო, მწვანე ალტერნატივამ წერილით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, გოგა ხაჩიძეს და სთხოვა, გამოეკვლია ამ კონკრეტული გზის ანგარიშების მწვანე ალტერნატივასთვის ასეთი დაგვიანებით მოწოდების მიზეზები. მწვანე ალტერნატივა წერილში აღნიშნავდა, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური დაინტერესებული უნდა ყოფილიყო, ჩაერთო საზოგადოება ნებართვების გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მიეღო რაც შეიძლება მეტი კომენტარი სანებართვოდ წარდგენილ განცხადებებზე, რაც სამსახურს არათუ ხელს შეუშლიდა, არამედ პირიქით, დაეხმარებოდა დასაბუთებული და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. გზის ანგარიშების ასეთი დაგვიანებით მოწოდების გამო, მწვანე ალტერნატივა გამოთქვამდა ვარაუდს, რომ სამსახური არ იყო დაინტერესებული არც იმ დახმარებით, რაც საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფით იყო შესაძლებელი და არც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სწორი გადაწყვეტილებების მიღებით.

მიუხედავად გზის ანგარიშების მიწოდებასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული სირთულეებისა, მწვანე ალტერნატივამ მაინც წარადგინა თავისი მოსაზრებები როგორც სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტის“ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე, ასევე თავად ნებართვების გაცემის პროცესზე. კერძოდ, მწვანე ალტერნატივა თვლიდა, რომ განსახილველად წარდგენილი დოკუმენტები - სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტის“ საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშები - არ პასუხობდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და ამდენად, ორგანიზაციას დაუშვებლად მიაჩნდა ამ საქმიანობებზე, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნების და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემა.

მწვანე ალტერნატივამ მინისტრს (ასევე, ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსს, რომელსაც წერილი ასლი გაეგზავნა) შეახსენა, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის თანხმად, სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოსაპოვებლად უნდა წარედგინათ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიურ აუდიტს), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმას. აქვე შევახსენებთ მკითხველს, რომ „მადნეულის“ გენერალური დირექტორი, კობა ნაყოფია თავის 2007 წლის 4 ოქტომბრის №156/1-2 წერილში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილეს, გოჩა მამაცაშვილს წერდა, რომ „Golder Associates Ltd“-ს მიერ მომზადებული აუდიტის ქართული ვერსია წარდგენილი იქნებოდა სამინისტროში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოსაპოვებლად.

სს „მადნეულის“ მიერ სამინისტროში წარდგენილ გზის ანგარიშში მხოლოდ ნახსენებია, რომ ეკოლოგიური აუდიტი ჩატარდა. ასევე, ყოველგვარი განმარტებისა და საფუძვლების ახსნის გარეშე წარმოდგენილია „ეკოლოგიური აუდიტის რეკომენდაციების მიხედვით შესასრულებელი ღონისძიებები“. რაც შეეხება შპს „კვარციტის“ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს, აქ ეკოლოგიური აუდიტი ნახსენებიც კი არ არის და ალბათ ვერც იქნებოდა, რადგან დოკუმენტი 1999 წელს მომზადებული და სამინისტროში წარდგენილი ანგარიშის თითქმის სრული ასლია.

გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ არის წარმოდგენილი არც სს „მადნეულის“ და არც შპს „კვარციტის“ საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებში. როგორც ანგარიშებშია აღნიშნული და ასევე, როგორც საწარმოების წარმომადგენელმა განმარტა საჯარო განხილვებზე, საწარმოს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი აქვს ე.წ. „ისტორიულ დაბინძურებას“, რომელზეც პრივატიზების ხელშეკრულების თანხმად, კომპანია არ არის პასუხისმგებელი. მწვანე ალტერნატივას აზრით, „ისტორიულ დაბინძურებაზე“ პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობა აზრსაა მოკლებული მაშინ, როდესაც საწარმოებს დაბინძურების საერთო სურათზე შეზღუდული წარმოდგენა აქვთ.

მწვანე ალტერნატივამ მინისტრს შეახსენა ასევე, რომ გზის ანგარიშების წარდგენამდე დიდი ხნით ადრე, სამინისტროში, კერძოდ კი, გარემოს ინტეგრირებული მართვისა და ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტში, წარდგენილ იქნა სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტის“ ეკოლოგიური აუდიტის ორი დოკუმენტი: (1) შპს „საქართველოს გეოლოგიური მომსახურების ცენტრის“ მიერ 2006 წელს მომზადებული „სააქციო საზოგადოება მადნეულის არსებული გარემოსდაცვითი მდგომარეობის შეფასება (აუდიტი)“ და (2) „Golder Associates Europe Ltd“-ს მიერ 2007 წელს ჩატარებული „სს მადნეულისა და კვარციტის ოპერირების ეკოლოგიური და სოციალური აუდიტი“. ორივე დოკუმენტი, გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზთან ერთად, მოიცავდა ასევე რეკომენდაციებს მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებების



განხორციელებისათვის. ორივე დოკუმენტში აღწერილი იყო მთელი რიგი შემაშვოთებელი საკითხების,<sup>149</sup> რომლებიც საერთოდ არ იყო ნახსენები გზშ ანგარიშებში.

საჯარო განხილვაზე<sup>150</sup> აღნიშნულის თაობაზე საწარმოების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აუდიტის დოკუმენტები საწარმოებმა უკვე წარადგინეს სამინისტროში და არ თვლიდნენ თავს ვალდებულად ხელმეორედ წარედგინათ ისინი; ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს თავად უნდა მოეძიებინა დოკუმენტები სამინისტროში და განეხილა გზშ ანგარიშებთან ერთად. ასევე, საწარმოების წარმომადგენელის განცხადებით, აზრს იყო მოკლებული აუდიტის დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაციის გზშ ანგარიშებში „გადმოწერა“. ეს არგუმენტი შეიძლება დამაჯერებელიც ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შპს „კვარციტის“ მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი გზშ ანგარიში თითქმის სრული ასლია შპს „ძელქვას“ მიერ 1999 წელს „ბოლნისის გოლდ ნლ“-ის დაკვეთით მომზადებული „კვარციტის გროვული გამოტუტვის პროექტის“ ანგარიშისა, ეს ანგარიში კი დიდი ხანია ინახება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში<sup>151</sup>. ანალოგიური ლოგიკით, შპს „კვარციტს“ შეეძლო საერთოდ არ წარედგინა გზშ ანგარიში სამინისტროსთვის, უბრალოდ, მიეთითებინა სამინისტროში 10 წლის წარდგენილ ანგარიშზე და მოეთხოვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა. ფაქტია, რომ შპს „კვარციტი“ ასე არ მოიქცა და უბრალოდ ანგარიშის „გადაწერა“ ამჯობინა.

მწვანე ალტერნატივას მიაჩნდა, რომ სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტის“ საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების შეფასება დაუშვებელი იყო ეკოლოგიური აუდიტის გარეშე. იგივეს ითხოვდა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს როგორც გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს (ეკოლოგიურ აუდიტს), ისე მიმდინარე საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელ ღონისძიებათა გეგმას.

მწვანე ალტერნატივა მოუწოდებდა მინისტრს, არ მიეღო გარემოს ერთ-ერთი უდიდესი დამაბინძურებელი საწარმოსათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება ნაჩქარევად და გაუმჭვირვალედ, რადგან ეს პროცესი იყო სამინისტროს ერთადერთი ბერკეტი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა საწარმოების ფუნქციონირებით გამოწვეული გარემოს დაბინძურების შემცირებას. ამდენად, მნიშვნელოვანი იყო, რომ სამინისტროს მოეთხოვა კომპანიისათვის კანონის მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტების წარდგენა და ამასთან ერთად, გადაწყვეტილება მიეღო საზოგადოების ადეკვატური, დროული და ეფექტური ინფორმირებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფით, როგორც ამას ორჰუსის კონვენცია მოითხოვდა.

მინისტრისადმი მიწერილ წერილში მწვანე ალტერნატივა ასევე, გამოთქვამდა იმედს, რომ სამინისტრო არ გაუწევდა ანგარიშს კომპანიის სპეკულაციურ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამინისტრო არ გასცემდა ნებართვას, საწარმო გაჩერდებოდა და საფრთხე შეექმნებოდა მთელ ბოლნისის რაიონს (ეს მოსაზრება არაერთხელ გაჟღერდა საჯარო განხილვებზე). ორგანიზაციას მიაჩნდა, რომ სინამდვილეში, ბოლნისის რაიონი უკვე არის დიდი საწარმოების ნეგატიური ზემოქმედების ქვეშ და არსებულზე უფრო მეტი საფრთხე სწორედ მაშინ დაემუქრებოდა, თუკი გარემოზე ზემოქმედების ნებართვები გაიცემოდა ფორმალურად (როგორც სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში ხდება) რეალური საფრთხეებისა და პრობლემების განალიზებისა და ნებართვების პირობებში ასახვის გარეშე. ამასთან, ნებართვების დროულად ვერ მოპოვების გამო გადასახდელი ჯარიმა და აგრეთვე ხარისხიანი დოკუმენტების შესაქმნელად გასაწევი ხარჯები, არ წარმოადგენდა ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გამოიწვევდა საწარმოთა გაჩერებას.

სამწუხაროდ, მწვანე ალტერნატივას ზემოთ მოყვანილი არგუმენტები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არ გაიზიარა და სამინისტროში ჩატარებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნების საფუძველზე, გარემოზე ზემოქმედების ნებართვები გასცა.

<sup>149</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ორი დოკუმენტი სამინისტროში წარდგენის დღიდან ყოველგვარი რეაგირების გარეშე ინახებოდა, თუ არ ჩავთვლით მინისტრის მოადგილის, ბატონი გოჩა მამაცაშვილის მიერ სს „მადნეულის“ გენერალური დირექტორის სახელზე გაგზავნილ წერილს (08.10.2007 №09-11/3041), რომელშიც გაწერილია სამინისტროს რეკომენდაციებზე აუდიტით გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

<sup>150</sup> აღსანიშნავია, რომ საჯარო განხილვას მხოლოდ ორი არასამთავრობო ორგანიზაციის (მათ შორის, ერთი - მწვანე ალტერნატივას) წარმომადგენელი ესწრებოდა, ერთი ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტი და ადგილობრივი ხელისუფლების რამოდენიმე წარმომადგენელი.

<sup>151</sup> იმის გათვალისწინებით, შპს „კვარციტის“ ხელმძღვანელობამ თავი არ შეიწუხა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ახალი ანგარიშის მომზადებისათვის და ფაქტიურად, სამინისტროში განსახილველად 10 წლის წინ მომზადებული დოკუმენტი წარადგინა, ნაკლებად სარწმუნოდ ჟღერს გზშ ანგარიშის დასაწყისშივე წარმოდგენილი განცხადება, რომ „შ.პ.ს. „კვარციტმა“ ივალდებულა გარემოს დაცვის საკითხების მართვის გეგმის შემუშავება ISO 14001-ის მოთხოვნების შესაბამისად, მომავალში ყველა სახის გარემოსდაცვითი საკითხის სისტემატური და მეთოდური გადაჭრის უზრუნველყოფის მიზნით“.





ამ თავის დასასრულს, აღწერილ პროცესთან დაკავშირებით, გვსურს, მკითხველის ყურადღება კიდევ ორ მნიშვნელოვან ასპექტზე მივაპყროთ:

როგორც ზემოთ ამ თავში აღვნიშნეთ, მწვანე ალტერნატივამ გზმ ანგარიშები გასაცნობად დაგვიანებით მიიღო და შესაბამისად, შენიშვნების წარდგენაც ძალზე შეზღუდულ ვადაში მოუწია. ზემოთ ასევე აღვნიშნეთ, რომ მწვანე ალტერნატივამ გზმ ანგარიშების დროულად მოუწოდებლობის მიზეზების გამოკვლევის თხოვნით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს მიმართა, მაგრამ არც საწარმოებისთვის ნებართვის გაცემის პროცესში და არც შემდგომ, ორგანიზაციას თავის თხოვნაზე პასუხი არ მიუღია.

მოგვიანებით, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემის შემდეგ, მწვანე ალტერნატივამ ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსს ნიკოლოზ ჭახნაკიას მიმართა<sup>152</sup> და სთხოვა, სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტისათვის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ტექსტი და იმ მიზეზებისა და შეხედულებების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელსაც დაეყრდნო გადაწყვეტილება (ამ ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას და სამინისტროს შესაბამის ვალდებულებას ითვალისწინებს ორპუსის კონვენცია). ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსმა წერილს პასუხი არ გასცა.

აქვე მკითხველს შევახსენებთ, რომ იმავე პერიოდში იგივე განმეორდა ჭიათურის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მწვანე ალტერნატივას ჩართვასთან დაკავშირებით. ამდენად, ორგანიზაციამ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მინისტრს. შედეგად, ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის თანამშრომლებს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრათ, ხოლო მოთხოვნილი დოკუმენტები მწვანე ალტერნატივას კვლავ მიეწოდა. მწვანე ალტერნატივამ მხოლოდ განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ შეძლო იმ მიზეზებისა და შეხედულებების ამსახველი დოკუმენტაციის მოპოვება, რომელსაც დაეყრდნო სამინისტრო „მადნეულისა“ და „კვარციტისათვის“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

და ბოლოს, მკითხველისთვის, ალბათ, გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ისევე, როგორც „საქწყალკანალის“ შემთხვევაში, სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადებაში მონაწილე ექსპერტებისთვის, როგორც აღმოჩნდა, „მადნეულისა“ და „კვარციტის“ შეუფერხებელი მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ საწარმოების „შეუფერხებელი“ მუშაობით საქართველოს გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი. ამ შემთხვევაშიც, ექსპერტების მღელვარების საგანი, რატომღაც, საწარმოთა შესაძლო გაჩერებით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები იყო.

## 5.4 გარემოზე ზემოქმედების ნებართვებით დადგენილი პირობების შესრულების მდგომარეობა

სს „მადნეულისა“ და შპს „კვარციტისთვის“ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვებით დადგენილი პირობების თანახმად, საწარმოებს 2009 წლის 30 ივლისამდე ევალებოდათ რიგი ღონისძიებების შესრულება. კერძოდ, „მადნეულს“ 6 თვის ვადაში უნდა შეემუშავებინა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან უნდა შეეთანხმებინა (1) მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) და ასევე შემარბილებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმა, (2) ნარჩენების მართვის გეგმა და (3) ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. იმავე სახის დოკუმენტების შემუშავება და იმავე ვადაში სამინისტროსთვის შესათანხმებლად წარდგენა დაევალა „კვარციტსაც“.

2009 წლის 10 ნოემბერს, ანუ ნებართვის პირობებით დადგენილი ვადიდან მნიშვნელოვანი პერიოდის გასვლის შემდეგ, მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართა და სთხოვა საწარმოების მიერ ნებართვის პირობების შესასრულებლად წარდგენილი ზემოაღნიშნული გეგმების ასლი. პასუხად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელმა პირმა მწვანე ალტერნატივას სამინისტროს ორი უწყების წერილი მიაწოდა: (1) გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსის მოადგილის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ინსპექციაში მწვანე ალტერნატივას მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოიპოვებოდა და (2) გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის უფროსის წერილი, რომელიც იუწყებოდა, რომ დეპარტამენტი იხილავდა საწარმოების მიერ წარდგენილ: სს „მადნეულის“ ზედაპირული წყლის ობიექტების ხარისხზე და ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაწესებული თვითმონიტორინგის გეგმებს და დასახული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმას, ასევე შპს „კვარციტის“ ნარჩენების მართვის, თვითმონიტორინგისა და

<sup>152</sup> 2009 წლის 11 თებერვლის წერილი №04/09-62

გაუთვალისწინებელ სიტუაციებზე რეაგირების გეგმებს. გაურკვეველი მიზეზით, წერილს არ ახლდა ჩამოთვლილი გეგმების ასლები.

გარემოს ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტის უფროსი თავის წერილში აღნიშნავდა, რომ გეგმები განხილვის პროცესში იყო; ამდენად, მწვანე ალტერნატივამ (იმის იმედით, რომ ორი თვის განმავლობაში სამინისტრო დაასრულებდა საწარმოების მართვის გეგმების განხილვას) გეგმების ასლის მოთხოვნით სამინისტროს განმეორებით მხოლოდ 2010 წლის 29 იანვარს მიმართა. იმავე წერილით, მწვანე ალტერნატივამ მოითხოვა ინფორმაცია, ნებართვებით დადგენილი პირობების ვადაში შეუსრულებლობის გამო, სამინისტროს მიერ საწარმოთა მიმართ გატარებული ღონისძიებების შესახებ (სამინისტროს პირველი წერილიდან ნათელი იყო, რომ საწარმოებს არ ჰქონდა წარდგენილი გეგმების ნაწილი).

ამჯერად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელმა პირმა მწვანე ალტერნატივას გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსის მოადგილის წერილი მიაწოდა. წერილში აღნიშნული იყო, რომ ინსპექციაში წარდგენილი იყო შპს „კვარციტის“ ნარჩენების მართვის, თვითმონიტორინგის და გაუთვალისწინებელ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები, რომლებიც სამინისტროსთან შეთანხმებული ჯერჯერობით არ იყო. ნებართვით დადგენილი პირობების შეუსრულებლობაზე სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსის მოადგილე თავის წერილში აღნიშნავდა: *„გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ შპს „კვარციტის“ და სს „მადნეულის“ მიმართ საწარმოებზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობა დღეის მდგომარეობით არ არის შემოწმებული“*. ყურადსაღებია, რომ იმავე წერილით ინსპექციის უფროსის მოადგილე თავად გვაცნობებდა, რომ საწარმოს მიერ გეგმები 2009 წლის 26 ნოემბერს, ანუ ოთხი თვის დაგვიანებით იყო წარდგენილი.

2009 წლის 10 ნოემბერს მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად მიღების იმედით, მწვანე ალტერნატივამ სამინისტროს უკვე მესამედ 2010 წლის 16 თებერვალს მიმართა და მოითხოვა ის გეგმები, რომლებიც საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, წარდგენილი იყო სამინისტროში, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო, არ მიეწოდა ორგანიზაციას. ამ შემთხვევაშიც, მწვანე ალტერნატივამ კვლავ მოითხოვა ინფორმაცია, გეგმების წარუდგენლობის გამო, სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2010 წლის 24 თებერვალს სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირმა მწვანე ალტერნატივას მიაწოდა სს „მადნეულის“ ზედაპირული წყლის ობიექტების ხარისხზე დაწესებული თვითმონიტორინგის, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაწესებული თვითმონიტორინგისა და დასახული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმების ასლები. ამ დოკუმენტების შინაარსზე აქ არ შევჩერდებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თითოეული გეგმა ორგვერდიანია, ხოლო ხარისხი კომენტარების საშუალებას არ იძლევა. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმასთან დაკავშირებით, სამინისტრომ ამჯერად უცნაური განმარტება გააკეთა - აღმოჩნდა, რომ საწარმოს ზოგადად კი ჰქონია ამ გეგმის შემუშავების ვალდებულება, მაგრამ სამინისტროში გეგმის წარდგენის ვალდებულება არ ჰქონია. რაც შეეხება ნარჩენების მართვის გეგმის წარუდგენლობას, სამინისტროს განმარტებით, გარემოს დაცვის ინსპექციას ნებართვების პირობების შესრულების შემოწმება არ ჩაუტარებია.

## 6. დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც ანგარიშის პირველი ნაწილიდან ჩანს, პრივატიზების პროცესის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, თუმცა, არცერთმა ცვლილებამ არ უზრუნველყო პრივატიზების პროცესის უფრო მეტი გამჭვირვალობა; ცვლილებათა უმრავლესობა მიმართული იყო პრივატიზებას დაქვემდებარებული ობიექტების რაოდენობის გაზრდაზე, რაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მთავრობის სურვილს, რაც შეიძლება სწრაფად გაზარდოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები. რა თქმა უნდა, აქ არ გამოირიცხება ასევე, კონკრეტული გავლენიანი წრეების ინტერესებიც, ხელში ჩაიგდონ ესა თუ ის მნიშვნელოვანი ობიექტი. ნებისმიერ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები არ არის ერთიანი და საზოგადოებრივ კონსენსუსზე დამყარებული პრივატიზების სახელმწიფო პოლიტიკის პროდუქტი და ამაზე დროის მოკლე პერიოდში განხორციელებული ცვლილებების სიმრავლეც მეტყველებს.

პრივატიზების პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი კვლავ პრობლემურია და სიტუაციის გამოსწორების რაიმე ძალისხმევა არ შეინიშნება. ამ პუბლიკაციაში აღწერილი შემთხვევები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო უწყებები, არათუ ხელს უწყობენ საჯარო ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, არამედ, პირიქით, ყველანაირ შესაძლო ბარიერს ქმნიან, განსაკუთრებით, ისეთი ობიექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მცდელობისას, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოების შესახებ - მწვანე ალტერნატივას მცდელობა, მოეპოვებინა ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზების დოკუმენტის ასლი, ყოველთვის წარუმატებლად არ სრულდებოდა; იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ორგანოები ღიას ხდიდნენ ამა თუ იმ ობიექტის პრივატიზების დოკუმენტს. მაგალითისთვის, ალბათ, იმის აღნიშვნაც კმარა, რომ მწვანე ალტერნატივას მოთხოვნის საფუძველზე, ორგანიზაციას მიაწოდეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სს „ენერგო-პროს“ შორის, რვა ენერგო-ობიექტის აქტივების შესყიდვის თაობაზე 2007 წელს დადებული საპრივატიზაციო ხელშეკრულების ასლი. ამავდროულად, მწვანე ალტერნატივას მცდელობა, მოეპოვებინა სს „ჰიდროენერგომონტაჟის“, სს „საქჰიდროენერგომშენის“, შპს „თბილისის საიუველირო ქარხნის“, შპს „ბათნავთობიმპექსის“, შპს „ბათუმის ნავთობბაზის“, შპს „ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის“, სს „ტყიბულნახშირის“, სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“, რუსთავის ცემენტის ქარხანისა და სს „კასპიციემენტის“ პრივატიზების ხელშეკრულებები - წარუმატებლად დამთავრდა.

ასეთი „შერჩევითი ღიაობა“ მხოლოდ იმის ფიქრის საბაზს იძლევა, რომ გასაიდუმლოებული პრივატიზების ხელშეკრულებები შეიცავს კანონსაწინააღმდეგო ან/და საზოგადოებრივი ინტერესის საწინააღმდეგო ვალდებულებებს. საფიქრებელია, რომ გასაიდუმლოებული ხელშეკრულებების „გახსნამ“ შესაძლოა, გამოიწვიოს საზოგადოებრივი პროტესტი, „დააზარალოს“ კონკრეტული „კეთილსინდისიერი ინვესტორების“ ინტერესები ან გახდეს კონკრეტული (ყოფილი თუ მოქმედი) თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების საბაზი. მწვანე ალტერნატივას აზრით, „შერჩევითი ღიაობა“ და ამ პუბლიკაციაში აღწერილი - ხელშეკრულებების სრული ტექსტის გასაიდუმლოების დამკვიდრებულ პრაქტიკას - სხვაგვარი ახსნა არ მოეძებნება.

პუბლიკაციაში მოყვანილი შემთხვევების ანალიზისას თვალშისაცემია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მომავალში, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნის როგორც ხელისუფლებას, ისე საქართველოს მოსახლეობას, უფრო კონკრეტულად კი, იმ პრივატიზებული საწარმოების ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ თემებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა გააჩნიათ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. მკითხველი შეამჩნევდა, რომ ხშირად შეუძლებელია (ან დიდ დროს მოითხოვს) ამა თუ იმ უკვე პრივატიზებული საწარმოს შესაკუთრის იდენტიფიცირება. შესაძლოა, ეს პრობლემა დღეს არ აღიქმება განსაკუთრებული სიმწვავეთ, თუმცა, ასეთი ობიექტის ოპერირებით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში, პრობლემა განსაკუთრებით თვალნათელი გახდება. პრობლემა არანაკლებ მნიშვნელოვანია პრივატიზებულ საწარმოში დასაქმებულთა (ან/და ობიექტის პრივატიზების შემდგომ გათავისუფლებულთა) უფლებების დაცვის კონტექსტშიც.

ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთგვარ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილება, რომელიც 2010 წლის იანვარში ამოქმედდა და რომელიც სავალდებულოს ხდის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საწარმოების დამფუძნებელთა მონაცემების მითითებას. სამწუხაროდ, საჯარო რეესტრის მონაცემები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი - ხშირად საჯარო რეესტრში არ არსებობს მონაცემები საწარმოებზე, ან მითითებული საკონტაქტო დეტალები მოძველებულია.

რაც შეეხება პრივატიზებული საწარმოების მიერ საპრივატიზებო ხელშეკრულებებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, აქაც ვერ ავცდებით საიდუმლოების საკითხზე მსჯელობას. როგორც ანგარიშში მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელია (ან ძნელად ხელმისაწვდომია) ინფორმაცია იმის შესახებ, ასრულებენ თუ არა და როგორ ასრულებენ პრივატიზებული საწარმოების მესაკუთრეები ხელშეკრულებებით და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებს. აქ შესაძლებელია ყურადსაღები ტენდენციების გამოკვეთა: თუ ხელშეკრულება საიდუმლოა, სახელმწიფო ორგანოები, როგორც წესი, ასაიდუმლოებენ ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასაც (თუ ასეთი მათ საერთოდ გააჩნიათ). თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულება ღია საზოგადოებისთვის, მაგრამ დახურულია (ან ძნელად მოსაპოვებელია) მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია. ასეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე „მადნეულისა“ და „კვარციტის“ შემთხვევაში. ალოგიკური ვითარებაა შექმნილი თბილისის, მცხეთისა და რუსთავის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების პრივატიზების შემთხვევაში: საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, რომლითაც წესდება მყიდველის ვალდებულებები (ნასყიდობის პირობები), მაგრამ დახურულია ნასყიდობის ხელშეკრულება (რომელიც, მათ შორის, მოიცავს პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილ პირობებს) და ასევე დახურულია პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

სიტუაცია არასახარბიელოა გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების სფეროშიც. როგორც ამ ანგარიშიდან ჩანს, ზოგიერთი ობიექტის საპრივატიზებო პირობებში გარემოსდაცვითი ვალდებულებებიც გვხვდება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს (თუ არ ვიმსჯელებთ ამ მოთხოვნების კომპეტენტურობასა და სამართლიანობაზე). რაც შეეხება ხელშეკრულებებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების სახელმწიფო მონიტორინგსა და კონტროლს, სიტუაცია კრიტიკას ვერ უძლებს, როგორც მაკონტროლებელი კანონმდებლობის, ისე მაკონტროლებელ ორგანოებში არსებული შესაძლებლობების თვალსაზრისით.

## რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ შეისწავლოს დღემდე გასხვისებული ობიექტების პრივატიზების კანონიერება. ასეთი ობიექტების სიმრავლის გამო კონტროლის პალატამ, შესაძლებელია, თავდაპირველად ე.წ. „მსხვილი“ საწარმოო ობიექტების პრივატიზების კანონიერების შესწავლა დაიწყოს. ამასთან, ობიექტთა შერჩევის ინდიკატორად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ობიექტის ოპერირებით გამოწვეული ზეგავლენის მასშტაბი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

აუცილებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა გააძლიეროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლი საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების სფეროში.

მნიშვნელოვანია ასევე, შესწავლილ იქნეს იმ საპრივატიზებო ხელშეკრულებების გასაიდუმლოების კანონიერება, რომლებიც თავად ამ ხელშეკრულებებითაა გასაიდუმლოებული.

აუცილებელია მაკონტროლებელი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიმართული პროგრამების განხორციელება, რომლებიც უნდა მოიცავდენენ როგორც ადამიანური რესურსების განვითარებას და ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას, ასევე ამ ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვას.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 2000 წელს. მწვანე ალტერნატივას მისიაა საქართველოს გარემოს, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ეკონომიკურად ხელსაყრელი და გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობის, გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გზით.

დაარსების დღიდან ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას საქართველოში; გარდა ამისა, ორგანიზაცია მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ენერგეტიკა/კლიმატის ცვლილება და სიღარიბის დაძლევა, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა, ხე-ტყის არალეგალური ჭრის და ველური ფლორისა და ფაუნის ნიმუშებით უკანონო ვაჭრობის აღკვეთა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების სრულფასოვანი ჩართვის ხელშეწყობა.

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 2001 წელს მწვანე ალტერნატივამ საქართველოს სხვა წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დააფუძნა საქართველოში სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავებაზე დამკვირვებელთა ქსელი. 2002 წლიდან მწვანე ალტერნატივა

მონიტორინგს უწევს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებას, მის შესაბამისობას საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პოლიტიკასა და სახელმძღვანელო პრინციპებთან, პროექტის ზეგავლენას ადგილობრივ მოსახლეობასა და გარემოზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის კოალიციის წევრი. 2006 წელს მწვანე ალტერნატივამ საფუძველი ჩაუყარა ტყის დამოუკიდებელი მონიტორინგის ქსელს. ასოციაცია არის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბანკების საქმიანობაზე დამკვირვებელთა ქსელის წევრი (CEE Bankwatch Network); მჭიდროდ თანამშრომლობს დედამიწის მეგობრების საერთაშორისო ფედერაციასთან, კლიმატის ცვლილების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქსელთან, მდგრადი ენერგეტიკის საერთაშორისო ქსელთან, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ გარემოსდაცვით, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან; მწვანე ალტერნატივა არის კოალიციის "გამჭვირვალე საერთაშორისო დახმარება საქართველოსთვის" წევრი, რომელიც დაარსდა 2008 წელს. 2009 წლიდან მწვანე ალტერნატივამ იწყებს "საქართველოს გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობის ქსელის" ჩამოყალიბებას (Georgian Advocacy Network for Environmental and Social Justice).

2004 წელს მწვანე ალტერნატივა დაჯილდოვდა გოლდმანის გარემოსდაცვითი ფონდის პრიზით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კამპანიის ფარგლებში გარემოს დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობისათვის განხორციელებული წარმატებული საქმიანობისათვის.

### მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ.#27/29, II სართული, ბინა №13  
ტელ: 22 38 74; 29 27 73; ფაქსი: 22 38 74  
[greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org); [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)